მმართველი პარტია თავისუფალ მედიას ექომაგება A2

თქვენი აფხაზეთი A8

ევროისტორია B6

24 საათი

www.24hours.ge

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 4 აგვისტო, 2004 წელი. №183 (732)

ფასი 50 თეთრი

# "თბილავიამშენს" "თბილავიამშენის" პროდუქციის ფასად ყიდულობენ

## ხელისუფლება დაპირებებს პირველივე ობიექტის გაყიდვისას არღვევს

*საქართველოს ხელისუფლება პირველ ობიექტს "ყიდის" - პირველი ნაბიჯი, რომელიც დიდი პრივატიზებისკენ გადაიდგმება, სავარაუდოდ, სამომავლო ტენდენციებს განსაზღვრავს. "დიდი პრივატიზების" პირველივე მაგალითი ცხადყოფს, რომ ამ გზაზე საკმაოდ ბევრი სერიოზული კითხვა გაჩნდება და ხელისუფლების მიერ დადებული ბევრი პირობა დაირღვევა.*



*ეს ადამიანები საავიაციო ქარხანაში ჩვეულებრივად შრომობენ, მაგრამ, შესაძლოა, არც კი იციან, რომ მათი შრომით შექმნილი პროდუქციის ფასად პანტიკო თორდია მთელ ქარხანას ყიდულობს.*

**ხელისუფლება, რომელიც საზოგადოებას სტრატეგიული ობიექტების გაყიდვას "დიდ ფულად" ჰპირდებოდა, "ავიამშენს" 67 მილიონ დოლარად ასხვისებს**. 67 მილიონ დოლარად იყიდება ქარხანა, რომლის მიერ წარმოებული მხოლოდ ერთი თვითმფრინავი, თავად პანტიკო თორდიას თქმით, 5 მილიონი აშშ დოლარი ღირს და ესეც, ექსპერტთა აზრით, "შემცირებული ფასია".

ხელისუფლება 67 მილიონად ყიდის საწარმოს, რომელიც მომგებიანია და რომლის მიერ მხოლოდ ექვს თვეში გადახდილმა დივიდენდმა 420 მილიონი ლარი შეადგინა და რომელიც სახელმწიფო საკუთრებაში ყოფნის პირობებში ახერხებდა ყოველწლიურად 12 მილიონი დოლარის, 25 მილიონი დოლარის, 45 მილიონი დოლარის, 56 მილიონი დოლარის მომსახურების გაწევას მხოლოდ თურქმენეთისთვის. თუმცა, მხოლოდ თურქმენეთი არ ყოფილა ქარხნის პროდუქციის ერთადერთი მომხმარებელი.

ქარხანას გააჩნია სარემონტო-საექსპლუატაციო, საექსპერიმენტო ანგარები, რომელთა აგებაც დღეს მსოფლიოში, მათი განსაკუთრებული სიძვირის გამო, აღარ ხდება. შესაბამისად, დაინტერესება "თბილავიამშენით" უდავოდ იქნებოდა მსოფლიო ბაზარზე მომუშავე გრანდებს შორის. რამდენიმე მათგანს ქართულ ბაზარზე ნიადაგი უკვე მოსინჯული აქვს - მაგალითად, "ბოინგს", რომელმაც "თბილავიამშენთან" ერთობლივი პროექტის განხორციელება სცადა. იყო ნიადაგის მოსინჯვა "ნორთროპ გრუმანისგან", რომელსაც თბილისის აეროპორტის ნავიგაციის სისტემა აქვს გაკეთებული, თუმცა ხელისუფლებამ მსოფლიო "გრანდებს" "მეტის გადახდის" საშუალება არ მისცა.

**ხელისუფლება, რომელიც დიდ მიღწევად აცხადებს იმას, რომ "10 წლით დაკარგული" საწარმოსგან 67 მილიონის "ამოღებას" ახერხებს, ქარხანას ასხვისებს ქარხნისავე მიერ წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების ფასად.**

გაგრძელება A4 გვერდზე

### პოლიტიკა

#### დახურულ თონეში კუტი პური გამოცხვება



ტელეკომპანია "თრიალეთმა" "ზემოდან" გაფრთხილება მიიღო - თუ რევაზ ოქრუაშვილზე გადაცემას მოაწყობდნენ, თონეს დაუხურავდნენ. გადაცემა მოეწყო. თონე დაიხურა.

A2

### უცხოეთი

#### როგორ აიღეს ბაღდადი - ამერიკელი გენერლის მონათხრობი



ფრენკსის თქმით, ბაღდადის აღებაში მნიშვნელოვანი როლი ამერიკელთა მხრიდან გავრცელებულმა დეზინფორმაციამ შეასრულა.

A5

### ეკონომიკა

#### საპარლამენტო კომიტეტებმა ბიუჯეტის განხილვა დაიწყეს



გუშინ გამართულ სხდომაზე 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ცვლილებათა პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები თითქმის არ გამოთქმულა.

A6

### სამართალი

#### იარაღისა და ნარკოტიკის ჩადება - ტრადიციული მეთოდი კვლავ ძალაშია



"ადამიანის უფლებების უხეშად დარღვევის ფაქტებს ბოლომდე მივყვებით", - აცხადებენ "თავისუფლე-ბის ინსტიტუტის" წევრები.

A7

### ამინდი

| | 4/8 | 5/8 |
|---|---|---|
| თბილისი | 29 | 33 |
| ქუთაისი | 28 | 35 |
| ბათუმი | 27 | 33 |
| სოხუმი | 26 | 31 |
| ფოთი | 27 | 33 |
| თელავი | 27 | 30 |
| ზუგდიდი | 27 | 34 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8700 |
| ევრო | 2.2470 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4023 |
| რუბლი | 0.0641 |

### მთავარი თემა

# ყინული დაიძრა?

*პრეზიდენტის დავალებით შექმნილმა სახელმწიფო კომისიამ, სულ მალე, საზოგადოების წინაშე ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის პრინციპები და თვითმმართველობის თვისობრივად ახალი მოდელი უნდა წარმოადგინოს. ამის მიუხედავად, 22-წევრიან კომისიაში ჯერჯერობით არ დევს არც ერთი პროექტი, რომელიც სამუშაო ვარიანტად შეიძლება მოიაზრებოდეს. მართალია, პირველი კონკრეტული წინადადებები, წესით და კანონით, უკვე სექტემბრის დასაწყისში უნდა იყოს წარმოდგენილი, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ქვეყნის პოლიტიკურმა ელიტამ ამ საკითხზე ფიქრი მხოლოდ ახლა, ცხელი აგვისტოს დღეებში დაიწყო. არადა, ქვეყნისთვის ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის მოგვარება ლამის ნომერ პირველ ამოცანად იქცა, რადგან კონსტიტუციაში თეთრ ლაქად დარჩენილი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოდელის განსაზღვრა პირდაპირ კავშირშია ქვეყანაში რეალური თვითმმართველობის განვითარებასთან.*
*საუბარია იმ აუცილებელ და სრულყოფილ საკანონმდებლო ბაზაზე, რომელიც ქვეყანაში რეალური თვითმმართველობის განხორციელებას უზრუნველყოფს. დღემდე ყველა მიღებული საკანონმდებლო აქტი არასრულყოფილი და, ხშირ შემთხვევაში, ბუნდოვანია. ამიტომაც რეალურ თვითმმართველობაზე საუბარი, რბილად რომ ვთქვათ, ჯერ შეუძლებელია.*

თამარ მჭედლიშვილი

ბუნებრივია, თვითმმართველობა პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ მოწყობასთან. მაშინ, როდესაც საქართველოში ჯერაც არ არის განსაზღვრული ტერიტორიული მოწყობის საბოლოო მოდელი, პოლიტიკური სპექტრის ნაწილი მიიჩნევს, რომ სრულყოფილ თვითმმართველობაზე საუბარი ნაადრევია. მათი არგუმენტები ასე ჟღერს: ჯერ უნდა გავარკვიოთ, ქვეყნის მოწყობის როგორ მოდელს ვირჩევთ – რეგიონალიზმს თუ სიმეტრიულ ან ასიმეტრიულ ფედერალიზმს. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი, თვითმმართველობისთვის შესაბამისი პირობების შექმნა.

**ამავე დროს, 2005 წლის ნოემბერში საქართველოს მორიგი საარჩევნო ციებ-ცხელება მოიცავს. ჩვენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევა მოგვიწევს (იმის მიუხედავად, მოესწრება თუ არა ამ დროისთვის ტერიტორიული მოწყობის პრინციპების საბოლოო განსაზღვრა). თუკი დღემდე არსებულ პრაქტიკას გავითვალისწინებთ, გამორიცხული არ არის, პარლამენტმა ამ უმნიშვნელოვანესი საკითხისთვის, ანუ თვითმმართველობის შესახებ კანონისთვის კვლავ დაგვიანებით მოიცალოს, რაც არსებულ კანონში უამრავი თეთრი ლაქის დატოვებას ავტომატურად გამოიწვევს.**

გაგრძელება A3 გვერდზე

## უმთავრესი პრობლემა - თბილისის მუნიციპალური რეფორმა

თავისთავად, საქართველოს დედაქალაქის მუნიციპალური რეფორმა ერთ-ერთი უმნივშნელოვანესი პრობლემაა, რომლის გარეშეც ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობასა და თვითმმართველობაზე ბჭობას აზრი ეკარგება. დედაქალაქის შესახებ კანონი, რომელიც დღემდე არსებობდა, არაოფიციალურად, "უკანონობად" იხსენიებოდა. სწორედ მისი წყალობით, დედაქალაქის მმართველობა იმდენად გაუმჭვირვალე და მოსახლეობისაგან შორს მდგომია, რომ ქვეყნის მთავარი ქალაქისთვის მიღებული ნებისმიერი სერიოზული გადაწყვეტილება ხშირად დიდი ხნის მანძილზე გასაიდუმლოებულად რჩებოდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

A2 ამბები | A3 მთავარი თემა | A4 აქტუალური თემა | A5 უცხოეთი | A6 ეკონომიკა | A7 სამართალი | A8 პროექტი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ევროისტორია | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

## "მდუმარე" ვიზიტი



ლევან ხერხეულიძის ფოტო

ვლადიმერ ჩხიკვიშვილი და ანდრეი კოკოშინი მხიარულ განწყობაზე იყვნენ.

საქართველოში არაოფიციალური ვიზიტით მყოფი, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ს საქმეთა და თანამემამულეებთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე ანდრეი კოკოშინი გუშინ საქართველოს პარლამენტის სპიკერმა ნინო ბურჯანაძემ მიიღო. დახურულ სამუშაო შეხვედრას, რომელიც საათზე მეტხანს გაგრძელდა, ესწრებოდა რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ვლადიმერ ჩხიკვიშვილი.

შეხვედრის შემდეგ მხარეებს კომენტარი არ გაუკეთებიათ. ანდრეი კოკოშინმა მხოლოდ ის აღნიშნა, რომ ნინო ბურჯანაძესთან საუბარი ორი ქვეყნის საპარლამენტთაშორისო ურთიერთობებს შეეხო. **"რუსმა და ქართველმა პარლამენტარებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ დღეს შექმნილი რთული ვითარების გასაუმჯობესებლად,"** - ასეთი ზოგადი რეზიუმეთი შემოიფარგლა რუსი პარლამენტარი. მან უარი განაცხადა შეეფასებინა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს მიერ ამასწინათ ერთხმად მხარდაჭერილი განცხადება, რომელიც რუსეთის შემადგენლობაში ორი ოსეთის გაერთიანების "მიზანშეწონილებას" შეეხებოდა.

*გიორგი ასანიშვილი*

## ოსი ახალგაზრდების და რუსი კომუნისტების მოთხოვნები

უკმაყოფილოთა საპროტესტო პიკეტები აგვისტოს "მკვდარი სეზონის" პოლიტიკურ ცხოვრებას ამრავალფეროვნებენ. 3 აგვისტოს, დიდი თეატრის წინ, კარლ მარქსის სახელობის სკვერში რუსი კომუნისტები და ოსი ეროვნების ახალგაზრდები ერთად მიტინგობდნენ.

პენსიონერები და რუსეთის კომპარტიის ლიდერის ზიუგანოვის მომხრენი პრეზიდენტ პუტინს "თეთრი სახლის სიონისტური პოლიტიკის გამტარებლად" იხსენიებდნენ. იმავდროულად წყევლა-კრულვას უგზავნიდნენ რუსეთის პარლამენტის მიერ მეორე წაკითხვით მიღებულ კანონპროექტს შეღავათების კომპენსაციებით შეცვლაზე.

არც ოსი ეროვნების ახალგაზრდების საპროტესტო პიკეტი იყო რუსი ბებია-ბაბუების მოთხოვნებისგან რადიკალურად განსხვავებული. ორივე პიკეტის მონაწილენი ბუში-პუტინის პოლიტიკას აკრიტიკებდნენ. ორივე პიკეტის თანამგრძნობები აფხაზი და ოსი ძმების სოლიდარობაზე და სსრკ-ს აღდგენაზე ლაპარაკობდნენ. იყვნენ აგრესიულებიც. ისინი მიშას პუტინთან ჩამოსვლას და კრემლში მასთან ერთად მუშაობას ურჩევდნენ.

**"ჩვენს კანონიერ მოთხოვნას ჩრდილოეთ ალანიასთან გაერთიანებაზე რუსეთის პრეზიდენტი ყურად არ იღებს. მოსკოვში, როგორც ჩანს, აღარავის დარჩა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის პრობლემის მოგვარების სურვილი. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ პუტინი თბილისს და ვაშინგტონს უსმენს,"** - ამბობს აქციის მონაწილე თამარ ცხოვრებოვა.

10 აგვისტოს ოსი ეროვნების ახალგაზრდები მოსკოვში საქართველოს საელჩოს პიკეტირებასაც აპირებენ.

**"ჩვენ არ გავჩერდებით, სანამ სამხრეთ ოსეთს ჩრდილოეთს არ შეუერთებენ, სანამ დიდი ოსეთი არ გაერთიანდება,"** - ამბობს ვლადიკავკაზელი ქალბატონი.

**"პიკეტზე ნებადართულია მხოლოდ ათი-თხუთმეტი კაცის გამოცხადება,"** - ასე წერია მოსკოვის მერიის მიერ საპროტესტო აქციის ჩატარების ნებართვაში.

მოსკოვის ცენტრში ამ დღეებში აღმკვეთი სანქციები არ ვრცელდება არც კომუნისტ პენსიონერებსა და მოშიმშილე რუს ახალგაზრდებზე, რომლებიც მარქსის სახელობის პარკში ჩეგევარას პორტრეტებით მოვიდნენ. რუსეთის ნაციონალ-ბოლშევიკური პარტიის აქტივისტები შიმშილობას არ შეწყვეტენ, თქვა ერთმა აქტივისტმა საავადმყოფოში გადაყვანამდე. იგივეს ვერ ვიტყვით ოს ახალგაზრდებზე, რომელთაგან რამდენიმე, მაგალითად, იგივე თამარ ცხოვრებოვა, რუსეთის დუმის წინ, ვალის მოხდის შემდეგ, მოსკოვის ერთ-ერთ ახალგაზრდულ კლუბში ისეთი თავდავიწყებით ერთობოდა, რომ დიდი ოსეთი აშკარად აღარ ახსოვდა.

*რუსუდან ნიკურაძე*
*საკ.კორ.მოსკოვში*

## სამხედრო პარტნიორობა გრძელდება

თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის საქართველოს ოფისი აშშ-ს საელჩოს ნაწილია. ოფისი თბილისში 1999 წლიდან არსებობს და აშშ-ს სამხედრო დახმარებისა და თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სხვადასხვა პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებაში ეხმარება. გუშინ ოფისის ძველმა ხელმძღვანელმა დაგ პეტერსონმა, ორწლიანი მუშაობის შემდეგ, უფლებამოსილება თავის ადგილმონაცვლე ბრედლი ჯონსს გადააბარა.



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

დაგ პეტერსონი.

**"აშშ-ს მტკიცე გადაწყვეტილებაა, დაეხმაროს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ნატო-ს სტანდარტებით მოქმედი ჯარის შექმნაში, რათა შესაძლებელი გახდეს საქართველოს მზარდი მონაწილეობა კოალიციის ისეთ ღონისძიებებში, როგორიცაა "ტერორიზმის წინააღმდეგ გლობალური ომი", "ერაყის გათავისუფლების ოპერაცია" და "ოპერაცია მდგრადი თავისუფლებისათვის".**

უკვე საყოველთაოდ ცნობილი "წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა" დასრულდა, მაგრამ თავდაცვის თანამშრომლობის ოფისი გარკვეული ღონისძიებების გატარებას გეგმავს, რომელიც ამ პროგრამის თავისებური გაგრძელება იქნება. ერთგვარ პრიორიტეტად, ეროვნული გვარდიის მე-11 ბრიგადაა მიჩნეული. დახმარება მეტ-ნაკლებად გათვლილია, ასევე, სხვა დანაყოფებზეც, რომლებსაც "წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა" შეეხო. 2005 წლისათვის მე-11 ბრიგადასთან ჩამოყალიბდება და შესაბამისად აღიჭურვება ახალი, ტექნიკური მომსახურების და სამედიცინო დანაყოფები. მიმდინარე წელს რვა მობილური ჯგუფი მოამზადებს მე-11 ბრიგადის შტაბსა და დამხმარე დანაყოფებს. სამხედრო კონსულტანტების სახით, იანვარში "ქიუბიქის ჯგუფის" ექსპერტებს ელიან.

გაგრძელდება "მრავალდანიშნულებიან ვერტმფრენ "UH-1"-ის პროგრამა, ძირითადად, ჯორჯიის შტატის წარმომადგენლების დახმარებით, რაც საქართველოს თავდაცვის უწყებისათვის, როგორც ამერიკელების, ისე თურქების მიერ ადრე გადმოცემული ვერტმფრენების სათადარიგო დეტალებით უზრუნველყოფას, შეკეთებას გულისხმობს.

"სამშვიდობო ოპერაციების ფონდიდან" საველე აღჭურვილობის და საბრძოლო ტექნიკის შესაძენად აშშ-ს თანამშრომლობის ოფისმა 2003 წელს 320 000 აშშ დოლარის ღირებულების აღჭურვილობა შეიძინა ერაყის სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილე ქართული დანაყოფისთვის. 2004 წლისთვის ორი ქართული ბატალიონის აღჭურვისათვის, ტექნიკისა და ფორმის განახლებისათვის 2 მლნ ლარია გათვალისწინებული.

*ლელა მჭედლიძე*

## დახურულ თონეში კუტი პური გამოცხვება

"ხალხის გაზეთის" მთავარი რედაქტორის, რევაზ ოქრუაშვილის დაკავების დღეს, ტელეკომპანია "თრიალეთის" პირდაპირი ეთერი დაეთმო გადაცემას "თემა", რომელიც ადრე რევაზ ოქრუშვილის მეუღლეს, ჟურნალისტ ნინო დალაქიშვილს მიჰყავდა. ამჯერად იგი გადაცემის მონაწილეთა რიგებში იყო. გადაცემაში მონაწილე ჟურნალისტებმა, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ადამიანებმა, რომლებმაც შეიტყვეს ამ ფაქტის შესახებ, საკუთარი მოსაზრება გამოხატეს და პროტესტი გამოთქვეს ხელისუფლებისა და სამართალდამცავების მიმართ, რომლებიც მიუხედავად მოწვევისა, გადაცემაზე არ მოსულან.



ვასილ გულეურის ფოტო

რევაზ ოქრუაშვილის მხარდამჭერი აქცია გორის ცენტრალურ მოედანზე.

კულუარული ინფორმაციით, გადაცემის დაწყებამდე პარლამენტარმა ბადრი ნანეტაშვილმა, რომელიც ადრე ტელეკომპანიის გენერალური დირექტორი იყო (ამჟამად ტელეკომპანიას მისი ძმა უძღვება), ხელისუფლებისგან გაფრთხილება მიიღო, არ დაეთმო სატელევიზიო ეთერი ამ საკითხისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში თონეს დაუხურავდნენ (ტელეკომპანიის ოფისის სარდაფში მუშაობდა პურის საცხობი თონე, რომელიც შემოსავლის ერთ-ერთი წყარო იყო). მეორე დილით თონემ მართლაც შეწყვიტა მუშაობა. თავად ბადრი ნანეტაშვილმა ეს ინფორმაცია უარყო და გვითხრა, რომ თონეს ამუშავებდა მალხაზ თურაზაშვილი, არამომგებიანი იყო და ამის გამო დაიხურა. მალხაზ თურაზაშვილმა კი თქვა, რომ თონის მუშაობა მხოლოდ რემონტის გამო, დროებით შეჩერდა.

ასევე კულუარული ინფორმაციით, რამდენიმე დღის წინ დაუკავებიათ ფქვილით დატვირთული სამი კონტეინერი, რომელსაც მიხეილ ქარელის ახლო ნათესავი აცილებდა. ამ შემთხვევას კი, როგორც ამბობენ, მალე მხარის გუბერნატორის თანამდებობა შეეწირება. მის "თონეში გამომცხვარი პური" კუტი აღმოჩნდა.

სამშაბათს, 12 საათზე გაზეთის თანამშრომლებმა საპროტესტო აქცია დაიწყეს სამხარეო ადმინისტრაციის შენობის წინ, მოთხოვნით, გათავისუფლდეს "ხალხის გაზეთის" მთავარი რედაქტორი და დაისაჯონ ამ საქმის შემკვეთნი და შემსრულებლები. ჟურნალისტებს შეუერთდნენ საზოგადოების წარმომადგენლები. მათგან ბევრი იყო პოლიციელების მხრიდან ჩადენილი სამართალდარღვევების მსხვერპლთა ოჯახის წევრი. მხარის გუბერნატორი აქციის მონაწილეებთან შესახვედრად არ გამოსულა, იგი, ჩვეულებისამებრ, ადგილზე არ იმყოფებოდა; როგორც გვითხრეს, კონფლიქტის ზონაში, სოფელ კეხვში იყო წასული. ჩვენ ვეცადეთ, ტელეფონით დავკავშირებოდით მიხეილ ქარელს, მაგრამ იგი ჩვენს სატელეფონო ზარებს არ პასუხობდა.

აქციის მონაწილენი შემდეგ შსს შიდა ქართლის სამხარეო სამმართველოსკენ გაემართნენ. მათი დანახვისთანავე სამმართველოს შენობის კარი ჩაკეტეს. "ხალხის გაზეთის" ჟურნალისტებმა სიმბოლურად ხელები შეიკრეს და ხმამაღალი ძახილით - "დაგვიჭირეთ!" - მოუწოდებდნენ სამმართველოს უფროსს ალექსანდრე სუხიტაშვილს, შესახვედრად გამოსულიყო. სამმართველოს შენობიდან არავინ გამოსულა. როგორც პოლიციელებმა განაცხადეს, უფროსი შენობაში არ იმყოფებოდა.

საპროტესტო აქციები დღესაც გაგრძელდება. საზოგადოება მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევით ბოლო უნდა მოეღოს სამართალდამცავთა უკანონო ქმედებებს და დამნაშავენი უნდა დაისაჯონ.

*ვასილ გულეური*

## კახელი ჟურნალისტების პროტესტი

*"ხალხის გაზეთის" მთავარი რეადქტორის რევაზ ოქრუაშვილის დაკავების ფაქტს კახელი ჟურნალისტები აპროტესტებენ. იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება ჟურნალისტებზე ზეწოლას არ შეწყვეტს, ისინი მასობრივი აქციებით იმუქრებიან.*

"ხალხის გაზეთის" მთავარი რედაქტორის დაკავებას კახეთში მოქმედი მედიასაშუალებები და არასამთავრობო ორგანიზაციები გამოეხმაურნენ. როგორც რეგიონის დამოუკიდებელ გაზეთ "სპექტრის" თანამშრომლები აცხადებენ, რევაზ ოქრუაშვილის წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებები თავისუფალ სიტყვაზე ზეწოლაა: **"ბატონი რეზო ქუჩიდან ისე აიყვანეს, როგორც უკანასკნელი ყაჩაღი. ამით, ფაქტობრივად, ხელისუფლებამ ჟურნალისტებს მუქარა გაუგზავანა,"** - ამბობენ კახელი ჟურნალისტები.

როგორც "სპექტრის" მთავარმა რედაქტორმა მაია ყალაბეგაშვილმა განაცხადა, ასეთი ქმედებით ხელისუფლება იმ საზოგადოების ნდობას დაკარგავს, რომელთა წყალობითაც ის ქვეყნის სათავეში მოვიდა: **"ვაცხადებთ, ვერანაირი შანტაჟი, დაშინება და ტერორი ვერ ჩაახშობს თავისუფალ სიტყვას. ჩვენ ყოველთვის ვიქნებით ხალხის გვერდით და ვიტყვით სიმართლეს,"** - ამბობს მაია ყალაბეგაშვილი.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თელავის წარმომადგენლობის შეფასებით, მეთოდი, რომლითაც ახალი ხელისუფლება მოქმედებს, წმინდა ფსიქოლოგიური ტერორია. **"ჩვენ დაუშვებლად მიგვაჩნია ხელისუფლების მიერ ასეთი ქმედება თავისუფალი სიტყვის მთქმელებზე. თუ ასე გაგრძელდა, დარწმუნებული ვართ, რომ სულ მალე საქართველოში დამოუკიდებელი მედია აღარ იარსებებს"**, - ამბობს იურისტი ლელა ტალიური.

**"გამორიცხული არ არის, რომ ხვალ ანალოგიური მდგომარეობა კახეთშიც მოხდეს და სამართალდამცავების სამიზნე ჩვენ, კახელი ჟურნალისტები გავხდეთ. ამიტომ მოვითხოვთ, შეწყდეს ჟურნალისტებზე ზეწოლა! წინააღმდეგ შემთხვევაში, დამოუკიდებელი მასმედია უნდობლობას უცხადებს ხელისუფლებას"**, - აცხადებენ კახელი ჟურნალისტები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

*ზვიად რუაძე*

## მმართველი პარტია თავისუფალ მედიას ექომაგება

პარლამენტარებმა გიგა ბოკერიამ და გიორგი არველაძემ გუშინ "ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიის" ოფისში საგანგებო ბრიფინგი გამართეს და შეშფოთება გამოხატეს შიდა ქართლის სამხარეო სამმართველოს წარმომადგენლების მიერ გორში "ხალხის გაზეთის" მთავარი რედაქტორის რევაზ ოქრუაშვილის დაკავების გამო. ბოკერიას განცხადებით, რედაქტორის დაკავებისას უხეშად დაირღვა პროცესუალური ნორმები. **"თანაც, ეს ყველაფერი გაკეთდა ირაკლი ოქრუაშვილის სახელის მოხსენიებით"**, - დასძინა ბოკერიამ.

გიგა ბოკერიამ პროცესუალური ნორმების დარღვევის დეტალური აღწერისგან თავი შეიკავა: **"ჯერჯერობით ვიცი ის, რაც ვნახე ეკრანზე, ასევე მხედველობაში მაქვს სანდო, მაღალი რეპუტაციის მქონე ადამიანების მიერ მოპოვებული ინფორმაცია."**

"საფუძვლიანი ეჭვების ფონზე", მმართველი პარტიის წარმომადგენლები მოითხოვენ დეტალურად იქნას გამოძიებული იმ ადამიანთა ქმედებები, რომელთაც პროცესუალური დარღვევები ჩაიდინეს. ბოკერიას "ხალხის გაზეთის" რედაქტორისთვის სამთვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდება ნაჩქარევ გადაწყვეტილებად მიაჩნია. მისი აზრით, ვიდრე ყველაფერი არ გაირკვევა, მანამდე რევაზ ოქრუაშვილი უნდა გაათავისუფლონ.

*24 საათი*

## ბათუმი ხმელეთზე დარჩა

*ბათუმი ქალაქია, სადაც ხალხს ხმელეთზე, მაგრამ მაინც წყალში უხდებოდა ცხოვრება. წვიმის შიში აქ მუდმივად თან სდევთ, რადგანაც ბათუმი არ არის მზად ტროპიკული წვიმებისთვის. აქ უკვე აღარ უკვირთ, რომ ყოველი წვიმის დროს ნახევარი ქალაქი იტბორება.*



კოკისპირულმა წვიმამ ბათუმი დატბორა.

პირველ რიგში, სანიაღვრე არხებია გასაკეთებელი. ამჟამად სამუშაოები ყველაზე მძიმე – ბესიკის, მოსკოვისა და ბაგრატიონის ქუჩებზე მიმდინარეობს. ამ ქუჩებზე საკანალიზაციო არხები სანიაღვრეში ჩაედინება. წლების განმავლობაში იტბორებოდა ეს ქუჩა და პრობლემის მოსაგვარებლად წლების განმავლობაში იყრებოდა ხრეში. შედეგად – გზის სიმაღლემ აიწია და სახლები და ეზოები, ლამის ნახევარი მეტრით დაბლა აღმოჩნდა. ასე იტბორება შენობათა პირველი სართულები. როგორც ქალაქის ხელისუფლება გვპირდება, ამ ქუჩების პრობლემა ათიოდე დღეში მოგვარდება.

ანალოგიური ვითარება შეიქმნა "ბენზეს" დასახლებაშიც. თავის დროზე ნავთობტერმინალის ხელმძღვანელობამ მდინარე ყოროლისთავის მხოლოდ ერთი მხარე გაამაგრა ექვსმეტრიანი კედლით, რითიც წყლისგან დაიცვეს ტერმინალი, მაგრამ წყალმა გასავალი დასახლებული პუნქტისკენ იპოვა, იქ, სადაც ასამდე ოჯახი ცხოვრობს. **"ამ პრობლემის მოგვარებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს იმან, ვინც ეს პრობლემა წარმოშვა. პირველ რიგში, ეს ნავთობტერმინალს ეხება. მათ თავის დროზე საკუთარი საქმე გაიკეთეს, მაგრამ მოსახლეობის მდგომარეობა გაუსაძლისი გახადეს. ახლა ისინი ვალდებულნი არიან გაიღონ თანხები და მოსახლეობის მხარესაც ააგონ დამცავი კედელი."** – აცხადებს ქალაქის მერის მოვალეობის შემსრულებელი მურმან ბერიძე.

გუშინ საღამოსვე აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ლევან ვარშალომიძემ ქალაქის მერიის სამსახურებთან თათბირი გამართა. საუბარი იყო საკანალიზაციო და სანიაღვრე არხების მოწესრიგებაზე. საგზაო საწარმოს დირექტორის ნუგზარ მიქელაძის თქმით, ეს პრობლემა მალე მოგვარდება.

თათბირის მიმდინარეობის პროცესში ერთი პატარა ექსცესი მოხდა - მერიის შენობასთან სამსახურიდან გათავისუფლებულმა ერთ-ერთმა ნასვამმა პოლიციელმა სროლა ატეხა. რა თქმა უნდა, ის მაშინვე დააკავეს.

თათბირის შემდეგ ვარშალომიძე ბულვარის ახლადდანიშნულ პოლიციელებს გაესაუბრა და წესრიგის მკაცრად დაცვა მოსთხოვა: **"არ აქვს მნიშვნელობა ჩემი ბიძაშვილი იქნება თუ არა, ნებისმიერი წესრიგის დამრღვევი უნდა დააკავოთ"** – ასეთი მკაცრი იყო ვარშალომიძე.

*თამილა თედორაძე*
*სოფო ღლონტიძე*
*"24 საათი აჭარა"*

## მიხეილ სააკაშვილი: "ადგილებზე კორუფცია და უსამართლობაა"

გუშინ მიხეილ სააკაშვილს, როგორც თავად ბრძანა, საკმაოდ მწვავე საუბარი ჰქონდა მმართველი პარტიის პოლიტსაბჭოსთან: **"მთავარი პრობლემა არის ის, რომ ძალიან ბევრ რეგიონში საერთოდ არ შეცვლილა სიტუაცია, ან ნაწილობრივ არის შეცვლილი."**

პრეზიდენტი აცხადებს, რომ ქვეყნის მასშტაბით კონტრაბანდა, პრაქტიკულად აღკვეთილია. ასევე სერიოზული წარმატებებია მიღწეული კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ როგორც სააკაშვილი დასძენს, ამგვარი წარმატებები "ყველა დონეზე" არ შეინიშნება: **"ადგილებზე ძალიან სერიოზული კორუფციაა, ძალიან ბევრი უსამართლობაა... მე არ ვაპირებ, ამას შევეგუო. ჩვენი მმართველობა ვერ ჩამოყალიბდება კლანურ მმართველობად".**

როგორც გუშინდელ ბრიფინგზე ბრძანა, პრეზიდენტმა ქვემო ქართლის გუბერნატორს ერთი თვის ვადა მისცა იმისთვის, რათა რეგიონში წმენდა ჩაატაროს. პოლიტსაბჭოზე "ნაცმოძრაობის" სამეგრელოს ორგანიზაციის ხელმძღვანელის გასაგონად ითქვა, რომ **"სერიოზულად არის გადასახედი სამეგრელოს მდგომარეობა".** მიხეილ სააკაშვილის თქმით, სამეგრელოში ძალიან ბევრ თანამდებობაზე ჯერ კიდევ შემორჩენილია ისეთი ადამიანები, რომლებიც შევარდნაძის და, საერთოდ, ყველა დროის ხელისუფლების დროს ისქელებდნენ ჯიბეებს. პრეზიდენტი კატეგორიულად მოითხოვს, რომ რეგიონში დიდი საკადრო წმენდა განხორციელდეს.

როცა მმართველი პარტიის მუშაობაზე საუბრობდა, მართალია, პრეზიდენტმა ერთგან ბრძანა - საკმარისად ვერ ვიმუშავეთო, მაგრამ საბოლოო ჯამში, პრეზიდენტი მაინც კმაყოფილია. მისი განმარტებით, "ნაციონალური მოძრაობა" არის იდეალისტების პარტია, იდეალისტი ნაციონალები კი ახალი სახელმწიფოს ასაშენებლად იღვწიან.

რაც შეეხება ვანო მერაბიშვილის მისამართით ამ დღეებში გავრცელებულ არასასიამოვნო ინფორმაციებს, ამის შესახებ მიხეილ სააკაშვილი დაბეჯითებით აცხადებს: **"ვანო მერაბიშვილს თანხებთან დაკავშირებით ნუ ასახელებენ. მე შემიძლია თავი დავდო ვანო მერაბიშვილის პატიოსნებაზე, მინისტრების, ჩემი უახლოესი გარემოცვის პატიოსნებაზე".**

პრეზიდენტმა გუშინ შიდა ქართლის გუბერნატორს მიხეილ ქარელს "ცოცხალი გმირი" უწოდა, საქებარი სიტყვები არც ამ მხარის პოლიციის უფროსის სუხიტაშვილის მისამართით დაუშურებია. სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით თბილისის ცენტრალური ხელისუფლების მიერ გატარებულ პოლიტიკას მიხეილ სააკაშვილი დადებითად აფასებს.

დღეს პრეზიდენტი სააკაშვილი შეერთებულ შტატებში არაოფიციალური ვიზიტით მიემგზავრება. ამერიკის იურისტთა ასოციაცია საქართველოს პრეზიდენტს პრემიას გადასცემს. მიუხედავად ვიზიტის არაოფიციალური ხასიათისა, სააკაშვილი მაინც გამართავს შეხვედრებს და კონსულტაციებს ამერიკის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

*ვერიკო თევზაძე*

## უშიშროების საბჭოს სხდომა

გუშინ გვიან ღამით კანცელარიაში უშიშროების საბჭოს სხდომა გაიმართა. სხდომაზე განსახილველ საკითხთა შორის მნიშვნელოვანი იყო ვითარება ცხინვალში და ბაქო-ჯეიჰანის უსაფრთხოება.

როგორც სხდომის დასრულების შემდეგ ნინო ბურჯანაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ხელისუფლებას ბაქო-ჯეიჰანის უსაფრთხოებაზე თავიდანვე უნდა ეზრუნა. **"ახლა ისლა დაგვრჩენია, ის გამოვასწოროთ, რისი გამოსწორებაც შეიძლება,"** - დასძინა პარლამენტის თავმჯდომარემ.

ნინო ბურჯანაძის აზრით, პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას ვიზიტი ცხინვალში და მისი შეხვედრა კოკოითთან არის ნათელი დადასტურება იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლება კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის მომხრეა და ამის მისაღწევად ყველა ღონეს მიმართავს.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, ამერიკაში არაოფიციალური ვიზიტისას პრეზიდენტი სააკაშვილი შეხვდება კოლინ პაუელს და დონალდ რამსფელდს. საუბრის ძირითადი თემა სამხრეთ ოსეთი იქნება.

გუშინ გვიან ღამითვე კანცელარიაში მყოფმა ბადრი პატარკაციშვილმა მასმედიასთან კომენტარისას ბრძანა, რომ იგი საგადასახადო კოდექსის შესახებ კონსულტაციებს აწარმოებდა ზურაბ ჟვანიასთან. პატარკაციშვილის თქმით, შეიძლება მომავალ კვირას პარლამენტში ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტი განსახილველად შევიდეს.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოში ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელი როი რივი ოთხშაბათს ცხინვალში გაემგზავრება, სადაც სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლებასთან კონფლიქტის ზონაში ეუთო-ს მისიის წარმომადგენელთა რაოდენობის გაზრდის საკითხს განიხილავს. როი რივის ინფორმაციით, მოლაპარაკების თემა ცხინვალის რეგიონში სტაბილურობის აღდგენა და პოლიტიკური დიალოგის განახლება იქნება. როგორც ჟურნალისტებს გელა ბეჟუაშვილმა განუცხადა, ეუთოს მისიის გეოგრაფიული არეალის გაფართოებასთან დაკავშირებით კონსენსუსი არ არის მიღწეული, რადგან რუსეთის დელეგაციამ ეუთოში ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული აზრი გამოთქვა. **პრაიმ-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ყინული დაიძრა?

პირველი გვერდიდან

და მაინც – პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლები ნელ-ნელა იწყებენ თვითმმართველობის შესახებ კანონის გაკეთილშობილებაზე საუბარს. თანაც, პრეზიდენტის მიერ შექმნილმა კომისიამ და სააკაშვილის მკაცრმა დირექტივამ, შესაძლოა, მიძინებულ პოლიტიკურ სპექტრზე სწორედ ისე იმოქმედოს, როგორც საჭიროა.

ამის მიუხედავად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯერჯერობით, სამთავრობო კომისიის წარმომადგენელთა აბსოლუტურ უმრავლესობას გარკვეული, მკაცრად არგუმენტირებული მოსაზრებები არ გააჩნია. გამონაკლისი "ახალი მემარჯვენეები" და თბილისის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილია, რომლებსაც უკვე დიდი ხანია, კონკრეტული წინადადებები აქვთ შემუშავებული. თუკი "ახალი მემარჯვენეები" აქცენტს, ძირითადად, ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ მოწყობასა და თვითმმართველობის პრინციპების რადიკალურ ცვლილებებზე აკეთებენ, თბილისის მერი დედაქალაქის მართვის რეფორმის აუცილებლობაზე საუბრობს.

ზოგადი მოსაზრებების მიუხედავად, არსებობს რამდენიმე საკითხი, რომელთან დაკავშირებითაც პოლიტიკური სპექტრი ერთსულოვანია. ეს ეხება დღეს არსებულ რაიონულ დაყოფას. ეს ნიშნავს, რომ რაიონული ერთეული, როგორც კომუნისტური წყობის გადმონაშთი, გასაუქმებელია, ან გარდამავალ ეტაპზე მას იმდენად მცირე ფუნქციები უნდა შეუნარჩუნდეს, რომ ადგილობრივმა მმართველობამ თვითმმართველობის შევიწროება ვერ შეძლოს. თვითმმართველობის საკითხებზე მომუშავე ექსპერტები და პოლიტიკოსები ცალსახად აღნიშნავენ, რომ რაიონული მმართველობა თვითმმართველობის განხორციელებას სერიოზულ პრობლემას უქმნის. თუმცა, მხოლოდ რაიონის, როგორც ტერიტორიული ერთეულის ლიკვიდაცია პრობლემას ვერ ხსნის. საკამათოა, პირველი დონის თვითმმართველობა რა ტერიტორიულ მონაკვეთს უნდა მოიცავდეს - სოფელს, დაბას, თემს, ქალაქს, რომელიც რაიონის დაქვემდებარებაში შედის, თუ იგი უნდა გამსხვილდეს და გაუქმებული რაიონის დონეზე ავიდეს. რაც შეეხება თვითმმართველობის მომდევნო დონეებს – პოლიტიკოსთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მეორე დონე რეგიონამდე უნდა ავიდეს, ნაწილი კი ჯერაც ვერ ჩამოყალიბებულა, რამდენდონიანი თვითმმართველობა სჭირდება ისეთი ტიპის ქვეყანას, როგორც საქართველოა.

მოკლედ, პოლიტიკურ სპექტრს საკამათო და საფიქრალი ბევრი აქვს. ამასობაში, თვითმმართველობის დღეს არსებული ორდონიანი მოდელი, ფაქტობრივად, უსიცოცხლოა, რადგან საკრებულოებს ადგილზე არ ძალუძთ უამრავი პრობლემის მოგვარება. და ამის მიზეზი ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის პრინციპების არარსებობა როდია. საქმე ის არის, რომ კანონით არ და ვერ რეგულირდება მთელი რიგი ელემენტარული პრობლემები. კვლავ და კვლავ გასამიჯნია ქონება, საბიუჯეტო საკითხები. ამავე დროს, რაიონული გამგეობებისა და მოსახლეობის მიერ არჩეული საკრებულოების საქმიანობა, ხშირ შემთხვევაში, არაკოორდინირებული და ურთიერთსაპირისპიროა.

პრეზიდენტის უშუალო დავალებით და მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა კომისიამ სწორედ ამ პრობლემების მოგვარება უნდა იტვირთოს. კომისიის ის წევრები, რომლებსაც ჩვენ გავესაუბრეთ, ერთხმად აღნიშნავენ, რომ მათ მიერ შემუშავებული და შემდეგ პარლამენტში განსახილველად შესული პროექტი რამდენიმე წელზე გათვლილი არ უნდა იყოს – ქვეყანამ უნდა შეძლოს და ჩამოაყალიბოს ის პრინციპები, რომელიც ქვეყნის წარმატებული გრძელვადიანი განვითარების საწინდარი გახდება.

## უმთავრესი პრობლემა - თბილისის მუნიციპალური რეფორმა

პირველი გვერდიდან


ზურაბ ჭიაბერაშვილი.

თბილისის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი უკვე დიდი ხანია, რაც დედაქალაქის მმართველობის რეფორმის აუცილებლობაზე საუბრობს.

"თუ მუნიციპალური რეფორმა არ მოხდა, ერთჯერადი ღონისძიებებით არაფერი გამოვა. თავად განსაჯეთ, რა ვითარებაა ამჟამად ქალაქში - გვაქვს ხუთი გამგეობა და საქალაქო სამსახურები. ანუ გამგეობები შექმნილია ტერიტორიული პრინციპით, ხოლო სამსახურები რაღაც ფუნქციების მატარებლები არიან. ხშირად მათ საქმიანობებში არის პარალელიზმი. უბრალო მაგალითისთვის მოვიყვან იგივე კეთილმოწყობის, სოციალური დახმარებების სამსახურებს. სოციალური დახმარებები გაიცემა მერიის სამსახურშიც და გამგეობებშიც და ეს პროცესი აბსოლუტურად არაკოორდინირებულია. ამავე დროს, ქალაქის მერიის სამსახურებს ძალზე დიდი ავტონომია აქვთ და კოორდინაცია მათ შორის, ფაქტობრივად, არ არსებობს. მათი ურთიერთობები მერის ოთახში გამართული ოპერატიული თათბირებით შემოიფარგლება.

გამგეობებში სხვა პრობლემებია. მაგალითად, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, ოფიციალურად, 320 ათასი მაცხოვრებელია. ბუნებრივია, გამგეობას, რომელსაც დღეს, ფაქტობრივად, გაურკვეველი ფუნქციები აქვს, არ ძალუძს მოუაროს იმ პრობლემებს, რაც ამ კონკრეტულ რაიონს აწუხებს. ამიტომ, თავად გამგებლებიც ითხოვენ, მათი ფუნქციები მკაფიოდ განისაზღვროს.

დღეს არსებული სისტემის კიდევ ერთი ნაკლი: გამგეობები და ქალაქის მთავრობა იმდენად შორს არიან მოქალაქეებისაგან, რომ საზოგადოებრივი კონტროლი მიმდინარე პროცესებზე, ფაქტობრივად, არ ხორციელდება. არის გაუმჭვირვალე სისტემა და, ამავდროულად, ბიუჯეტის შედგენაში მოქალაქეების მონაწილეობა, ფაქტობრივად, არ ხდება.

ნორმალურ ქალაქში ისეთი საკითხი, როგორიც არის ე.წ. დიდი პროექტი (ავტომაგისტრალის გაყვანა, ხიდის გადება) - ფართო საზოგადოებრივი დისკუსიის შემდეგ ხდება. მაგრამ არის ისეთი წვრილი ფუნქციებიც, რომელიც მოქალაქეებთან ახლოს მდგომმა გამგეობებმა უნდა განახორციელონ. ამ შემთხვევაში ქალაქის მთავრობამ მხოლოდ პროცესის მიმდინარეობა უნდა აკონტროლოს, ჩაატაროს აუდიტი, ხოლო დანარჩენი - ხალხთან ახლოს მდგომი გამგეობების საქმე უნდა იყოს.

ელემენტარულად, თბილისის რუკას რომ დავხედოთ, აშკარაა: იგივე დიდი დიღმის მაცხოვრებლები უბრალო საყოფაცხოვრებო პრობლემის გადასაწყვეტად ვაკე-საბურთალოს გამგეობაში არ უნდა დადიოდნენ. ეს არის ყველაზე მკაფიო და ცუდი მაგალითი იმისა, რაც დღეს გვაქვს. ამიტომაც მუნიციპალური რეფორმა, რომელიც ჩემი შემუშავებულია, უკვე გავუზიარე პარლამენტარებს, მინისტრების ნაწილს და მათი მხრიდან მაქსიმალურ მხარდაჭერას ვგრძნობ.

ჩვენ უბნური მუნიციპალიტეტების პრინციპზე უნდა გადავიდეთ. ანუ, შეიძლება თბილისი 20-25 მუნიციპალიტეტად დავყოთ. ამავე დროს, გარდა ისტორიული საზღვრებისა, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, აგრეთვე, მოსახლეობის რაოდენობაც და მათი დასახლებების სიმჭიდროვეც. ძალიან კარგად არის მოსაფიქრებელი დაყოფის სტრატეგია.

მას შემდეგ, რაც ჩვენ გვექნება მუნიციპალიტეტები, თითოეული მათგანი საკუთარ მუნიციპალურ საბჭოს აირჩევს. თუ მუნიციპალურ მართვაზე გადავალთ, გამოიკვეთება სხვადასხვა ჯგუფი, რომელსაც პრობლემის მოგვარების სხვადასხვანაირი ხედვა შეიძლება ჰქონდეს. ბუნებრივად წარმოიქმნება კონკურენცია. ბოლო არჩევნები გადაწყვეტს, რომელმა გუნდმა, რომელმა ადამიანებმა უნდა განსაზღვრონ კონკრეტული უბნის განვითარების გეგმა. ასეთი მუნიციპალიტეტი ყოველ კონკრეტულ უბანში უნდა იყოს. ჯერჯერობით, არ ვიცი და ჩემთვის ღია საკითხია, როგორი უნდა იყოს ამ მუნიციპალიტეტში აღმასრულებელი სტრუქტურა. ეს შეიძლება იყოს მუნიციპალური საბჭოს მიერ დანიშნული მენეჯერი, რომელსაც მართვის კარგი გამოცდილება აქვს, როგორც ეს ბევრ დასავლურ ქალაქშია მიღებული. ანუ ე.წ. სიტი მენეჯერი. მეორე მოდელიც არსებობს, რომლის თანახმადაც, ქალაქის რომელიღაც სტრუქტურა, ან მერი, ან საკრებულო მიიღებს მონაწილეობას ამ აღმასრულებელი სტრუქტურის ფორმირებაში. მით უფრო, რომ მერი თავად თბილისში აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელია.

რეფორმის პროექტის თანახმად, ქალაქში თვითმმართველობის ორი დონე იქნება. ანუ მუნიციპალიტეტები და ქალაქის საკრებულო. აუცილებლად უნდა შევეხოთ არჩევნების საკითხსაც. პირველ დონეზე პარტიული არჩევნები ჩემთვის მიუღებელია. უბანმა მისთვის მისაღები ადამიანები უნდა აირჩიოს. რაც შეეხება მეორე დონეს. ყოველი მუნიციპალიტეტიდან, შესაძლოა, აირჩეს თითო მაჟორიტარი დეპუტატი საკრებულოში, ანდა შესაძლებელია განვსაზღვროთ ხუთ-ხუთი მუნიციპალიტეტი და ეს იყოს პროპორციული ოლქი, სადაც საკრებულოს არჩევნები ჩატარდება. ეს ის საკითხია, რომლის ირგვლივაც დისკუსია აუცილებლად გასამართია.

შესაძლოა, ვიფიქროთ იმაზეც, რომ პირველი დონის წარმომადგენლობით ორგანოს საკანონმდებლო ფუნქციები შეზღუდული ჰქონდეს. სტრატეგიულ საკითხებს გადაწყვეტს მერი და მისი აღმასრულებელი აპარატი, რომლის დღევანდელი სახით შენარჩუნება მიზანშეუწონლად მიმაჩნია. მერის აპარატი ძალზე მობილური უნდა იყოს. ეს დიდი სამსახურები არ უნდა იყოს. მისი მთავარი ამოცანა უნდა იყოს იმის კონტროლი, თუ რა ხდება მუნიციპალიტეტებში, ინფორმაციის შეკრება და ანალიზი, რომლის შედეგად ახალი ინიციატივები უნდა წარმოიშვას.

ბუნებრივია, რეფორმა პრობლემების გარეშე, ალბათ, ვერ განხორციელდება: ადგილზე არჩეულ მუნიციპალიტეტებს არ უნდა ეგონოთ, რომ ისინი სრულიად თავისუფლები არიან. სრულმა დეცენტრალიზაციამ იმის საშიშროება არ უნდა შექმნას, რომ ქალაქმა, როცა ფული ექნება, მსხვილი პროექტების განხორციელება ვერ შეძლოს. ჩემი აზრით, ამის საპირწონე ის იქნება, რომ ერთი და იგივე მუნიციპალიტეტი საკუთარ წარმომადგენლებს აირჩევს როგორც საბჭოში, ასევე ქალაქის საკრებულოში," - ასეთია თბილისის მერის პოზიცია.

## პოლიტიკოსი, რომელსაც საქართველო რეგიონული მოწყობის გარეშე ვერ წარმოუდგენია


ალექსანდრე შალამბერიძე.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, ალექსანდრე შალამბერიძე საკმაოდ დიდი ხანია, რაც ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული რეფორმის საკითხებზე მუშაობს და, ამ მხრივ, საკმაოდ აქტიურად იყო ჩართული ყველა იმ დისკუსიაში, რომელიც დღემდე გამართულა.

"ადმინისტრაციული მოწყობა და თვითმმართველობა ერთმანეთისაგან განუყოფელი ნაწილებია. თვითმმართველობის გარეშე თავისუფლად ცხოვრება წარმოუდგენელია. ეს აქსიომაა. შეიძლება გყავდეს დამოუკიდებელი მთავრობა, მაგრამ თვითმმართველობის გარეშე მოქალაქეები ამ თავისუფლებას ვერანაირად ვერ შეიგრძნობენ.

ძალიან საშური საქმე გაკეთდა, როცა ასეთ უმოკლეს ვადაში შეიქმნა სამთავრობო კომისია. ერთიანი მიდგომის გარეშე ამ საკითხის მოგვარება შეუძლებელია. თვითმმართველობის დამკვიდრებისთვის აუცილებელია რაიონული რგოლის გაუქმება, რადგან ეს რაიონული ერთეული კლავს თვითმმართველობას. ის თანხები, რომლებიც საკრებულოებს უნდა რჩებოდეს, ფაქტობრივად, რაიონულ რგოლს მიაქვს.

რაც შეეხება ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ მოწყობას, მოდით, ტერმინებზე თავიდანვე შევთანხმდეთ – საქართველო უნიტარული ქვეყანაა. რეგიონალიზმი ის მთავარი ქვაკუთხედია, რომელიც ქვეყანას ადმინისტრაციულად მოაწყობს. საქართველო არ არის არც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, არც აშშ. რეგიონალიზმი ამ ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის პრინციპია. ფედერაცია მაშინ არის გამართლებული, როდესაც ქვეყანა დაშლილია. ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას კი ყველა სცნობს.

აფხაზეთის პრობლემის გადაჭრა მოლაპარაკების საგანია. სხვა ტერიტორიები კი რეგიონალიზმის პრინციპით მოეწყობა. მე ვფიქრობ, რომ, სხვა რეგიონებთან შედარებით, აფხაზეთს უნდა ჰქონდეს მეტი უფლებები, რადგან აფხაზი ერი არის საქართველოში მცხოვრები ერთადერთი ეთნოსი, რომელსაც სხვა ტერიტორია არ აქვს ქვეყნის გარეთ და მისი ეთნოსის, კულტურის შესანარჩუნებლად აუცილებელია, რომ მისი სტატუსი მაღალი იყოს.

საერთოდ, ქვეყანაში ორდონიანი თვითმმართველობა უნდა იყოს. მეორე დონე რეგიონამდე უნდა ავიდეს. ვფიქრობ, ძალიან დიდი უფლებები უნდა ჰქონდეს პირველი დონის თვითმმართველობით ორგანოებს, რომელიც ადგილობრივი პრობლემების მოგვარებაში გამოიხატება. ამას ეწოდება ადმინისტრაციული პოლიტიკის განხორციელება ადგილებზე. ადამიანებმა საკუთარი პრობლემები თავიანთი პასუხისმგებლობით და მათ მიერ მოპოვებული ფულით უნდა მოაგვარონ," - განუცხადა "24 საათს" ალექსანდრე შალამბერიძემ.

## ოპოზიციური აზრი


მამუკა კაციტაძე.

ერთადერთი ოპოზიციონერი, რომელიც ამ სამთავრობო კომისიის წევრია, პარლამენტარი, "ახალი მემარჯვენეების" ერთ-ერთი ლიდერი მამუკა კაციტაძეა.

"10 წელია, რაც საქართველოს კონსტიტუცია აქვს, მაგრამ ის თავი, სადაც საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობა უნდა იყოს გათვალისწინებული, ამ კონსტიტუციაში არ არსებობდა. ხელისუფლება ამას შემდეგნაირად ხსნიდა - სანამ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია, მის აღდგენამდე, დანარჩენი საქართველოს მოწყობასა და რეალურ თვითმმართველობაზე საუბარი საჭირო არ იყო. ეს საფუძველშივე არასწორი მოსაზრებაა. ჩვენ გვინდა, რომ ახალმა ხელისუფლებამ, წინამორბედის მსგავსად, ამ გზით სიარული არ გააგრძელოს.

რაც შეეხება სამთავრობო კომისიას, პირველი სხდომა უკვე შედგა. მას პრეზიდენტი თავად უძღვებოდა. სამწუხაროდ, გამოიკვეთა, რომ ჯერჯერობით აღმასრულებელი ხელისუფლება კომისიას ვერაფერს სთავაზობს. იყო იდეები თბილისთან დაკავშირებითაც, ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ მოწყობასთან დაკავშირებითაც, თუმცა კონკრეტული არაფერი თქმულა.

ჩვენს პარტიას შეუძლია დადოს დოკუმენტი, რომელიც, ერთი მხრივ, მოიცავს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მოდელს, მეორე მხრივ, ეს არის ორდონიანი თვითმმართველობა. პრინციპი მოიცავს ფინანსებსა და ქონებრივ მომენტებს, ურომლისოდაც თვითმმართველობა, ფაქტობრივად, არ არსებობს.

აბსოლუტურად დაუშვებელია, რომ მმართველობისა და თვითმმართველობის საკითხები ერთ კანონში იყოს მოქცეული. პრინციპში, ჩვენ ამ დოკუმენტში გაკეთებული გვაქვს გარკვეული ანალიზი, რა მოდელები არსებობს მსოფლიოში და ახლავე შემიძლია გითხრათ, რომ ახალ მოდელს, ყოველგვარი მოკრძალების გარეშე, ქართული მოდელი უნდა დაერქვას. ამ დოკუმენტში, აგრეთვე, გაანალიზებულია ქართული გამოცდილებაც, დაწყებული ძველი ტრადიციულით, შევარდნაძის მიერ ჩამოყალიბებული გაურკვეველი მოდელით დამთავრებული. წარმოდგენილია, აგრეთვე, ის ვარიანტიც, რომელიც ზვიად გამსახურდიას დროს იყო.

პარტიის შიგნით განიხილება რამდენიმე ვარიანტი. ძალიან შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ეს დოკუმენტი არის ერთადერთი, განუმეორებელი და საუკეთესო, რადგან თავად ეს საკითხი საკმაოდ ფაქიზია.

რაც შეეხება რაიონებს. მათ ჩვენ ცალსახად უარვყოფთ. თუმცა, აქვე დავძენ, რომ დღევანდელ ისტორიულ რეგიონებსაც თავისებური მინუსი გააჩნიათ. დღეს არსებული რეგიონების მიხედვით, საქართველოს დაყოფა მიზანშეწონილად არ გვეჩვენება, რადგან თავად მათი ტერიტორია და ეკონომიკური პოტენციალი იმდენად განსხვავებულია, რომ მათ მიმართ ერთნაირი მიდგომა გამართლებული არ იქნება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ 12 მსხვილი რეგიონული ერთეულის მაგივრად, უნდა შეიქმნას 20-22 რეგიონი, რაც მართვის თვალსაზრისითაც მისაღებია," – ამბობს მამუკა კაციტაძე.

## და მაინც - ყინული დაიძრა


ზურაბ მელიქიშვილი.

როგორც უკვე ვთქვით, პირველი კონკრეტული წინადადებები სამთავრობო კომისიამ საზოგადოებას სექტემბრის დასაწყისში უნდა წარუდგინოს.

საქართველოში საკმაოდ ბევრია ისეთი პოლიტიკოსი, რომელიც ამ კონკრეტულ პრომლემებზე დიდი ხანია, მუშაობს, თუმცა დღეს კომისიის მიღმაა დარჩენილი, მაგრამ, როგორც ამბობენ, მათი, როგორც ექსპერტების მოსაზრებები აუცილებლად იქნება გათვალისწინებული კომისიის საბოლოო "პროდუქტში".

ბუნებრივია, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა შორის საკმაოდ საინტერესოა სახელმწიფო მინისტრის ზურაბ მელიქიშვილის პოზიცია, რომელიც სწორედ რეგიონულ პოლიტიკას კურირებს.

"პრეზიდენტის ხელმძღვანელობით შექმნილმა კომისიამ უნდა შეიმუშაოს სტრატეგია, განსაზღვროს ქვეყნის როგორც ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ მოწყობასთან, ასევე თვითმმართველობასთან დაკავშირებული პრინციპები. გასამიჯნია უფლებამოსილებები ცენტრსა და რეგიონს, თვითმმართველობასა და მმართველობას შორის, რაც, გარკვეულწილად, დეცენტრალიზაციას უკავშირდება. აღსანიშნავია ისიც, რომ ქვეყანას დღემდე არანაირი სტრატეგია არ ჰქონდა შემუშავებული. არ არსებობდა ამ საკითხებისადმი პროგრამული მიდგომა. საკრებულოები, რომელთაც ფინანსური და ქონებრივი ბერკეტები არ აქვთ, უძლურნი არიან, საკუთარი ლოკალური პრობლემები მოაგვარონ. წინა ხელისუფლება იმდენად იყო შებოჭილი და უსუსური, ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ მოწყობასთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრებიც კი არ იმართებოდა. არაფერი კეთდებოდა საზოგადოებრივი აზრის ჩამოსაყალიბებლად.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ უნდა შევიმუშაოთ სტრატეგია. იგი დაფუძნებული იქნება დეტალურად გაწერილ პროგრამასთან, რომელიც განსაზღვრავს როგორც გრძელვადიან, ასევე მოკლევადიან ნაბიჯებს. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობა, თვითმმართველობა და მმართველობის დეცენტრალიზაცია და მათ შორის უფლებამოსილებების გამიჯვნა – ეს არის გადაჯაჭვული საკითხები. ჩვენ ამას ერთი-ორი წლისთვის არ ვაკეთებთ. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ როგორც ქვეყნის ისტორიული, ასევე მთელი რიგი სხვა თავისებურებები. განვიხილავთ ბევრ მოდელს, მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ სხვადასხვა ქვეყნის მოდელების კოპირება საქართველოში შეუძლებელია, რადგან აქ საჭიროა ინდივიდუალური მიდგომა. თუმცა, ჩვენ შევისწავლით ყველა არსებულ მოდელს, იმას, თუ რა არის მათში დადებითი და უარყოფითი. ჩვენ საქართველოში ექსპერიმენტების ჩატარებას არ ვაპირებთ. გვინდა, რომ საკითხი მაქსიმალურად არგუმენტირებულად იქნას გამოტანილი.

სწორედ ამიტომ შეიქმნა სახელმწიფო კომისია ამ შემადგენლობით. სახელმწიფო კომისია განსაზღვრავს ძირითად პრინციპებს, შეიქმნება სამუშაო ჯგუფები, რომელიც დაკომპლექტებული იქნება ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტებით, არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებით. კიდევ ერთხელ გავიმეორებ – სამსჯავროზე გამოვიტანთ მკაცრად არგუმენტირებულ საკითხებს, რათა ვიმსჯელოთ, ვიკამათოთ.

მალე პარლამენტში სარატიფიკაციოდ შევიტანთ თვითმმართველობის ევროპული ქარტიის მუხლებთან მიერთების საკითხს. ჩვენ ახლა იმის ანალიზს ვაკეთებთ, თუ რა მუხლებს უნდა შევუერთდეთ, რადგან იქ არის როგორც აუცილებელი, ასევე ნებაყოფლობითი მუხლები, ჩატარდება ექსპერტიზა და ამის შემდეგ მივიღებთ გადაწყვეტილებას.

რაც შეეხება რაიონებს. 70 წლის განმავლობაში საქართველოში სწორედ ეს მოდელი მუშაობდა. ჩვენ ვფიქრობთ, ერთ-ერთ სამუშაო ვარიანტად განვიხილოთ რაიონების გამსხვილებასთან დაკავშირებული საკითხები. თუმცა, ეს არ იქნება მექანიკური გაერთიანება. ჩვენ არც ის უნდა დავუშვათ, რომ თვითმმართველობა მოსახლეობას დაშორდეს. ესეც აუცილებლად გასათვალიწინებელია, რადგან თვითმმართველობა რაც უფრო დაცილდება მოსახლეობას, იგი ავტომატურად გადაიზრდება მმართველობით ფორმაში. განსახილველია, აგრეთვე, ისიც, თუ რამდენად მიზანშეწონილია ორდონიანი თვითმმართველობა და ასე შემდეგ. ვვარაუდობთ, რომ 2005 წლის ნოემბრისთვის ეს პროლემები უკვე მოგვარებული იქნება, - ამბობს ზურაბ მელიქიშვილი.

### არასამთავრობო სექტორის მოთხოვნები

იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც თვითმმართველობის პრობლემატიკაზე მუშაობენ, უკვე მთელი რიგი წინადადებები აქვთ შემუშავებული. მათი ძირითადი მოთხოვნები უცვლელია – ადგილობრივი და ცენტრალური ქონების გამიჯვნა, საბიუჯეტო უფლებამოსილებების მკაფიო განსაზღვრა, მერებისა და გამგებლების პირდაპირი წესით არჩევა.

ძნელი სათქმელია, რამდენად გაიზიარებს სამთავრობო კომისია არასამთავრობო ორგანიზაციათა წინადადებებს, მაგრამ როგორც სახელმწიფო კანცელარიასა და პარლამენტში გვარწმუნებენ, უკვე სექტემბერში თვითმმართველობის საკითხების განხილვას ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო აქტიურად დაიწყებს. მით უფრო, რომ სამთავრობო კომისიამ, სადაც ამ თემაზე მომუშავე საკმაოდ ბევრი ექსპერტი და პოლიტიკოსი შედის, პირობას იძლევა, რომ მომავალი არჩევნებისთვის კონსტიტუციასა და თვიმმართველობის შესახებ მიღებულ ახალ კანონში მათი მოსაზრებები მაქსიმალურად გათვალისწინებული იქნება.

სხვათა შორის, ამ ბოლო დროს არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ მოწყობას და თვიმმართველობის პრობლემებს არა ერთი სემინარი თუ კონფერენცია მიუძღვნეს. საბოლოო ჯამში კი, შეიძლება ითქვას, რომ მათი წინადადებები და ხედვები მთლიანად მიესადაგება იმ პრობლემებს, რომელიც ქვეყნის ხელისუფლებამ საკუთარ თავზე იტვირთა. "საქართველოს ქალაქების თვითმმართველობათა კავშირი", "სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრის", "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციისა" და "კავკასიური ინსტიტუტის" წარმომადგენლებმა, ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ, ქვეყნის ხელისუფლებას რამდენიმე ინიციატივით მიმართეს.

მათ შორისაა:

თბილისისა და ფოთის მერების არჩევითობა, სამხარეო რწმუნებულის ინსტიტუტის გაუქმება, სრულყოფილი მუნიციპალური თვითმმართველობის შემოღება და 2004 წლის პირველ ივნისამდე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის პრინციპების განსაზღვრა, რაიონების ლიკვიდაცია, რეგიონალიზმზე გადასვლა, ცენტრსა და რეგიონებს შორის ქონებრივი პრობლემების გადაჭრა და საბიუჯეტო უფლებამოსილებების გამიჯვნა, სახელმწიფო კანცელარიის რეგიონული სამსახურის რეორგანიზაცია.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები არც საქართველოს პრეზიდენტს ტოვებენ ყურადღების გარეშე. ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში მათ არაერთი ოფიციალური წერილი გაუგზავნეს მიხეილ სააკაშვილს. სხვათა შორის, სამუშაო ჯგუფის შექმნის აუცილებლობაზე პირველად სწორედ არასამთავრობო სექტორი ალაპარაკდა.

მაგალითად, ერთ-ერთი კონფერენციის მონაწილეებმა ოფიციალური წერილით მიმართეს პრეზიდენტს და სახელმწიფო მინისტრს, სადაც ამ ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობას ასე ასაბუთებენ:

"ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში დღემდე გრძელდება მართვის საბჭოური სტილი. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში თითქმის არ გადადგმულა არანაირი ნაბიჯი ქვეყანაში რეალური დეცენტრალიზაციისაკენ... ეს სიტუაცია ქვეყანაში შექმნილი უმწვავესი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია... აუცილებელია სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც ამ პრობლემას ერთხელ და სამუდამოდ მოაგვარებს."

# "თბილავიამშენს" "თბილავიამშენის" პროდუქციის ფასად ყიდულობენ

## ექსპერტები "თბილავიამშენის" პრივატიზების შესახებ

*"თბილავიამშენის" თურქმენეთის ვალის სანაცვლოდ გასხვისების სახელისუფლებო გადაწყვეტილებამ არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია პოლიტიკოსებსა და ექსპერტებს შორის.*

თამარ ხორბალაძე

განგაშის ზარი ამ თემაზე პირველმა რომან გოცირიძემ შემოჰკრა. მისი განცხადებით, საქართველოს ხელისუფლება ცდილობს, "თბილავიამშენი" მას გადასცეს, ვინც 2 წლის განმავლობაში საქართველოს თურქმენეთის ვალს დაუფარავს. რომან გოცირიძე საქართველოს ხელისუფლების ამგვარ ნაბიჯს ეწინააღმდეგება და აღნიშნავს, რომ აუცილებელია, "თბილავიამშენზე" ტენდერი გამოცხადდეს.

**"ტენდერი საქართველოს ხელისუფლებამ, "თბილავიამშენის" გადაცემასთან დაკავშირებით, აუცილებლად უნდა ჩაატაროს და შესაძლოა, გამოჩნდეს მყიდველი, რომელიც "თბილავიამშენში" უფრო მეტს გადაიხდის, ანუ საქართველოს უფრო მეტი რაოდენობის ვალი ჩამოეწერება.**

**დღეს "თბილავიამშენის" მმართველები საქართველოს ხელისუფლებას ჰპირდებიან, რომ თურქმენეთის ვალის ნაწილს - 67 მილიონს ჩამოაწერენ, მაშინ, როცა საქართველოს თურქმენეთის 200 მილიონამდე ვალი აქვს".**

პარლამენტარი ზურაბ ცქიტიშვილი კი ს/ს "თბილავიამშენის" პრივატიზებასთან დაკავშირებით საჯაროობას მოითხოვს და მიაჩნია, რომ შესაძლებელი იყო, პრივატიზაცია უფრო მომგებიან ფასში განხორციელებულიყო.

როგორც ცქიტიშვილმა დღეს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, ეკონომიკის სამინისტრომ პრივატიზაციის საკითხებთან დაკავშირებით საქმის კურსში უნდა ჩააყენოს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი და წარმოადგინოს ის სტრატეგია, რომელიც ე.წ. აგრესიულ პრივატიზაციასთან დაკავშირებით აქვს.

**"კარგი იქნებოდა, "თბილავიამშენში" აუდიტი ჩატარებულიყო და ის აქტივები შეფასებულიყო, რომლებიც ამჟამად საწარმოში არსებობს. ამის შემდეგ ნათელი გახდებოდა, რა ფასად შეიძლება, გაიყიდოს "თბილავიამშენი"**, - განაცხადა ცქიტიშვილმა.

მისი თქმით, ის ფაქტი, რომ მთავრობამ "თბილავიამშენი" მის მმართველ ჯგუფს შესთავაზა, კანონშეუსაბამობით გამართლებულია, თუმცა შეიძლებოდა, მის იმგვარი უფრო მომგებიანი ოპერაცია განხორციელებულიყო.

ეკონომიკური ექსპერტი დემურ გიორხელიძე აცხადებს, რომ 67 მილიონი ამ ქარხნის ფასად მართლაც არ არის დიდი თანხა, თუმცა, შესაძლოა, "გვერდითი ეფექტი" გაცილებით დიდი იყოს და, ამიტომ, ქართველი ინვესტორისთვის, გამოცდილი მენეჯერისთვის ქარხნის გადაცემა გამართლებულია.

ეკონომიკური ექსპერტი სოსო სიმონიშვილი კი აცხადებს, რომ **"არ არსებობს საქართველოში ხელშეკრულება, რომლის გადახედვაც შესაძლებელი არ არის. ამიტომ არგუმენტი იმის თაობაზე, რომ ხელისუფლებას საწარმოს ტენდერზე გამოტანის შანსი 9 წლის განმავლობაში არ ჰქონდა, არადამაჯერებელია".** მისივე თქმით, გასარკვევია, თუ რა თანხის ფასად აძლევენ ქარხანას თორდიას - მისი კუთვნილი დივიდენდის ანგარიშში თუ ქარხნის კუთვნილი შემოსავლის ფასად? აქვე იგი აცხადებს, რომ ტენდერის ჩატარება ყველა შემთხვევაში უფრო სამართლიანი და სწორი გადაწყვეტილება იქნებოდა.

## ხელისუფლება დაპირებებს პირველივე ობიექტის გაყიდვისას არღვევს

პირველი გვერდიდან

გავრცელებული ინფორმაციით, დღევანდელ მმართველ ჯგუფს 100 პროცენტით სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ქარხანა კერძო საკუთრებაში გადაეცემა - ამ სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი (!) ქარხნის მიერ მომავალში თურქმენეთისთვის გაწეული მომსახურების ფასად. (მხოლოდ 10 პროცენტი, ანუ სიმბოლური პაკეტი გადაეცემა ქარხნის თანამშრომლებს). პანტიკო თორდია და მისი ჯგუფი ქარხანას ქარხნის პროდუქციით ყიდულობს (?!).

**ხელისუფლება, რომელიც საზოგადოებას "სტრატეგიული" ობიექტების გაყიდვას ღია და გამჭვირვალე აუქციონის გზით ჰპირდებოდა, "თბილავიამშენი" მსგავს პერსპექტიულ საწარმოს პირდაპირი მიყიდვის წესით ყიდის.**

ამ გადაწყვეტილების სადღეისოდ ხელისუფლება იმელეილის იმ ფაქტს, რომ "თბილავიამშენი" 10 წლის მართვის უფლებით აქვს გადაცემული პანტიკო თორდიას და მის ფინანსურ ჯგუფს და ამიტომ, აუქციონის ან ტენდერის ჩატარებამდე მათ 9 წელი მოცდა მოუწევდათ. თუმცა, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ არ არსებობს საქართველოში ხელშეკრულება, მით უმეტეს - მართვის უფლების და იჯარის შესახებ, რომლის გადახედვა ახლად წარმოქმნილი გარემოებების პირობებში, პრაქტიკულად, წარმოუდგენელი და უთმელია. ხელისუფლებას ამ ხელშეკრულების გადახედვა არც უცდია.

**ხელისუფლება, რომელიც ამბობს, რომ მზადაა საქართველოში შემავალი დასავლური ფირმების შემოსვლისთვის შექმნას პირობები და საერთაშორისო ბიზნეს-თანამეგობრობაში ჩაერთოს, ქარხანას აძლევს მმართველ ჯგუფს, რომელმაც ირანთან ბიზნეს-ურთიერთობების დამყარება ამ ქვეყნის მიმართ ემბარგოს არსებობის პირობებში გადაწყვიტა და საქართველოს პოლიტიკური პრობლემები შეუქმნა.**

"24 საათი" დღეს ამ თემაზე დეტალურ ინფორმაციას შემოგთავაზებთ, თუმცა, ალბათ უპრიანი იქნება გავიხსენოთ, რომ პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ აღნიშნული მმართველი ჯგუფისთვის ქარხნის მართვის უფლების საჩქაროდ გადაცემას ერთ-ერთი სერიოზული საფუძველი ისიც ექცა, რომ მთავრობამ ამერიკელ და სხვა სტრატეგიულ პარტნიორებს წინაშე "ირანულ ინციდენტზე" პასუხისმგებლობის აცილება ამ გზით ცადა.

ასეთია რამდენიმე ძირითადი ტენდენცია, რომლებიც "დიდი პრივატიზაციის" გზაზე საქართველოს ხელისუფლების მიერ გადადგმულ პირველ ნაბიჯებში იკვეთება. ცხადია, რომ ეს ტენდენციები გარკვეულ ეჭვებსაც აჩენენ მთავრობის ზოგიერთი წევრის ობიექტურობასთან და მოტივაციასთან დაკავშირებით.

*24 საათი*

## "თბილავიამშენი" - ოფიციალური მონაცემები

### ისტორია

"თბილავიამშენი" (თბილისის ყოფილი სახელმწიფო საავიაციო ასოციაცია) შეიქმნა 1941 წლის 15 დეკემბერს. მეორე მსოფლიო ომის ადრეულ ეტაპზე ტაგანროგისა და სევასტოპოლის (უკრაინა) საავიაციო ქარხნები საქართველოში, კერძოდ კი, თბილისში გადმოიტანეს, სადაც მალე გამოუშვეს პირველი საბრძოლო თვითმფრინავი – LaGG-3. ამას მოჰყვა საბრძოლო თვითმფრინავების მთელი სერია. მოგვიანებით - 1957 წელს საბრძოლო-საწვრთნელი თვითმფრინავების გამოშვება დაიწყო. ერთ-ერთი იყო ორადგილიანი თვითმფრინავი MiG-21. შემდეგი ნაბიჯი იყო SU-25-ის შექმნა, რომელმაც მყიდველები მთელი მსოფლიო მასშტაბით მიიზიდა. 1980-იან წლებში თბილისის სახელმწიფო საავიაციო ასოციაციამ მონაწილეობა მიიღო ყოფილი საბჭოთა კავშირის კოსმოსურ პროგრამაში "ბურანი".

### დღევანდელობა

დღეისათვის "თბილავიამშენს" 2 300 ადამიანი ჰყავს დასაქმებული.

ქარხანა აწარმოებს SU-25-ს, რომელიც მსოფლიო ბაზარზე კარგი რეპუტაციით სარგებლობს. გაუმჯობესებული Su-25 - Scorpion, თბილავიამშენმა ისრაელის Elbit-თან ერთად შექმნა და განავითარა. Scorpion-ს აქვს საუკეთესო ახალი სანავიგაციო-ელექტრონული სისტემა, რომელშიც გაერთიანებულია იარაღის გამართვისა და ნავიგაციის სისტემა. იგი გამოიყენება როგორც ნატო-ს, ასევე დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის. თვითმფრინავს აქვს ასევე პილოტის ახალი შემოსილი კაბინა, დაჯავშნული საქარე მინით, რომელიც პილოტის უსაფრთხოებას განაპირობებს.

თბილავიამშენის საიტზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, ქარხანა ასევე უშვებს MI ტიპის შვეულმფრენს, რომელსაც დღეს პროექტზე ძველი იგრ-სახე, ასევე - MiG- 21 ტიპის საბრძოლო თვითმფრინავს.

ქარხნის პროდუქცია გაზის გამათბობელი "HERCULE", რომელიც შექმნილია საცხოვრებელი და კომერციული შენობებისთვის (ბინები, ოფისები, საწყობები). ათბობს 70 კვ.მ ტერიტორიას.

ქარხანა აწარმოებს წყლის გამაცხელებელს "Geizer", რომელიც მუშაობს როგორც ბუნებრივ, ასევე თხევად გაზზე. მას აქვს უსაფრთხოების ავტომატური მექანიზმი, რომელიც მომხმარებლისა თუ შენობის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

### ახალი პარტნიორები და მნიშვნელოვანი პროექტები

პროგრამა "Scorpion"

თბილავიამშენისა და ისრაელის შპს "Elbit Systems" ერთობლივი პროგრამა, რომლის მიზანია SU-25 მოარგოს დასავლურ სისტემას. მოდერნიზებული თვითმფრინავი, დაახლოებით შვიდ თვეში შექმნეს და გამოსცადეს კიდეც. თბილავიამშენმა წარადგინა Scorpion პარიზის საჰაერო შოუზე.

პროგრამა "Convair 5800 "

თბილავიამშენისა და კანადის შპს" Kelowna FlightCraft R&D" ერთობლივი პროექტი. ავიამშენის ინჟინრები და მუშები რამდენიმე თვის განმავლობაში იყვნენ კანადაში, ზემოთ აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად.

პროგრამა "Tiger Aircraft"

კომპანიის საიტზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, მიმდინარეობს მოლაპარაკებები აშშ-ის "Tiger Aircraft" კომპანიასთან, კომპანიის ისეთი კომპონენტების უზრუნველსაყოფად, როგორიცაა თვითმფრინავის ფრთები, ფუზელაჟი, კუდი.

თბილავიამშენის სრული კომპიუტერიზაციის პროგრამა

კომპანიამ კონტრაქტი გააფორმა IBM-თან კომპიუტერული ქსელის დასანერგად და გასაუმჯობესებლად. ამჟამად კომპანიის ინჟინრები იყენებენ კომპიუტერის ბოლო გამოშვების CAD/CAM აღჭურვილობას. პროგრამის მიზანია, თანამედროვე კომპიუტერული მოწყობილობების ფართო დანერგვა და შესაბამისად მათი გამოყენება.

*მომზადა*
*ნინო ტაკარაძე*


**ს.ს. "თელასის" აცხადებს ტენდერს პლასტმასის და ლითონის მილების მოწოდებაზე:**

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ საქონელი უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი და შესაბამისი გარანტიებით.

დაინტერესებულ ორგანიზაციებს სატენდერო დოკუმენტაციის წაღება შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

მისამართი: თბილისი, ვანის ქ.3, მე-3 სართული, კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილება.

ტელ: 77 93 55, 77 98 87, 77 98 53

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტების წარდგენის საბოლოო ვადაა 2004 წლის 9 აგვისტო.


## პანტიკო თორდია „თბილავიამშენის" ვალებში გადაცემას არ უარყოფს

სოფო თბილელი

*"თბილავიამშენის" პრივატიზებასთან დაკავშირებით ატეხილი ხმაურის გამო, "24 საათი" "თბილავიამშენის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს პანტიკო თორდიას დაუკავშირდა.*

**"ხუთი წლის წინ ქარხანას 25 მილიონი ლარი ვალი ჰქონდა. არც დენი იყო, არც წყალი და, საერთოდ, ქარხანა არაპერსპექტიული იყო. ჩვენ ვალები გადავიხადეთ და უკვე სამი წელია, ქარხანა ბიუჯეტში ყოველწლიურად საკმაოდ სოლიდურ თანხებს რიცხავს,"** - განაცხადა "თბილავიამშენის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ პანტიკო თორდიამ. მისივე განმარტებით, ამჟამად, ქარხანა კანონით გათვალისწინებულ გადასახადებსაც პირნათლად იხდის, ბიუჯეტში დივიდენდებსაც რიცხავს და მომგებიანიცაა. თორდიას თქმით, უკვე წლებია, სახელმწიფოს ქარხნისთვის ერთი თეთრიც კი არ გადაურიცხავს.

**"პირიქით, აქეთ ვუხდით სახელმწიფოს,** - აცხადებს "თბილავიამშენის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. მისი ინფორმაციით, მიმდინარე წლის შვიდი თვის განმავლობაში ქარხნის მიერ ბუჯეტში შეტანილმა თანხებმა 30 მილიონი ლარი შეადგინა. თორდიას ვარაუდით, წლის ბოლომდე ეს თანხა 43-44 მილიონ ლარს გადააჭარბებს. "თბილავიამშენის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მხარს უჭერს "დიდ პრივატიზაციას". უფრო მეტიც, აცხადებს, რომ სახელმწიფო ქონების გასხვისების პროცესი დიდი ხნის წინ უნდა დაწყებულიყო, რადგან სახელმწიფო არაფერს აკეთებს და ვერც ვერაფერს გააკეთებს არსებული ქონების სასარგებლოდ.



*პანტიკო თორდია "თბილავიამშენსაც" ყიდულობს და თურქმენეთის ვალების გასტუმრებას სახელმწიფოს იქით ამადლის.*

რაც შეეხება "თბილავიამშენის" კერძო საკუთრებაში გადაცემის საკითხს, პანტიკო თორდია ადასტურებს, რომ ქარხნის შესყიდვა, პრინციპში, თურქმენეთისთვის გაწეული მომსახურების ხარჯზე ხდება. იქვე დაწვრილებით განმარტავს ქარხნის ვალებში გადაცემის პროცესს - თურქმენეთისათვის გაწეული მომსახურების გამო, ქარხნის მიმართ სახელმწიფოს დავალიანება ამჟამად 54 მილიონი დოლარით განისაზღვრება. "თბილავიამშენი" კი 67 მილიონ დოლარადაა შეფასებული. თურქმენეთის მიმართ არსებულ ვალს სახელმწიფო "თბილავიამშენის" მომსახურებით, კერძოდ, თვითმფრინავებით იხდის. კომპანიის მიმართ არსებულ დავალიანებას კი სახელმწიფო 25-პროცენტიანი შეღავათით აბრუნებს უკან. **"ყველაფერი ღიაა, თანხა, რაც სახელმწიფოს უნდა გადაეხადა თურქმენეთისათვის, ახლა ფინანსთა სამინისტრომ ჩვენ უნდა გადაგვიხადოს. თან, ისიც გაითვალისწინეთ, რომ ჩვენ სახელმწიფოს 25-პროცენტიან შეღავათს ვუკეთებთ. ამასთანავე, სახელმწიფო არც მომსახურების 6-7 პროცენტს იხდის. ეს არ არის ქაღალდებზე ჩათვლა. ეს არის ნაღდი ფული. ნოღაიდელმა უნდა გადმომირიცხოს ნაღდი ფულით ის თანხა, რა დავალიანებაც აქვს ბიუჯეტს "თბილავიამშენის" მიმართ. მერე კი, როცა ქარხნის შესყიდვაზე შევთანხმდებით, როგორც კი მოითხოვენ, იმ დღესვე უნდა გადავურიცხო ბიუჯეტს ქარხნის საფასური",** - განმარტავს თორდია. მისივე თქმით, ასეთი "გარიგება" (25-პროცენტიანი დისკონტი და მომსახურების პროცენტის არგადახდა) სახელმწიფოს ხელს აძლევს.

რაც შეეხება დანარჩენ ვალს, "თბილავიამშენის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის თქმით, ქარხანა კვლავ გააგრძელებს ვალის მომსახურებას, მაგრამ ამჯერად, უკვე როგორც კერძო ქარხანა (ცნობისთვის - ქარახანა ერთ "სუ-25-ს" ხუთ მილიონ აშშ დოლარად ამზადებს.)

თურქმენეთის ვალის მომსახურების გარდა, "თბილავიამშენს" თავისი პროდუქცია სხვა ბაზარზეც გააქვს. თორდიამ დეტალებისა და კლიენტების დაკონკრეტებისგან თავი შეიკავა, თუმცა განმარტა, რომ ქარხანა რამდენიმე მიმართულებით მუშაობს, კერძოდ, ახალი ბიზნეს-თვითმფრინავების დამზადება-გაყიდვა, მოდერნიზება და სამოქალაქო პროდუქცია.

შეგახსენებთ, რომ შპს "თბილავიამშენს" ქარხანა 10 წლის მართვის უფლებით შარშან გადაეცა. პანტიკო თორდიას განმარტებით, სამართლებრივი ფორმის შეცვლა უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობების გასამყარებლად გადაწყდა. მისი განმარტებით, უცხოელი პარტნიორები ყოველთვის თავს იკავებენ საქმიანი ურთიერთობების დამყარებისგან ისეთ ორგანიზაციებთან, სადაც საკონტროლო პაკეტის მფლობელი სახელმწიფოა.

## სკანდალი პანტიკო თორდიას გარშემო

*საქართველოს ხელისუფლებას გადაწყვეტილი აქვს, პირდაპირი მიყიდვის წესით და არა ტენდერით, "თბილავიამშენი" გადასცეს პანტიკო თორდიას და მის ფინანსურ ჯგუფს. ამის არგუმენტად კი სახელდება ის, რომ 31-ე ქარხანა თორდიას 10 წლით მართვის უფლებით აქვს გადაცემული, ამ დროიდან კი, ჯერჯერობით, ერთი წელია გასული. "24 საათმა" გადაწყვიტა გაეხსენებინა ის პერიოდი, როდესაც პანტიკო თორდიას 10 წლის ვადით მართვის უფლება გადაეცა და ის სკანდალი, რომელიც ამ ფაქტს წინ უძღვოდა და რომელიც ძველი ხელისუფლების პირობებში მიჩუმდა.*

ნინო გომართელი

სკანდალი კი ასე აგორდა: თბილავიამშენის" პრივატიზაციამდე ოთხი დღით ადრე, პარლამენტარი, "დემოკრატიული აღორძინების კავშირის" ლიდერი ჯემალ გოგიტიძე უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს სხდომაზე გამოდის და მაშინდელი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ქვეშევრდომს პანტიკო თორდიას ბრალს სდებს:

**"31-ე ქარხანაში მზადდება "სუ-25"-ის ნაწილები, რომელიც ირანში არალეგალურად გადის. კონტრაბანდული ტვირთი დაკავებულია აზერბაიჯანში. საქმე ეხება ურთიერთობას სხვა ქვეყნებთან და ფარულ თანამშრომლობას იარაღის წარმოებასთან დაკავშირებით,"** – განაცხადა სიტყვით გამოსვლისას გასული წლის 14 მარტს ჯემალ გოგიტიძემ.

აღნიშნული ფაქტის კომენტირებისას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე აცხადებს, რომ საქმის კურსში ჩააყენებს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს და უშიშროების საბჭოს მდივანს. ამასთან, იგი საკითხის შესწავლას ითხოვს როგორც პარლამენტის შესაბამისი კომიტეტებისგან, ისე გენერალური პროკურატურისგან.

ირანის ისტორიას საქართველოს პარლამენტს პირველად აცნობს "თბილავიამშენის" ქარხნის დირექტორის ყოფილი მოადგილე თემურ კობახიძე.

მისი ინფორმაციით, სააქციო საზოგადოება "თბილავიამშენის" აქციების 100 პროცენტს სახელმწიფო ფლობდა, ქონების მართვის სამინისტროს მიერ დანიშნული იყო სამეთვალყურეო საბჭო, რომლის თავმჯდომარეც იმ ეტაპზე გახლდათ პანტიკო თორდია.

კობახიძის განცხადებით, 2002 წლის დასაწყისში გაფორმდა კონტრაქტი დუბაის ფირმა "ჰმს ლტდ"-სთან, SU-25-ის სათადარიგო ნაწილების მიყიდვასთან დაკავშირებით. ირანის ისლამურ რესპუბლიკას შეიარაღებაში აქვს 7 ცალი მოიერიშე SU-25 ტიპის თვითმფრინავი, რომელიც კაპიტალურ შეკეთებას საჭიროებს. "თბილავიამშენის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა შეეკეთებინა ეს თვითმფრინავები, მაგრამ მალულად, რადგან აშშ-ს მიერ ირანი გამოცხადებული იყო საერთაშორისო ტერორიზმის მხარდამჭერ სახელმწიფოდ. ამიტომაც, კობახიძის ინფორმაციით, თორდიამ 50-ზე მეტ სპეციალისტს დააწერინა განცხადება უხელფასო შვებულებაზე, გაუკეთეს საზღვარგარეთის პასპორტები, ტურისტულ ფირმა "ამირში" ჩაარტყმევინეს ირანის ვიზები და გაუშვეს, როგორც ტურისტები. ისინი კი ადგილზე, წარმოების უფროსის გია ჯამასპიშვილის ხელმძღვანელობით, შეუდგნენ სამხედრო თვითმფრინავების კაპიტალურ რემონტს. ეს ფაქტი ამერიკის შეერთებულ შტატებს, რასაკვირველია, არ გამოპარვია და საქმის გამოძიება და დამნაშავის დასჯა მოითხოვა.

თვითონ პანტიკო თორდია გამოვიდა ტელევიზიით და განაცხადა, რომ ეს ხალხი ემიგრანტებია, რომ ჩვენი ქარხანა 10-12 ათასმა ადამიანმა დატოვა და ყველას მოქმედებას ვერ ვაკონტროლებთო.

"თბილავიამშენი" 72 ათასი აშშ დოლარის ღირებულების ტვირთს აგზავნის ირანში, ეს პირველი ტვირთი დააკავეს აზერბაიჯანში ირანის საზღვართან, როგორც კონტრაბანდული. მძღოლს აკავებენ, ხოლო ტვირთს კონფისკაციას უკეთებენ.

ასტარის სასამართლოსათვის მიწერილ წერილში "თბილავიამშენი" ამ ყველაფერს აპროტესტებს. მათი მტკიცებით, ტვირთი ნორმების დაცვით გადადიოდა ირანში. ასევე, მოითხოვდნენ, რომ სასამართლოს განეხილა ტვირთის გათავისუფლების და შემდგომ მისი "თბილავიამშენისთვის" დაბრუნების საკითხი.

ამ ყველაფერზე პარლამენტში ისევ კობახიძე აკეთებს სკანდალურ განცხადებას: **"ამ ტვირთის აზერბაიჯანში დაკავების შემდეგ წარმოიშვა სასწრაფო საჭიროება ირანში სათადარიგო ნაწილების ხელახლა მისაწოდებლად. თორდია სხვა ხერხს მიმართავს და "ავიამშენის" კუთვნილ სატვირთო თვითმფრინავს აჰ-26-ს აგზავნის ირანში, ეს შეიძლება შემოწმდეს "საქაერონავიგაციის" მონაცემებით".**

პარლამენტის სხდომაზევე ნინო ბურჯანაძე უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს იმ დადგენილებას იხსენებს, რომელიც სწორედ სტრატეგიული ობიექტების გასხვისებასთან დაკავშირებით მიიღეს.

**"არ მინდა პრივატიზების პროცესში ჩავერიო, მაგრამ ჩვენ მიღებული გვაქვს დადგენილება სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების პრივატიზებასთან დაკავშირებით. ეს დადგენილება ძალაშია და ძალიან მიკვირს, რომ მთავრობა ამ დადგენილების სრულ იგნორირებას ახდენს – პარლამენტის კომიტეტებს ინფორმაცია უნდა ჰქონდეთ,"** – განაცხადა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარემ.

თუმცა, საქმე ის არის, რომ პარლამენტმა აღნიშნული დადგენილება მართლაც მიიღო, თუმცა შენიშვნით, რომ გარკვეული ვადის განმავლობაში მთავრობას სტრატეგიული ობიექტების ჩამონათვალი უნდა წარმოედგინა, რაც საბოლოოდ არ მომხდარა.

პარლამენტის იურიდიული კომიტეტი აგზავნის წერილებს სხვადასხვა სამინისტროებში, უწყებებში და მათგან დოკუმენტაციებს ელის.

პროკურატურა ამ საკითხის შესწავლას ნინო ბურჯანაძის დავალების შემდეგ იწყებს, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტში ასეთი ამბავი ტყდება, მაინც ტარდება ტენდერი და თორდიას 10 წლით მართვის უფლებით "თბილავიამშენი" მაინც გადაეცემა.

## პოლიტიკოს თორდიას უკანდახევა

ნინო გომართელი

ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ქვეშევრდომის, "თბილავიამშენის" გენერალური დირექტორის ბიოგრაფიაში, მართალია, არახანგრძლივ, თუმცა მაინც საინტერესო პოლიტიკურ მოღვაწეობასაც ჰქონდა ადგილი.

გასული წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში, სახელისუფლებო ბლოკის "ახალი საქართველოსათვის" სახელით პანტიკო თორდია სამგორის რაიონში მაჟორიტარ დეპუტატად იყრიდა კენჭს, მისი მთავარი კონკურენტი "გაერთიანებული დემოკრატების" წევრი, ამჟამად კი პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი იყო.

ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ, ძველი სახელისუფლებო გუნდის წესისამებრ, იგი მოსახლეობაში, ხმების სანაცვლოდ, გარკვეულ თანხებს არიგებდა. ამასთან, "თბილავიამშენის" ხელმძღვანელმა დაიქირავა უცხოელი იმიჯმეიკერები, რომლებმაც არცთუ კარგად შეასრულეს დაკისრებული ვალდებულება და სახელისუფლებო გუნდის ერთ-ერთ გამორჩეულ სახეს საკმაოდ ცუდი წინასაარჩევნო კამპანია ჩაუტარეს.

საბოლოოდ მოხდა ის, რომ 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება ვერც თორდიამ და ვერც მიხეილ მაჭავარიანმა ვერ მოიპოვეს.

ამას კი "ვარდების რევოლუცია" და ედუარდ შევარდნაძის და მისი გუნდის პოლიტიკური არენიდან წასვლა მოჰყვა.

პანტიკო თორდიასთან დაკავშირებული კიდევ ერთი ინციდენტი – 2003 წლის 26 ნოემბერს თორდიას თავს დაესხნენ. თბილისში, საკუთარი სახლის წინ საღამოს "თბილავიამშენის" დირექტორს დაუდგენელმა პირებმა ესროლეს.

თორდია მიიჩნევს, რომ შევარდნაძის გუნდს თავიდან იშორებენ და პოლიტიკური სცენიდან ქრება.

ინიშნება მაჟორიტარული წესით საპარლამენტო არჩევნების მეორე ტური, თანაც - 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად, და პანტიკო თორდია მიხეილ მაჭავარიანის სასარგებლოდ საკუთარ კანდიდატურას ხსნის...

# ვაშინგტონის მოკავშირე ნარკოტრაფიკთან ბრძოლაში

ლევან გელაშვილი

ამერიკული დაზვერვის 1991 წლით დათარიღებული ანგარიშის თანახმად, რომელსაც გრიფი "საიდუმლო" ახლახან ახსნეს, კოლუმბიის პრეზიდენტი ალვარო ურიბე, თავის დროზე, კოლუმბიის ერთ-ერთი უძლიერესი ნარკობარონის პაბლო ესკობარის პარტნიორი და თანამზრახველი იყო. დღეს ურიბე ნარკოტრაფიკის წინააღმდეგ ბრძოლაში ვაშინგტონის ერთ-ერთი უდიდესი მოკავშირე გახლავთ.

კოლუმბიის პრეზიდენტის წარმომადგენელმა თავდაცვის სამინისტროს სადაზვერვო სამმართველოს (Defense Intelligence Agency) მიერ მომზადებულ ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები 2002 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ ურიბეს მოწინააღმდეგეთა მიერ წარმოებულ ბინძურ კამპანიას შეადარა. მისი თქმით, პრეზიდენტის მოწინააღმდეგეები იდენტურ ინფორმაციას ავრცელებდნენ. ამერიკელ დიპლომატთა და დაზვერვის მაღალჩინოსანთა აზრით, ამ სახის ანგარიშები, შესაძლოა, მრავალ უზუსტობას შეიცავდეს.

ანგარიში, რომელიც დათარიღებულია 1991 წლის 23 სექტემბრით და რომელიც, "ინფორმაციის თავისუფლების აქტის" შესაბამისად, ერთ-ერთი კვლევითი ჯგუფის – "ეროვნული უსაფრთხოების არქივის" მიერ იქნა მოპოვებული, იუწყება, რომ სენატორი ალვარო ურიბე "უმაღლეს სამთავრობო დონეზე თანამშრომლობდა მედელინის კარტელთან". ასევე ნათქვამია, რომ ბატონი ურიბე კარტელის ლიდერის, პაბლო ესკობარის "უახლოესი მეგობარი" იყო და ესკობარის კონგრესში მოხვედრას სწორედ მან შეუწყო ხელი. ანგარიშის თანახმად, ურიბე შეერთებულ შტატებში ნარკოტიკებთან დაკავშირებულ ბიზნესს ეწეოდა, როგორც სენატორი ნარკოტიკებით მოვაჭრეთა აშშ-ში ექსტრადიციას ეწინააღმდეგებოდა და მისი მამა, ალბერტო ურიბე სწორედ მისი კავშირების გამო მოკლეს.

ურიბეს წარმომადგენელმა რიკარდო გალანმა "ნიუ იორკ თაიმზს" 8 პუნქტისაგან შემდგარი საპასუხო წერილი გაუგზავნა, სადაც ნათქვამია, რომ თავდაცვის სადაზვერვო სამსახურის ანგარიში სიმართლეს არ შეესაბამება. მისი თქმით, 1991 წელს ურიბე ჰარვარდში სწავლობდა და აშშ-სთან არავითარ გარიგებებს არ აწარმოებდა. მან ასევე განაცხადა, რომ ალბერტო ურიბე მარქსისტმა აჯანყებულებმა მოკლეს, რომლებიც მის გატაცებას აპირებდნენ. რაც შეეხება იმას, რომ ურიბე ნარკომოვაჭრეთა ექსტრადიციას უპირისპირდებოდა, გალანმა დააზუსტა, რომ მაშინდელი სენატორი მხოლოდ და მხოლოდ ექსტრადიციასთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარების წინააღმდეგი იყო. გალანის საპასუხო წერილში არაფერია ნათქვამი იმ განცხადებების თაობაზე, რომ ურიბემ ესკობარის კონგრესში მოხვედრას შეუწყო ხელი.

სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა რობერტ ციმერმანმა ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემები უფრო დაჟინებით უარყო. "ჩვენ კატეგორიულად უარვყოფთ პრეზიდენტ ურიბეს შესახებ გაკეთებულ ამგვარ განცხადებებს. ჩვენ არ გაგვაჩნია დამაჯერებელი



ალვარო ურიბე ნარკოტრაფიკთან ბრძოლაში აშშ-ს უდიდესი მოკავშირე გახლავთ.

ინფორმაცია, რომელიც 1991 წელში მომზადებულ ანგარიშს დაადასტურებდა ან გაამყარებდა".

ყოველივეს მიუხედავად, ანგარიში 2001-2002 წლებში ურიბეს წინასაარჩევნო საპრეზიდენტო კამპანიის დროს მისი მისამართით გაკეთებული განცხადებების შესახებ მრავალ კითხვას წარმოშობს, რომელთა მიხედვითაც, მას ოჩოას კლანთან სავარაუდო კავშირში ედებოდა ბრალი. თუმცა, სერიოზული სამხილები წარმოდგენილი არ იქნა და დაპირებებით, რომ მარქსისტებისა და ნარკოდილერების წინააღმდეგ მტკიცედ იბრძოლებდა, ურიბემ საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა. მას შემდეგ, აშშ-მ ალვარო ურიბეს ყოველმხრივი მხარდაჭერა აღუთქვა, რომელიც, ნარკოტრაფიკთან ბრძოლაში აშშ-ს ერთ-ერთ უახლოეს მოკავშირედ მიიჩნევა.

ურიბეს პრეზიდენტობის ორი წლის მანძილზე, ვაშინგტონის ფინანსური მხარდაჭერით, კოლუმბიაში კოკას მინდვრების უმრავლესობა განადგურდა. დაახლოებით 150 კოლუმბიელი ნარკოდილერი აშშ-ში იქნა ექსტრადირებული. შედარებისათვის, ურიბეს წინამორბედის ოთხწლიანი პრეზიდენტობის პერიოდში ექსტრადირებულთა რიცხვი ორჯერ ნაკლები იყო.

მაღალი რანგის დიპლომატები და დაზვერვის თანამშრომლები, რომლებიც ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლაში არიან ჩაბმული, აცხადებენ, რომ აღნიშნული ანგარიშიდან დასკვნების გამოტანა შეუძლებელია, რადგან მსგავსი დოკუმენტებს, როგორც წესი, საკონტროლო შემოწმებისა და ზედამხედველობის გარეშე ადგენენ.

"ეროვნული უსაფრთხოების არქივის" კოლუმბიის დოკუმენტაციაზე მუშაობის პროექტის დირექტორი მაიკლ ევანსი კი მიიჩნევს, რომ ანგარიში იძლევა საკმაოდ ძლიერ საბაბს ნარკოტიკების ვაჭრობაში მონაწილეობის შესახებ. "ჩვენ ახლა უკვე ვიცით, რომ თავდაცვის სადაზვერვო სამსახურმა, ან საკუთარ წყაროებზე დაყრდნობით ან კიდევ სხვა საგამოძიებო სააგენტოს მეშვეობით, მოიპოვა ინფორმაცია, რომ ალვარო ურიბე კოლუმბიის ნარკოტიკების მოვაჭრეთა შორის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა", - აღნიშნა მან. თუმცა, მას არ დაუკონკრეტებია, თუ რომელი სააგენტოს ცნობები იქნა გამოყენებული. მისი თქმით, დოკუმენტის მოკლე შინაარსი ინფორმაციას უფრო მნიშვნელოვან კოლუმბიელ ნარკოდილერებზეც იძლევა.

ანგარიშში ნათქვამია, რომ მასში აღნიშნული ზოგიერთი პიროვნების შესახებ ინფორმაცია სხვა სააგენტოებთან ერთად იქნა გადამოწმებული, თუმცა, გაურკვეველია, შედის თუ არა ურიბე იმ პირთა სიაში, რომელთა ნარკოტიკებთან კავშირიც გადაამოწმეს.

საიდუმლო დოკუმენტი მოიცავს ნარკოტიკებით მოვაჭრე და მათთან დაკავშირებული 104 პიროვნების სიას, რომელშიც შედიან ადვოკატები, მემარჯვენე პარლამენტარები, პერუელ აჯანყებულთა მეთაური და კოლუმბიელი მომღერალი. სიაში შესული არიან პაბლო ესკობარი; მანუელ ნორიეგა - პანამის ყოფილი პრეზიდენტი, რომელიც ნარკოტიკებით ვაჭრობისათვის ფლორიდაში იხდის სასჯელს; ადნან კაშოგი – იარაღით მოვაჭრე და პედრო ხუან მორენო – კოლუმბიელი ბიზნესმენი და ურიბეს მეგობარყოფილი, რომელსაც ნარკოტიკებით ვაჭრობას უყენებდნენ ბრალად, თუმცა ოფიციალურად სამართალში არ მიუციათ.

ახლო წარსულში მრავალი კითხვა წარმოიშვა ურიბეს ოჩოას ოჯახთან მეგობრული კავშირების შესახებ. ეს უკანასკნელი, პაბლო ესკობართან ერთად კოკაინით ვაჭრობაში იყო ჩართული. ალვარო ურიბეს ბრალად ედებოდა, აგრეთვე, კოკაინის ტრანსპორტირებისათვის გასამართლებული პილოტებისათვის ნებართვების გაცემა, რადგან ის სამოქალაქო ავიაციას ხელმძღვანელობდა. 1995-1997 წლებში, ანტიოქიის გუბერნატორად ყოფნის პერიოდში, შტატში ნარკოდილერთა გასამხედროებული ჯგუფების რაოდენობა საკმაოდ მომრავლდა.

ალვარო ურიბე ყველანაირ ბრალდებას უარყოფდა. უფრო მეტიც, კოლუმბიაში უჩვეულო არაფერია იმაში, რომ პოლიტიკოსები, ცნობილი პიროვნებები და მეწარმეები ნარკოდილერებს იცნობენ. ურიბე, მაგალითად, აცხადებს, რომ ოჩოას ოჯახს იცნობდა იმდენად, რამდენადაც მათთან ერთად კოლუმბიურ პასო ფინოს ჯიშის ცხენებთან დაკავშირებით საერთო ინტერესები გააჩნდა. 1994-1998 წლებში კოლუმბიის ყოფილ პრეზიდენტს, ერნესტო სამპერს ნარკოდილერებისაგან ფულის აღება ედებოდა ბრალად, რომელსაც საბოლოო ჯამში აშშ-ს ვიზის გაცემაზე უარი ეთქვა.

"წარმოუდგენელი არაფერია, რადგან 1980-იან წლებში ნარკობიზნესმა პიკს მიაღწია და პაბლო ესკობარი უკიდურესად ავტორიტეტული ფიგურა გახდა. სამწუხაროდ, გასაკვირი არ არის, რომ საკმაოდ ცნობილ და ძლიერ პოლიტიკურ მოღვაწეებსა და პაბლო ესკობარს შორის გარკვეული კონტაქტები იარსებებდა", - აცხადებს "ინტერამერიკული დიალოგის" ვაშინგტონის ოფისის უფროსი ანალიტიკოსი, მაიკლ შიფერი.

მორის ბასბი, რომელიც კოლუმბიაში ელჩად მას შემდეგ დაინიშნა, რაც აღნიშნული ანგარიში დაიწერა, აცახადებს, რომ მას ანგარიშის თაობაზე არაფერი ახსოვს და ირწმუნება, რომ სადაზვერვო სამსახურების მიერ დამუშავებული ზოგიერთი ანგარიში, საბოლოო ჯამში, საეჭვო დასკვნების გაკეთების საფუძველი გამხდარა. ბასბი, სხვა დიპლომატებისა და დაზვერვის თანამშრომლების მსგავსად, აღნიშნავს, რომ აღნიშნული ანგარიში "ბოლომდე შეჯამებული" არაა და მისი ავტორი გადაუმოწმებელ და დაუმუშავებელ ინფორმაციას ეყრდნობოდა.

ლათინური ამერიკის საკითხებში სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწე, ბერნარდ არონსონი, რომელიც 1990-იან წლებში კოლუმბიაში ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლას ზედამხედველობდა, აცხადებს, რომ ხშირად, ნარკოტიკების ვაჭრობის შესახებ დაზვერვის ანგარიშში, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და სხვა შესაბამის სააგენტოებს შორის დაფინანსებისა და პრესტიჟისთვის ბრძოლის მოტივაცია იყო შედგენილი. "ეს მხოლოდ ხალხია, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებიან. ისინი ზოგჯერ "კოვბოიად" გვევლინებიან და ხშირად ანალიტიკურ ნიჭს ვერ ამჟღავნებენ", - აცხადებს არონსონი აღნიშნული სააგენტოების თანამშრომელთა მისამართით.

## რას ჩუქნიდნენ გასულ წელს ამერიკელ სახელმწიფო მოღვაწეებს?

*გუშინ რუსულ ინტერნეტ-გამოცემა "გაზეტა.რუ"-ზე საინტერესო ინფორმაცია გამოქვეყნდა, სადაც სრული სერიოზულობით იყო გაანალიზებული აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიური ანგარიში იმის შესახებ, თუ რა სახის და ღირებულების საჩუქრები მიართვეს ამერიკელ პირველ პირებს 2003 წელს.*

ნიკა თარაშვილი

დემოკრატიული სახელმწიფო სხვა ტიპის ქვეყნებისგან იმითაც განსხვავდება, რომ იქ ჩინოვნიკები ვალდებულნი არიან არა მარტო სახელმწიფო ქონების მიღება-განკარგვის შესახებ მიაწოდონ ინფორმაცია ფართო საზოგადოებას, არამედ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში მათთვის სხვა სახელმწიფოების მეთაურთა მიერ გამოჩენილი კეთილგანწყობის, იგივე მატერიალური საჩუქრების შესახებაც მოუყვნენ თავიანთ მოქალაქეებს.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმაც არ უღალატა დემოკრატიულობის ტრადიციას და პირნათლად გამოაქვეყნა გასულ წელს სხვა სახელმწიფოს მეთაურებისაგან ამერიკელებისთვის მირთმეული საჩუქრების სრული სია. რა თქმა უნდა, ამ სიაში უმეტესი ნაწილი ძვირფასი სუვენირების ჩამონათვალია, მაგრამ ზოგ საკმაოდ უცნაურ საჩუქარსაც შეხვდებით.

მირთმეულ საჩუქრებზე მეტად, შეიძლება, მჩუქებელთა ვინაობა იყოს საინტერესო. აღსანიშნავია. რომ 2003 წელი ერთ-ერთი ყველაზე რთული იყო აშშ-სთვის – ამ წელს ერაყის ომი დაიწყო, და თითქოს ორ თვეში დასრულდა კიდეც. მაგრამ შემდეგ წლის განმავლობაში მიმდინარე მოვლენები ასეთი დასკვნის საშუალებას არ იძლევა. ერაყის ომმა აშშ-ს ფრიად გაურთულა ურთიერთობები მოკავშირეებთან, არა მარტო ისლამურ სამყაროში, არამედ ევროპაშიც.

თუმცა, როგორც ირკვევა, ამერიკის პირველი პირებისათვის მირთმეულ საჩუქრებს ამით დიდად არაფერი დაჰკლებია. მართალია, საფრანგეთსა და გერმანიას, ამ მხრივ, დიდი სიუხვე არ გამოუჩენიათ, მაგრამ აშკარად გულუხვი იყო საუდის არაბეთის პრინცი აბდალა. მან, პირდაპირი გაგებით, ოქროთი შეამკო თეთრი სახლი. აშშ-ს პირველმა ლედიმ არაბი მონარქისაგან 95 ათასი აშშ დოლარის ღირებულების ძვირფასეულობა მიიღო – ბრილიანტისა და საფირონის საყურეები, სამაჯურები და ყელსაბამები. საუდეველთა დინასტიას გულნაკლულად არც ჯორჯ ბუში დაუტოვებია - მას 8.500-დოლარიანი მოოქროვილ-მოვერცხლილი დასადგამი საათი აჩუქეს. აღსანიშნავია, რომ არაბმა პრინცმა უსაჩუქროდ არც სხვა მნიშვნელოვანი მოხელეები დატოვა - კონდოლიზა რაისმა და კოლინ პაუელმაც მიიღეს საჩუქრები. ამგვარად, ქალბატონ რაისს საუდეველი პრინცისგან ცხენის 3000-დოლარიანი სკულპტურა შეხვდა – შესაძლოა, სიმბოლური მნიშვნელობისაც, ცხენს ხომ ბევრ ქვეყანაში ენერგიის, ძალაუფლებისა და სილამაზის სიმბოლოდ აღიქვამენ; ხოლო ბატონ პაუელს, რატომღაც, ათასხუთას-დოლარიანი ქაღალდის საჭრელი დანა აჩუქა, რის სიმბოლოდ - ალბათ, კოლინ პაუელიც ვერ მიხვდა.

შარშან საჩუქრებში სიძუნწე აშშ-ს კიდევ ერთ ერთგულ მოკავშირეს სილვიო ბერლუსკონისაც არ გამოუჩენია. თეთრი სახლის მესვეურთათვის 2003 წელს მირთმეულმა მისმა საჩუქრებმა ფულად გამოსახულებაში 35 ათასი დოლარი შეადგინა. იტალიის პოლიტიკოს-ბიზნესმენმა პრეზიდენტის ოჯახის ყველა წევრი დაასაჩუქრა. ამასთან ერთად, იტალიური საჩუქრები თეთრი სახლის აპარატის უფროსს ენდრიუ კარდს და პენტაგონის ხელმძღვანელ დონალდ რამსფელდსაც შეხვდა.

ზემოთმოყვანილი საჩუქრების ჩამონათვალთან შედარებით ცოტა უცნაურად, თუმცა საკმაოდ გემრიელად გამოიყურება არგენტინის პრეზიდენტის მიერ ჯორჯ ბუშისათვის მირთმეული 150 კგ. ბატკნის ხორცი. ძნელი სათქმელია, ნესტორ კირშნერს ასეთი "ძღვენით" რისი გამოხატვა უნდოდა. თუმცა, სავარაუდოდ, არგენტინული ბატკნის ხორცის დაგემოვნებას აშშ-ს პრეზიდენტი ვერ მოახერხებდა, თუნდაც იმის გამო, რომ პირადად ბუშებისთვის განკუთვნილი ხორცი, თუნდაც ნაჩუქარი, ამერიკული კანონმდებლობის მიხედვით, სახელმწიფო ქონებად ითვლება - აბა, სახელმწიფო ქონების შეჭმას ჯორჯ ბუშს როგორ დაანებებდნენ... ხუმრობა იქით იყოს და, ასეთ შემთხვევებში ამერიკელებს ქველმოქმედებაც არ ავიწყდებათ ხოლმე. ამ შემთხვევაშიც, არგენტინელი ლიდერის საჩუქრით მზრუნველობამოკლებული ბავშვები გაიხარებდნენ.

გასულ წელს სერიოზული, თუმცა, არაბ პრინცთან შედარებით, არცთუ ძალიან ძვირფასი საჩუქრის ჩუქება რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინსაც არ დავიწყებია. პუტინმა აშშ-ს ყველა პრეზიდენტის სურათი აკვარელში დაახატინა და წითელი ხავერდისყდიანი ალბომის გარეკანი ძვირფასი თვლებით შეამკო. რუსების საჩუქარი კი ამერიკელებმა არაბი პრინცის საჩუქარზე ნაკლებად შეაფასეს – სულ რაღაც, 45 ათას აშშ დოლარად.

ეს მხოლოდ არასრული ჩამონათვალია იმ საჩუქრებისა, რომელიც 2003 წელს აშშ-ს მმართველებმა მათი ღვაწლის, ან სულაც გულისმოსაგებად მიიღეს. სხვათა შორის, ბევრ ქვეყანაში ძვირფასი საჩუქრის მიღება ლამის დანაშაულად ითვლება, და შესაძლოა, დიპლომატიური სკანდალიც გამოიწვიოს. თუმცა, აშშ-ს შემთხვევაში არც ერთი მოქალაქე არ იფიქრებს, რომ ჯორჯ ბუშის ან კოლინ პაუელის, ანდა კონდოლიზა რაისის მოსყიდვა შეიძლება. თვით თეთრი სახლის ამჟამინდელი მცხოვრებლების უშუალო მეტოქე დემოკრატებიც კი, მით უმეტეს - საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას, რესპუბლიკელთა ლიდერების ანგარებაში დადანაშაულებას ვერ ბედავენ.

# როგორ აიღეს ბაღდადი - ამერიკელი გენერლის მონათხრობი

წიგნმა სათაურით "ამერიკელი ჯარისკაცი", რომელიც ავღანეთსა და ერაყში აშშ-ს ჯარების ყოფილი მეთაურის გენერალ ტომ ფრენკსის დაწერილია, გუშინ დღის სინათლე იხილა. გენერალმა სამხედრო სამსახურს გასული წლის ზაფხულში დაანება თავი. როგორც 59 წლის ფრენკსი თავის წიგნში წერს, ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის არსებობისა ომამდე მტკიცედ სწამდა და ძლიერ შეშფოთებული იყო, სადამს იგი ამერიკელი ჯარისკაცების წინააღმდეგ არ გამოეყენებინა. მისი ეს რწმენა იორდანიის მეფესთან აბდულა II-სა და ეგვიპტის პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქთან საუბარს ემყარებოდა. საუბრისას პირველი მათგანი თუ "საიმედო დაზვერვის წყაროებს" იშველიებდა, მეორეს მტკიცებულებად მისი და სადამის წარმომადგენლებს შორის შემდგარი საუბარი მოჰყავდა.

რეცენზენტების უმრავლესობას ფრენკსის წიგნში ყველაზე სენსაციურად ის ინფორმაცია მიაჩნიათ, სადაც ნათქვამია, რომ ამერიკელთა ჯარების მიერ ბაღდადის სწრაფი აღება დეზინფორმაციის შედეგი იყო. აშშ-ს მხრიდან მტრის ბანაკში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამერიკელი ოფიცრის გადაბირება ერაყელმა დიპლომატმა მოახერხა, რომელსაც სამშობლოს მოღალატე ამერიკელმა ერაყში შეჭრის სრული გეგმა - კოდური სახელწოდებით "Polo Step" - გადასცა. სინამდვილეში ე.წ. გადაბირებული ოფიცერი, მეტსახელად "April Fool" იგივე "პირველი აპრილი", თავიდანვე აცურებდა ერაყელებს.





ფრენკსის თქმით, ბაღდადის აღებაში მნიშვნელოვანი როლი ამერიკელთა მხრიდან გავრცელებულმა დეზინფორმაციამ შეასრულა.

გაყალბებული გეგმის მიხედვით, ხმელთაშუა ზღვაში გემზე მყოფი, აშშ-ს მეოთხე ქვეითი დივიზია, რომელსაც ანკარა არ დათანხმდა თურქეთის ტერიტორიის გამოყენებაზე, დანიშნულების ადგილზე იორდანიის გავლით მოხვდებოდა. ამგვარ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სადამ ჰუსეინმა თავისი დივიზიის ნაწილი ბაღდადიდან დასავლეთით განალაგა. სწორედ ამის გამო მან ვეღარ მოასწრო ამ საჯარისო ნაწილის გამოყენება ამერიკული ჯარებისაგან ქალაქის დასაცავად, რომელიც სამხრეთიდან კუვეიტის გავლით შემოვიდა.

ფრენკსი ასეთ ტაქტიკას თავის "უდიდეს წარმატებად" მიიჩნევს. ავტორის სიტყვებით, "არასასიამოვნო სიურპრიზების" დეფიციტს არც სადამი უჩიოდა. მან სატვირთო მანქანებსა და ავტობუსებში მრავალრიცხოვანი სახალხო ლაშქრის მეომრები მოათავსა და ამერიკელების ზურგში გაგზავნა პარტიზანული ბრძოლის გასაჩაღებლად. გასული წლის გაზაფხულზე ერაყში შეჭრის დეტალურად განხილვისას, გენერალი ავიაციის ქმედებას განსაკუთრებულად აღნიშნავს, როდესაც ბაღდადში ერაყის რესპუბლიკური გვარდიის დივიზიებზე საშინელი იერიშთა სერია იქნა განხორციელებული. აღნიშნული ოპერაციები საბრძოლო რაიონში მარტის ბოლოს ქარბორბალას დაემთხვა. გენერალ ფრენკსის სიტყვებით, ეს იერიში ომების ისტორიაში ყველაზე ეფექტური თავდასხმა იყო. განხორციელებულმა იერიშმა ბოლო მოუღო მტრის ორგანიზებულ წინააღმდეგობას. "ვაშინგტონ პოსტის" შეფასებით, ფრენკსის წიგნი ბუშის ადმინისტრაციისთვის მომგებიანია, მიუხედავად იმისა, რომ მასში თეთრი სახლის ზოგიერთი წარმომადგენლის მიმართ ფრიად არასახარბიელო შეფასებებია გამოყენებული. პირველ რიგში, ეს თავდაცვის მინისტრის მოადგილეს დუგლას ფაიტს ეხება, რომელსაც ავტორის სიტყვებით, სამხედრო წრეებში "პლანეტის ყველაზე გონებაჩლუნგ ადამიანად" მიიჩნევდნენ. სინამდვილეში ზემოთ მოყვანილი ფრაზა რბილად ნათქვამია, რადგან წიგნში უცენზურო სიტყვებია გამოყენებული. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი უცენზურო გამოთქმების გვერდით, თანაბარი წარმატებით იყენებს შექსპირისა და კლაუზევიცის ციტატებსაც. გადამდგარი გენერალი არ ინდობს თეთრი სახლის ყოფილ ექსპერტს ტერორიზმთან ბრძოლაში რიჩარდ კლარკსაც. იგი მას "რეალობისგან მოწყვეტილ ყბედს" უწოდებს, რომელმაც ხელისუფლებისთვის ვერც ერთი ღირებული რეკომენდაციისა და სასარგებლო სადაზვერვო მონაცემების გადაცემა ვერ შეძლო.

*ბი ბი სი*

# სებ-მა ივლისის ლიმიტები 6 აგვისტომდე გააგრძელა

საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარმა ელექტროენერგიის გამომუშავებისა და მოხმარების ივლისის თვის საპროგნოზო ლიმიტები 6 აგვისტომდე გააგრძელა, - იტყობინება საბითუმო ბაზრის ადმინისტრაცია.

სებ-ის ინფორმაციით, აგვისტოში საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სექტორში ელექტროენერგიის და სიმძლავრის იგივე რესურსი არსებობს, რაც ივლისში.

აგვისტოში საჭირო სიმძლავრის შესახებ განაცხადი გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას სებ-ში არ წარუდგენია, რამაც ახალი ლიმიტის დამტკიცება შეაფერხა.

წარმოდგენილ ბალანსში გათვალისწინებულია ქვეყნის შიდა რესურსები, რომელიც მთლიანად ემყარება ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებულ ელექტროენერგიას.

სებ-ის ცნობით, ენგურჰესზე მუშა მდგომარეობაში მხოლოდ სამი აგრეგატია, რომლებიც მთლიანობაში 620 კვტ სიმძლავრეს გამოიმუშავებენ.

ივლისის საპროგნოზო საშუალო დღეღამურმა გასაყიდმა ელექტროენერგიამ, ტექნიკური დანაკარგების გათვალისწინებით, 19,2 მლნ კვტსთ შეადგინა.

აგვისტოში თბილისისთვის დაგეგმილია 4.3 მლნ კვტსთ ელექტროენერგიის დღე-ღამური მიწოდება. შესაბამისად, მაქსიმუმზე სიმძლავრე 250 მგვტ-ია.

აჭარის ენერგოკომპანიას იმავე პერიოდში 1.18 მლნ კვტსთ-ს ელექტროენერგია მიეწოდება, დაგეგმილი სიმძლავრე მაქსიმუმზე - 60 მგვტ.

კახეთის ენერგოდისტრიბუციისთვის დაგეგმილია 0.41 მლნ კვტსთ ელექტროენერგიის მიწოდება, მაქსიმუმზე 35 მგვტ სიმძლავრით.

გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია 4.535 მლნ კვტსთ ელექტროენერგიას მიიღებს, მაქსიმუმზე 245 მგვტ სიმძლავრით.

სებ-ში მარეგულირებელ სადგურებზე წყლის დონის რაციონალური ხარჯვისთვის ენერგოკომპანიებისა და მომხმარებლების მიერ დადგენილი გრაფიკების უმკაცრესი დაცვა კვლავ აქტუალურად მიაჩნიათ.

*24 საათი*

# "თბილგაზის" მმართველობა იცვლება

## "თბილგაზი", შესაძლოა, მუნიციპალიტეტს დაუბრუნდეს ან "დაიშალოს"

"თბილგაზთან" დაკავშირებული აჟიოტაჟი გრძელდება. თბილისის მერიასა და საკრებულოში თითქმის ყოველდღიურად განიხილავენ ამ საკითხს. გუშინ სამომავლო გადაწყვეტილების გარკვეული მონახაზიც გამოჩნდა: "თბილგაზი", შესაძლოა, მუნიციპალიტეტს დაუბრუნდეს. ამ საკითხთან დაკავშირებით თბილისის მერიაში გამართულ შეხვედრას ესწრებოდნენ ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი, ვიცე-პრემიერი თემურ ქურხული, საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეები და სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური.

განიხილებოდა "თბილგაზში" ხელშეკრულებით შესული "ახალი მენეჯმენტის" მიერ "თბილგაზის" მართვის საკითხი. ითქვა, რომ "ახალი მენეჯმენტი" სათანადოდ ვერ მართავს "თბილგაზს", რის გამოც დაგროვდა "გაზპრომის" მიმართ დავალიანება 11 მლნ დოლარის ოდენობით.

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, თბილისის საკრებულო უახლოეს პერიოდში აპირებს იმსჯელოს "თბილგაზის" მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დაბრუნებაზე, რის შემდეგაც სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის ნიკა გილაურის თქმით, შესაძლოა, მოხდეს ამ კომპანიის პრივატიზება ან მართვის უფლებით გადაცემა.

მისივე განცხადებით, თუ "თბილგაზის" პრივატიზება მოხდება , ერთ-ერთი ძირითადი პირობა იქნება, არ გაიზარდოს ტარიფი. ამ კომპანიის პრივატიზების საკითხის განხილვა უკვე დაწყებულია.

მინისტრმა თბილისის საკრებულოს წევრებს შესთავაზა, განიხილონ ევროპის განვითარების ბანკის მიერ "თბილგაზში" რეორგანიზაციისთვის 20-დან 25 მლნ დოლარამდე 10-წლიანი სესხის აღების შესაძლებლობა.

სავარაუდოდ, შეიცვლება, აგრეთვე, "თბილგაზის" სტრუქტურაც - კომპანია 33 ერთეულად დაიყოფა , რის შედეგადაც ბუნებრივი აირის საფასურის ამოღება გაიოლდება.

ამ საკითხებზე თბილისის საკრებულო მიმდინარე კვირას იმსჯელებს.

*24 საათი*

# საბაჟოს რეფორმის პირველი ეტაპი დასრულდა

სოფიკო ოხანაშვილი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის რეფორმის პირველი ეტაპი შტატებისა და რეგიონალური ერთეულების შემცირებით დასრულდა. საბაჟო დეპარტამენტში, უკვე მეორე დღეა, 1714–ის ნაცვლად, 1143 ადამიანი მუშაობს. გაუქმდა რეგიონალური საბაჟო "რკინიგზა", აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების საბაჟო სამმართველოები. ცენტრალურ აპარატში - საბაჟო ლაბორატორია, დაცვის სამმართველო და დეპარტამენტის თავმჯდომარის აპარატი. ფუნქციონირებას შეწყვეტს შერეული ტიპის რეგიონული საბაჟოებიც.

ამასთან, საბაჟო დეპარტამენტის ცენტრალურ აპარატში შეიქმნა ორი ახალი სამმართველო – საბაჟო ბროკერებთან და გადამზიდველებთან ურთიერთობის სამმართველო და ანალიზისა და აუდიტის სამმართველო. ჩამოყალიბდა საბაჟო დეპარტამენტის ადმინისტრაცია.

ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, გაუქმდა შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე ადამიანების დასაქმების პრაქტიკაც. 24-საათიან რეჟიმში იმუშავებს ფოთისა და ბათუმის პორტები, თბილისისა და ბათუმის აეროპორტებში - საბაჟო გაფორმების განყოფილება. შემოღებულია ოთხცვლიანი სამუშაო გრაფიკი.

ახლა საბაჟო დეპარტამენტში ფუნქციონირებს ოთხი მიმართულების - "აღმოსავლეთის", "დასავლეთის", "ჩრდილოეთისა" და "სამხრეთის" - რეგიონული საბაჟოები. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველოს დაქვემდებარებაში მყოფი საბაჟო გამშვები პუნქტი “სარფი”, საბაჟო საგუშაგო “ბათუმის პორტი”, საბაჟო საგუშაგო “ბათუმის აეროპორტი”, საბაჟო ტერმინალი ”ადლია” რეგიონული საბაჟო “დასავლეთის” დაქვემდებარებაში გადადის.

განხორციელდა საკადრო ცვლილებებიც. რეგიონულ საბაჟოებს ახალი ხელმძღვანელები ჰყავთ. საბაჟო დეპარტამენტის ხელმძღვანელის გიორგი გოდაბრელიძის განმარტებით, რეფორმის მეორე ეტაპი იანვრისთვის დასრულდება. ამ ფაზაში საბაჟოს ხელმძღვანელობის მიერ როკის გვირაბზე საბაჟო გამშვები პუნქტის მოწყობა და რეგიონული საბაჟოების კიდევ შემცირება იგეგმება. გოდაბრელიძის თქმით, საბოლოოდ საბაჟოს ორი მიმართულების – აღმოსავლეთისა და დასავლეთის – საბაჟო პუნქტები ექნება. საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარე არც კადრების შემცირებას გამორიცხავს.

# სახელმწიფო სამეთვალყურეო საბჭოების დაჩქარებული წესით გაუქმებას ვერ რისკავს

სახელმწიფო სამეთვალყურეო საბჭოების დაჩქარებული წესით გაუქმებას ვერ რისკავს. გუშინ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტში სამეთვალყურეო საბჭოების შესახებ კანონპროექტის განხილვა, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ინიციატივით, შემოდგომისთვის გადაიდო.

შეგახსენებთ, საქმე ეხება სააქციო საზოგადოებებთან და შპს-ებთან არსებულ სამეთვალყურეო საბჭოებს. პარლამენტში აქამდე შეტანილი კანონპროექტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ შპს-ებში სახელმწიფოს წილი შეადგენს 20 პროცენტს, სამეთვალყურეო საბჭოები უნდა გაუქმებულიყო, სააქციო საზოგადოებებში კი სამეთვალყურეო საბჭოების წევრთა რიცხვი სამამდე მცირდებოდა.

*24 საათი*

# საპარლამენტო კომიტეტებმა ბიუჯეტის განხილვა დაიწყეს

## 2004 წლის ბიუჯეტის ცვლილებებს პარლამენტში პრობლემები არ ექმნება

თამარ ივანიძე

*საქართველოს პარლამენტში გუშინ 2004 წლის პროფიციტული ბიუჯეტის ცვლილებების განხილვა დაიწყეს. განხილვები, როგორც მოსალოდნელი იყო, განსაკუთრებული ხმაურის გარეშე მიმდინარეობს. ამის მთავარი მიზეზი, ცხადია, საბიუჯეტო დაფინანსების დაგეგმილი ზრდაა.*



*გუშინ გამართულ სხდომაზე 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ცვლილებათა პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები თითქმის არ გამოთქმულა.*

მარიკა ლორთქიფანიძის ფოტო

გუშინ ბიუჯეტი აგრარულმა და დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტებმა განიხილეს. 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროფიციტის გადანაწილებისას სოფლის მეურნეობის სექტორს 700 ათასი ლარი ერგო. აღნიშნული თანხა 2002 წლის ჩაის პროგრამის დაფინანსებაში წარმოქმნილი დავალიანების დასაფარად დაიხარჯება. აგრარულ საკითხთა კომიტეტმა 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ცვლილებების პროექტს, ცხადია, მხარი დაუჭირა.

როგორც კომიტეტის სხდომაზე ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, მთავრობა აგრარული სექტორის ინფრასტრუქტურის წესრიგში მოსაყვანად შესაბამის ღონისძიებებს გაატარებს, ხოლო თვითონ დარგის აღორძინებაზე ფერმერებმა და გლეხებმა უნდა იზრუნონ.

**"ქვეყნის მთავრობის პოლიტიკა აგრარული სექტორის მიმართ უკვე ცნობილია. ამ ეტაპისათვის გადასახადისგან მთლიანად გათავისუფლებულები არიან გლეხები. რაც შეეხება პროფიციტით განსაზღვრულ 700 ათას ლარს, აღნიშნული თანხა ჩაის პროგრამების დაფინანსებაში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისკენ იქნება მიმართული. აღნიშნული თანხიდან 600 ათასი ლარი უშუალოდ მეჩაიეებმა უნდა მიიღონ,"** - განაცხადა ნოღაიდელმა.

საბიუჯეტო ცვლილებებს მხარი დაუჭირა პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმაც. როგორც კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე კომიტეტის თავმჯდომარემ ნიკო ლეკიშვილმა განაცხადა, ბიუჯეტში პროფიციტის ფაქტი თავისთავად სერიოზული და სასიამოვნოა, ამიტომ პარლამენტი აღნიშნულ ცვლილებებს მხარს აუცილებლად დაუჭერს.

**"პროფიციტული თანხის გადანაწილებაზე სწორი აქცენტებია გაკეთებული, ამიტომ ამ საკითხს სრულად ვეთანხმებით. პრიორიტეტები სწორად არის შერჩეული, რაც სამართალდამცავი ორგანოების დაფინანსებაში, პენსიონერთა დავალიანების გასტუმრებაში, ენერგეტიკის რეაბილიტაციაში და გზების რეაბილიტაციაში გამოიხატება"** - განაცხადა ლეკიშვილმა.

გუშინ გამართულ სხდომაზე 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ცვლილებათა პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები თითქმის არ გამოთქმულა. თუმცა, ფრაქცია **"მემარჯვენე ოპოზიციის" წევრმა ირაკლი იაშვილმა ბიუჯეტის პროექტში საჯარო სამსახურებიდან გათავისუფლებულთა სოციალური დაცვის მექანიზმების ჩადება მოითხოვა. "მიმდინარე წელს საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან 40 ათასზე მეტი თანამშრომელი გაუშვეს. მათთვის აუცილებელია, ბიუჯეტში გარკვეული სოციალური გარანტიები ჩაიდოს,"** - განაცხადა იაშვილმა.

შემუშავებული გრაფიკის მიხედვით, საპარლამენტო კომიტეტებმა, ფრაქციებმა, უმრავლესობამ და დეპუტატებმა, რომლებიც არც ერთ ფრაქციაში არ შედიან, "სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონში ცვლილებათა პროექტი უნდა განიხილონ და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს 5 აგვისტომდე წარუდგინონ.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა ცვლილებებთან დაკავშირებული საბოლოო დასკვნა 6 აგვისტოს უნდა წარმოადგინოს, რის შემდეგაც პარლამენტის თავმჯდომარემ ის მთავრობას იმავე დღეს უნდა წარუდგინოს. თავის მხრივ, მთავრობა ვალდებულია, პარლამენტს საბიუჯეტო ცვლილებების პროექტი 9 აგვისტომდე დაუბრუნოს, რის შემდეგაც პარლამენტი 10 აგვისტოსთვის დანიშნულ რიგგარეშე სესიაზე სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს განიხილავს.

# სავალუტო ფონდი ოფიციალურ პოზიციას აქვეყნებს

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიამ, რომელსაც სსფ-ს ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის განყოფილების დირექტორის მოადგილე პაულო ნეოჰაუზი ხელმძღვანელობდა, საქართველოში ვიზიტი დაასრულა.

ოფიციალურად გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მისიის მიზანი იყო, ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ მდგომარეობას გაცნობოდა და ფონდის მიერ დაფინანსებული 2004-2006 წლების ეკონომიკური პროგრამის პირველი განხილვა დაეწყო.

საქართველოში დატოვებული მემორანდუმის თანახმად, მისია კმაყოფილი დარჩა 2004 წლის პირველ ნახევარში მიღწეული ეკონომიკური მაჩვენებლებით, რაც გამოწვეული იყო სწრაფი ეკონომიკური ზრდით, დაბალი ინფლაციით და ფისკალური მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებით.

გადასახადებისაგან თავის არიდებისა და კონტრაბანდის დონის შემცირებას შედეგად მოჰყვა შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდა, რამაც შესაძლებელი გახადა შიდა დავალიანებების მოსალოდნელზე უფრო მეტად დაფარვა;

მისიამ განიხილა მთავრობის გეგმები 2004 წლის კორექტირებულ ბიუჯეტთან დაკავშირებით. შემოსავლების მკვეთრი გაუმჯობესების შედეგად, კორექტირებული ბიუჯეტი დააჩქარებს ფისკალურ კონსოლიდაციას, რაც პროგრამის მთავარ ელემენტს წარმოადგენს. კერძოდ, მასში დასახულია უფრო მაღალი ორიენტირები მთლიან შიდა პროდუქციასთან მიმართებაში (როგორც ვალდებულებების, ისე საკასო თვალსაზრისით), რაც შიდა დავალიანებების უფრო სწრაფ დაფარვას და უსაფრთხოებისა და თავდაცვის ხარჯების შედარებით გაზრდას შესაძლებელს გახდის.

მისიამ ასევე იმსჯელა საგადასახადო რეფორმის კანონის შესახებ და მიესალმა გადასახადების სტრუქტურის მოსალოდნელ გამარტივებასა და საგადასახადო ბაზის გაფართოებას. მიუხედავად ამისა, მისიამ ურჩია ხელისუფლებას, თანდათანობით განახორციელოს საგადასახადო განაკვეთების დაგეგმილი შემცირება, რათა ხელი შეუწყოს სსფ-ს მიერ დაფინანსებული სამწლიანი პროგრამით გათვალისწინებული გაზრდილი შემოსავლების მობილიზებას.

მისია მიესალმა მთავრობის გეგმებს პრივატიზაციის დაჩქარებასთან დაკავშირებით და ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს აქტივების გაყიდვისა და პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლების გამჭვირვალობას. მისიამ სთხოვა ხელისუფლებას, რაც შეიძლება სწრაფად შეიმუშაოს საჯარო სამსახურის კომპლექსური და ხარჯების კუთხით სრულად აღწერილი პროგრამა და დააჩქაროს ენერგოსექტორის რეფორმა, რათა განხორციელდეს ელექტროენერგიის ნორმალური მიწოდება და სექტორის ფინანსური შესაძლებლობების გაჯანსაღება.

მომდევნო რამდენიმე თვის განმავლობაში, მთავრობამ უფრო სრულყოფილად უნდა შეიმუშაოს სტრუქტურული რეფორმის გეგმა 2006 წლის ჩათვლით, აგრეთვე, პარლამენტში გააგზავნოს 2005 წლის ბიუჯეტის კანონი და მოამზადოს ანგარიში ეკონომიკური განვითარებისა და სიღატაკის დაძლევის პროგრამის განხორციელებისა და მიმდინარეობის შესახებ. ამ ფონზე მოსალოდნელია, რომ სსფ-ს მიერ დაფინანსებული ეკონომიკური პროგრამის პირველი განხილვა 2004 წლის შემოდგომაზე გაგრძელდეს.

*24 საათი*

# ინფორმაცია სასამართლოს განჩინების მიხედვით პენსიაზე დანამატის წესის შესახებ

სასამართლოს გადაწყვეტილებით, ძალოვანი სტრუქტურების პენსიონერებს ''სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ'' საქართველოს კანონის 41-ე მუხლის (ძირითადად) შესაბამისად, პენსიაზე გარკვეული ოდენობის თანხა ემატებათ.

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის იურიდიული სამსახურის ინფორმაციით, თუ სასამართლოს მიერ მიღებულ განჩინებაში მითითებული არ იყო პენსიაზე დანამატის გაცემის თარიღი, სასამართლო განჩინება ავტომატურად ძალაში შედის დამტკიცების დღიდან.

სასამართლო, უმეტეს შემთხვევაში, საპენსიო დანამატზე გადაწყვეტილებას იღებს 1 წლის წინანდელი თარიღით (თუ პენსიონერს პენსია დანიშნული აქვს 1 წელზე მეტი დროიდან). თუ პენსია ახალი დანიშნულია, პენსიების გადაანგარიშება სასამართლო გადაწყვეტილების მომდევნო თვიდან იწყება.

ძველი საპენსიო დანამატის გაცემის დროს პრიორიტეტი ენიჭებათ პირველი და მეორე ჯგუფის ომის ინვალიდებს, 80 წელს გადაცილებულებს, მარჩენალდაკარგულებს, ლტოლვილებს. ძალოვანი სტრუქტურების პენსიონერების დავალიანების გასტუმრება ეტაპობრივად მოხდება, ხოლო სასამართლო გადაწყვეტილებებს, განცხადებების შემოსვლის თანმიმდევრობის დაცვით, შეფერხების გარეშე გაისტუმრებენ.

*საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური*



# იარაღისა და ნარკოტიკის ჩადება - ტრადიციული მეთოდი კვლავ ძალაშია

ხათუნა ჯანგირაშვილი

*"უკვე კარგად აპრობირებული ტენდენცია – დაკავებისას ადამიანებისთვის ნარკოტიკისა და იარაღის ჩადება – კვლავაც გრძელდება. ყველა დაკავებულს, თურმე ან ხელყუმბარა, ან ნარკოტიკი, ან იარაღი, ანდა ეს ყველაფერი ერთად აქვს ხოლმე. როგორც ჩანს, ტანკის ჩადებას ვერ ახერხებენ, თორემ არ გაუჭირდებოდათ და სიამაყით იტყოდნენ, დაკავებულს ტანკი აღმოვუჩინეთო. ადამიანის უფლებების უხეშად დარღვევის ფაქტებს ბოლომდე მივყვებით და ერთი და ორი პრესკონფერენციით არ შემოვიფარგლებით", - აცხადებენ "თავისუფლების ინსტიტუტის" წევრები. მათ ოფისში ბოლო ორი დღეა ხალხმრავლობაა. გორში "ხალხის გაზეთის" რედაქტორის უკანონოდ დაკავება და N1 საპყრობილეში ბოლო დღეებში მომხდარი ამბები – ის ის ორი თემაა, რომლებსაც "თავისუფლების ინსტიტუტის წევრები ორი დღეა აპროტესტებენ და არჩევენ.*



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*"ადამიანის უფლებების უხეშად დარღვევის ფაქტებს ბოლომდე მივყვებით და ერთი და ორი პრესკონფერენციით არ შემოვიფარგლებით", - აცხადებენ "თავისუფლების ინსტიტუტის" წევრები.*

თუკი გუშინწინ "თავისუფლების ინსტიტუტის წევრებს, უბრალოდ, ეჭვი ჰქონდათ, რომ "ხალხის გაზეთის" რედაქტორის დაკავებამ პროცესუალური ნორმების დარღვევის ფონზე ჩაიარა, მომხდარის დეტალების ადგილზე გადამოწმების შემდეგ, გუშინ, მათ ხელახლა მოიწვიეს პრესკონფერენცია და "სახალხო გაზეთის" რედაქტორის უკანონოდ დაკავებასთან დაკავშირებით, შიდა ქართლის სამხარეო პოლიციისა და ადგილობრივი ხელისუფლებისთვის ბევრი არასახარბიელო ინფორმაცია გაახმაურეს.

საბოლოოდ, რევაზ ოქრუაშვილის უკანონოდ დაკავებას პოლიტიკური ანგარიშსწორების შეფასება ეძლევა. როგორც ირკვევა, "ხალხის გაზეთში" ბოლო დროს გამოქვეყნებული კრიტიკული და მწვავე მასალები ამავე გაზეთის რედაქტორისა და გაზეთში მომუშავე ჟურნალისტებისთვის რეგიონის მაღალჩინოსნებისგან მუქარის საბაბი გამხდარა. **"ფრთხილად იყავით, თორემ ნარკოტიკს ამოგიქექავთ,"** - ასეთი ყოფილა მუქარის შინაარსი. ეს სიტყვები უშუალოდ დაკავებულის მეუღლისთვის, ჟურნალისტ ნინო დალაქიშვილისთვისაც შეუთვლიათ. ნინო დალაქიშვილი და "სახალხო გაზეთის" თანამშრომლები გუშინ "თავისუფლების ინსტიტუტს" სტუმრობდნენ და გაზეთში ბოლო დროს დაბეჭდილი მასალების დეტალებზე საუბრობდნენ.

**"ჩვენ ვწერდით ყველაფერს, როგორ შემოდის და გადის კონტრაბანდა შიდა ქართლში და როგორ უწყობენ ხელს ამას იქაური მაღალჩინოსნები, როგორ იჭერენ უდანაშაულო ადამიანებს იარაღისა და ნარკოტიკის ჩადებით და როგორ არღვევენ კანონს სამართალდამცველები. ყველა სტატია კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით იწერებოდა, რაც ზოგიერთების სერიოზული გაღიზიანების საბაბი გახდა,"** - აცხადებდნენ გუშინ დაკავებული რევაზ ოქრუაშვილის მეუღლე და მისი კოლეგები. გუშინ, "თავისუფლების ინსტიტუტის" ოფისში შიდა ქართლის პოლიციის მაღალჩინოსნებთან ერთად, ხშირ-ხშირად ახსენებდნენ რეგიონის რწმუნებულს მიხეილ ქარელს და პარლამენტარს, ტელეკომპანია "თრიალეთის" მფლობელს ბადრი ნანიტაშვილს.

**"რევაზ ოქრუაშვილის დაკავება მხოლოდ იქაური პოლიციის ინტერესი არ არის, პოლიცია შემსრულებელია, თავისუფლად შეიძლება იმის თქმა, რომ სამართალდამცველებს ამის მითითება "ზემოდან" მისცეს. კატეგორიულად მოვითხოვთ, დადგეს რეგიონის სამხარეო პოლიციის უფროსისა და კრიმინალური პოლიციის უფროსის რეზო კლდიაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი, რომელმაც უშუალოდ მიიღო მონაწილეობა რედაქტორის დაკავებაში. იმედი გვაქვს, მხოლოდ იმ შემთხვევაში გაირკვევა, ვის ინტერესში შედიოდა "ხალხის გაზეთის" რედაქტორის დაკავება, თუკი კრიმინალური პოლიციის უფროსი რეზო კლდიაშვილი მის ადგილზე აღმოჩნდება საკანში,"** - აცხადებენ "თავისუფლების ინსტიტუტის" წევრები.

როგორც ირკვევა, რევაზ ოქრუაშვილის დაკავებისას, კანონმდებლობის არც ერთი პუნქტი არ იყო დაცული. რაც მთავარია, ბუნებაში არ არსებობს პირადი და ოფისის ჩხრეკის ოქმები, რომლებიც, წესით, საჯაროა და კანონის მიხედვით, დაკავების დღესვე სამართალდამცველებს ეჭვმიტანილის ადვოკატისა და ოჯახის წევრებისთვის უნდა გადაეცათ. რაც ყველაზე მთავარია, დაკავებულის ოფისის ჩხრეკა ისე ჩატარებულა, რომ მჩხრეკავებს არც ერთი კარადის კარი და არც ერთი უჯრა არ გაუხსნიათ. არადა, როგორც პოლიცია ირწმუნება, ნარკოტიკი რედაქტორს ოფისში უპოვეს. **"ცხადია, მათ წინასწარვე იცოდნენ, რომ იქ არანაირი ნარკოტიკი არ ინახებოდა და არც იყო ჩხრეკის ჩატარება საჭირო. ფაქტობრივად, გამოდის, რომ ჩხრეკა არ ჩატარებულა, ისე აღმოჩნდა ნარკოტიკი გაზეთის ოფისში. როგორც შიდა ქართლის სამხარეო პოლიციაში ამბობენ, რევაზ ოქრუაშვილის დაკავება გადაუდებელი აუცილებლობით იყო გამოწვეული, ვიცოდით, ნარკოტიკი უნდა გაესაღებინა და გასაღებამდე დავაკავეთო. შიდა ქართლის კრიმინალური პოლიციის უფროსი იმასაც ამბობს, რევაზ ოქრუაშვილის რომ ნარკოტიკის მომხმარებელ-გამსაღებელი იყო, ამის შესახებ წელიწადნახევარია უკვე ინფორმაცია გაგვაჩნიაო. თუკი ეს მართლაც ასე იყო, რატომ არ არსებობდა სასამართლოს მიერ გაცემული დაკავების სანქცია",** - კითხულობენ თავისუფლების ინსტიტუტის წევრები.

რაც ყველაზე მთავარია, თავდაპირველად სამართალდამცველები აცხადებდნენ, რომ გაზეთის რედაქტორი ნარკოტიკის მომხმარებელიც იყო და რეალიზატორიც. ნარკოლოგიურმა შემოწმებამ, რომელიც დაკავებულს უკვე ჩაუტარდა, ნარკოტიკის მოხმარება არ დაადასტურა. შესაბამისად, მას ამჯერად მხოლოდ ნარკოტიკის რეალიზაციის ბრალდებას უყენებენ.

**"ცენზურის გარდა, გაზეთის ბოლო ნომერი, ფაქტობრივად, დააპატიმრეს. ქსელში გასაყიდად გასული გაზეთის დიდი ნაწილი ამოიღეს,"** - აცხადებს სოზარ სუბარი.

ერთი სიტყვით, "თავისუფლების ინსტიტუტი" "სახალხო გაზეთის რედაქტორის დაკავების უკანონობის დეტალებზე საუბრობს და მის სასწრაფო გათავისუფლებას ითხოვს.

რაც შეეხება მეორე თემას, რომელზეც ისევე, როგორც გუშინწინ, გუშინაც ისაუბრეს. მიუხედავად გავრცელებული ინფორმაციისა, რომ პატიმრების ცემა-წამების გამო იუსტიციის მინისტრმა ციხის უფროსი გელა კოკილაშვილი, ატეხილი ხმაურის შემდეგ, გუშინწინ გვიან ღამით თანამდებობიდან გაათავისუფლა, როგორც გუშინ სოზარ სუბარმა განგვიცხადა, კოკილაშვილი კვლავ ციხის უფროსია. **"ის ისევ იმ თანამდებობაზეა და დიდ გულზე, ყოველ შემთხვევაში, ასე იყო რამდენიმე საათის წინ, როცა N1 საპყრობილეში ვიყავი და მისგან ნაცემ მსჯავრდებულებს მეორედ შევხვდი. მათ გენერალური პროკურატურიდან გამოგზავნილი ექსპერტები უტარებდნენ ექსპერტიზას. ექსპერტიზას ესწრებოდა თავად ციხის უფროსი მოადგილეებითურთ, რასაც კანონი არ ითვალისწინებს. უფრო მეტიც, მაქვს ინფორმაცია, რომ გელა კოკილაშვილი ციხეში პატიმრებს აიძულებს, თქვან, რომ მსჯავრდებულები, რომლებიც მას ცემაში ადანაშაულებენ, ტყუიან და ციხის უფროსს რაღაცის გამო უწყობენ შანტაჟს,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას სოზარ სუბარმა.

# შსს-მ დამნაშავე პოლიციელები სისტემიდან დაითხოვა

*შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს ინფორმაციით, მასმედიის საშუალებებში გამოქვეყნებულ ფაქტებთან დაკავშირებით, რომელშიც საუბარი იყო პოლიციელთა მიერ ჩადენილ უკანონო ქმედებებზე, შსს-ს გენერალურმა ინსპექციამ ჩაატარა მოკვლევა და დამნაშავე პოლიციელები სამსახურიდან დაითხოვა, ხოლო მათ წინააღმდეგ აღძრული საქმეები გამოსაძიებლად პროკურატურას გადასცა.*

გახმაურებული ფაქტის – შსს-ს წინასწარი დაკავების საკანში მყოფ გიორგი ინასარიძის თავის ჩამოხრჩობასთან დაკავშირებით, შსს დროებითი დაკავების იზოლატორის სამორიგეო სამსახურის მორიგე ინსპექტორი, პოლიციის პოლკოვნიკი რობიზონ დულაძე, ამავე იზოლატორის უზრუნველყოფის ჯგუფის პოლიციელები: სერჟანტი ფრიდონ პატარიძე და პოლიციის რიგითი შენგელი მამულაშვილი დათხოვნილები არიან შს ორგანოებიდან, ხოლო ამავე იზოლატორის უფროსი, პოლიციის მაიორი კახაბერ ტარულიშვილი ჩამოქვეითდა დაკავებული თანამდებობიდან. საქმე გამოსაძიებლად გადაიგზავნა მთაწმინდა-კრწანისის პროკურატურაში.

საეჭვო ვითარებაში გარდაცვლილ პატიმარ ხვიჩა კვირიკაშვილის დაღუპვის ფაქტთან დაკავშირებით, გლდანი-ნაძალადევის პოლიციის III განყოფილების ინსპექტორი, უმცროსი ლეიტენანტი როლანდ მინაძე შს ორგანოებიდან დაითხოვეს; ამავე განყოფილების უფროსი, ვიცე-პოლკოვნიკი იური მიქანაძე კი დაკავებული თანამდებობიდან ჩამოაქვეითეს, ხოლო განყოფილების უფროსის მოადგილეს, უფროს ლეიტენანტ პაატა ტატუნაშვილსა და სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსს, მაიორ ჯემალ სანაიას გამოეცხადათ სასტიკი საყვედურები. სამსახურებრივი შემოწმების მასალები გადაიგზავნა თბილისის პროკურატურაში.

შს ორგანოებიდან დაითხოვეს მოქალაქე მიხეილ ტალოევისგან ფულის გამოძალვაში მონაწილე პოლიციელები - თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ადამიანის უკანონო თავისუფლების აღკვეთისა და გამოძალვის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების უფროსი ისნპექტორი, ლეიტენანტი იროდი მანაგაძე და ამავე განყოფილების ინსპექტორები, უფროსი ლეიტენანტი გიორგი ნაზღაიძე და ლეიტენანტი ალექსანდრე ჭუმბურიძე.

*24 საათი*

„ცენტრ პოინტი" ყველგან და ყველასთვის

მენაშენეთა ერთ-ერთი ლიდერი ცენტრ პოინტი

დაბალი ფასი, უმაღლესი ხარისხი, ზეთანამედროვე სამშენებლო ტექნოლოგიები

„ცენტრ პოინტი"

საუკეთესო არჩევანი!

თქვენ ეს დაიმსახურეთ!




სათაო ოფისი: თბილისი, ჭავჭავაძის 66, ტელ. 253216, 253217 232260
www.centerpoint.ge cp@centerpoint.ge

# იუსტიციის მინისტრმა სათათბირო საბჭო შექმნა

იუსტიციის სამინისტრომ მინისტრის სათათბირო ორგანოს – იუსტიციის სამინისტროს მრჩეველთა საზოგადოებრივი პრეზენტაცია საბჭოს პირველი სხდომით გამართა, სადაც იუსტიციის მინისტრმა გიორგი პაპუაშვილმა მუშაობის ანგარიში წარადგინა და პენიტენციარული სისტემის გეგმებზე ისაუბრა.

პაპუაშვილის თქმით, იუსტიციის სამინისტროს სისტემაში ყველაზე პრობლემური სასჯელაღსრულების დეპარტამენტია, სადაც სამი ძირითადი მიმართულების რეფორმაა გასატარებელი – შენობების შეკეთება-რეკონსტრუქცია, პატიმართა დასაქმება და სისტემის თანამშრომელთა მომზადება.

მინისტრმა იმ რეფორმებზეც ისაუბრა, რომელიც სამინისტროს სხვადასხვა სამსახურშია დაწყებული. **„იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურა გაფართოვდა. იგეგმება საპასპორტო სამსახურის გადმოსვლა ამ სისტემაში. სამინისტროს შეუერთდა მიწის მართვის დეპარტამენტი, თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების სააგენტო, სახელმწიფო არქივი. მიმდინარეობს სტრუქტურული რეორგანიზაცია,"** - განაცხადა პაპუაშვილმა.

იუსტიციის მინისტრს სათათბირო ორგანო პაპუაშვილის მინისტრობამდეც ჰქონდა და მას თავად პაპუაშვილი ხელძღვანელობდა. საბჭო ჯონი ხეცურიანის იუსტიციის მინისტრობისას შეიქმნა და პენიტენციარული სისტემის კონტროლით იყო დაკავებული. საბჭოში 17 წევრი შედიოდა. როგორც გაირკვა, ამ სათათბირო ორგანოს შექმნა კანონს ეწინააღმდეგებოდა, ამიტომ იგი გაუქმდა და ახალი, განსხვავებული მოდელის სათათბირო, 50-კაციანი საბჭო დაფუძნდა.

გამართულ სხდომაზე გადაწყდა, რომ საბჭოში შეიქმნება სამუშაო ჯგუფები, რომელიც სხვადასხვა საკითხზე იმუშავებს.

**„დარწმუნებული ვარ, რომ ახალი სათათბირო ორგანო, ძველისაგან განსხვავებით, ეფექტიანად იმუშავებს. ყველა ის წევრი, რომელიც საბჭოში შევიდა, გიორგი პაპუაშვილთან იუსტიციის მინისტრად დანიშვნამდე თანამშრომლობდა,"** - განაცხადა საბჭოს წევრმა, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელმა თინა ხიდაშელმა.

იუსტიციის მინისტრის გუშინდელი გადაწყვეტილებით, თბილისის N1 საპყრობილეში მყოფ არასრულწლოვან და ქალ პატიმარებს სხვა შენობაში გადაიყვანენ. თბილისის N1 საპყრობილეში ამჟამად დასაშვებ ზღვარზე 800-ით მეტი პატიმარია და მათ ძილი რიგრიგობით უწევთ. იუსტიციის მინისტრის გიორგი პაპუაშვილის თქმით, პატიმარ ქალებს, რომლებიც თბილისის N1 საპყრობილეში არიან, სავარაუდოდ, ქალთა სასჯელაღსრულების დაწესებულების ტერიტორიაზე გადაიყვანენ, სადაც შენობა უკვე გამოინახა. **„ერთი მხრივ, გაუმჯობესდება პატიმარი ქალებისა და არასრულწლოვანების პირობები და, მეორე მხრივ, N1 საპყრობილეში გათავისუფლდება საკნები სხვა პატიმრებისათვის,"** - აცხადებს მინისტრი.

მისივე ინფორმაციით, რუსთავის მიმდებარე ტერიტორიაზე N6 საპყრობილის სარემონტო სამუშაოები ოქტომბრიდან განახლდება, პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა ქუთაისის N2 საპყრობილის ახალი შენობის რეკონსტრუქციის დაწყებაზე.

**„ჩვენი სამართალდამცველი ორგანოები ისე მუშაობენ, რომ ეს საპყრობილეები საკმარისი არ იქნება. ამიტომ, 4000-კაციანი საპყრობილის აშენებას ვგეგმავთ და ამაზე დონორ ორგანიზაციებთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს",** - განაცხადა მინისტრმა.

*მედია-ნიუსი*

# პანკისის ხეობაში ჩატარებულ ოპერაციას მოსახლეობა სასტიკი დარბევის აქტს უწოდებს

*საქართველოს უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებმა გუშინ, გამთენიისას პანკისის ხეობის რამდენიმე სოფელში - დუისში, ჯოყოლოში, ომალოში და ხალაწანში სპეცოპერაცია ჩაატარეს. სოფლებში რამდენიმე საცხოვრებელი სახლი გაიჩხრიკა და ძალოვანებმა 20-მდე მამაკაცი დააკავეს, რომელთაგან ნაწილი გუშინ, დილითვე გაათავისუფლეს, თუმცა დაკავებული ოთხი ჩეჩენი და ქისტი მამაკაცი კვლავ კახეთის სამხარეო პოლიციის წინასწარი დაკავების საკანში იმყოფება.*

ალექსანდრე ბურჩაშვილი, ჰასან ოქოევი, იახშირ სალიმი და ვახტანგ მარგოშვილი ნარკოტიკების რეალიზაციაში არიან ეჭვმიტანილნი. სოფელ დუისის გამგებელი ჯარაფ ხანგოშვილი ერთ-ერთი დაკავებულის იახშირ სალიმის დაკავებას აპროტესტებს და მის თავდებში დადგომას აპირებს.

სპეცოპერაციის ჩატარების მეთოდებთან დაკავშირებით, ხეობის მოსახლეობამ გუშინვე პროტესტი გამოთქვა. აქციაში მონაწილეობისკენ ადგილობრივ მოსახლეობას მეჩეთში გამართულ ლოცვაზე მოუწოდეს. ადგილობრივი მოსახლეობა და ჩეჩენი ლტოლვილები სამართალდამცველებს სისასტიკეში სდებენ ბრალს და აცხადებენ, რომ დაკავებულები უდანაშაულოები არიან და მათი აყვანა უკანონოდ მოხდა. არსებული ინფორმაციით, სპეცოპერაციისას განსაკუთრებული სისასტიკით ქალებს ექცეოდნენ. ნაცემია 12 ქალი, რომელთაგან - ოთხი, ტვინის შერყევის მძიმე ფორმით საავადმყოფოში არიან გადაყვანილნი. ნაცემთაგან ერთი ფეხმძიმეა. სპეცრაზმელებმა ჩეჩენი ლტოლვილი ქალები დააჩოქეს და ისე ურტყამდნენ. როგორც ლტოლვილები ამბობენ, **"მსგავსი სისასტიკის წმენდები ჩეჩნეთში რუსებსაც კი არ ჩაუტარებიათ".** ინციდენტით უკმაყოფილო, ხეობის მოსახლეობა აცხადებს, რომ არსებობს საფრთხე, პანკისის ხეობა კვლავ ცხელ წერტილად გადაიქცეს.

კახეთის რეგიონის უშიშროების სამმართველო მის მიერ ჩატარებულ სპეცოპერაციასთან დაკავშირებით, რატომღაც, არანაირ კომენტარს არ აკეთებს. დუისის შესასვლელში მოქმედ ბლოკ-საგუშაგოზე მდგომი პოლიციელები მასმედიის წარმომადგენლებს ხეობაში შესვლის საშუალებას არ აძლევდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მასმედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ხეობაში შესვლა შემოვლითი გზებით მაინც მოახერხეს. შს კახეთის მთავარი სამმართველოს უფროსის თემურ ანჯაფარიძის განცხადებით, პანკისის ხეობაში შესვლა შეიზღუდა არა მარტო პრესის წარმომადგენლებისთვის, არამედ ყველა იმ პირისთვის, რომელიც ხეობაში არ ცხოვრობს. მეტიც, სპეცოპერაცია პრესისთვის გასაიდუმლოებული იყო და უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის სპეცდანიშნულების რაზმმა ხეობაში შესვლისას ბლოკ-საგუშაგოზე მდგარ პოლიციის თანამშრომლებს მობილური ტელეფონები ჩამოართვა და მხოლოდ ოპერაციის დასრულების შემდეგ დაუბრუნა. რამდენ ხანს გაგრძელდება ბლოკ-პოსტებზე დაწესებული შეზღუდვა, ჯერჯერობით უცნობია.

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ჩეჩნური კომიტეტის თავმჯდომარემ ასლამბეკ აბდურზაკოვმა ჟურნალისტებს განუცხადა: **„ასეთი ოპერაციების ჩატარების მიზანი გასაგებია, მაგრამ სამშაბათს პანკისის ხეობაში უპრეცედენტო ფაქტი მოხდა - ათამდე ნიღბიანი ადამიანი შეურაცხმყოფელ განცხადებებს აკეთებდა ჩეჩენი ლტოლვილების მიმართ, ემუქრებოდნენ ბავშვებს, ავტომატების კონდახებით სცემდნენ ქალებს."** მისი თქმით, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ჩეჩნური კომიტეტი ახსნა-განმარტებებს საქართველოს შესაბამისი სტრუქტურებიდან ელოდება.

**„ჩეჩენი ქალების შეურაცხყოფისა და ცემის საკითხი ცალკე იქნება წამოჭრილი,"** – აცხადებს აბდურზაკოვი.

სხვათა შორის, გათავისუფლებულ ჩეჩენ მამაკაცთა განცხადებით, უშიშროების თანამშრომლებმა მათ ე.წ. „დავერბოვკება" შესთავაზეს, მოფიქრებისთვის კი ერთი კვირის ვადა მისცეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ან საქართველოდან გაძევებით, ან დაპატიმრებით დაემუქრნენ.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ცხინვალის ციხეში მყოფი სამი ქართველი სამხედრო მოსამსახურის - სურმავას, კობალაძისა და დურგლიშვილის სასამართლო პროცესი, სავარაუდოდ, ამ კვირაში გაიმართება. წინასწარი ინფორმაციით, მათ ბრალად სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის ლიკვიდაციის მცდელობას წაუყენებენ. ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების გენერალურ პროკურატურაში სასამართლო პროცესის ამ კვირაში შესაძლო გამართვის ფაქტს ადასტურებენ, თუმცა ბრალდების შესახებ კომენტარს არ აკეთებენ.

გამორიცხული არ არის, სასამართლო პროცესისა და ქართველი სამხედრო მოსამსახურეებისთვის სასჯელის გამოტანის შემდეგ, კოკოითმა მათი შეწყალების აქტს მოაწეროს ხელი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** ზუგდიდში, დაახლოებით, ორი კვირის წინ მოკლული, 22 წლის ირაკლი ფიფიას ოჯახის წევრები ქალაქის პროკურორს მურთაზ ნარმანიას გამოძიების ტენდენციურ წარმართვაში ადანაშაულებენ. მათ საპროტესტო აქცია გამართეს და მკვლელობის საქმის სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურისთვის გადაცემა მოითხოვეს. შესაბამისი თხოვნის გაგზავნას ისინი გენერალური პროკურორის სახელზეც აპირებენ. დაზარალებული მხარის ადვოკატის მტკიცებით, გამოძიების ტენდენციურობაზე ისიც მიუთითებს, რომ შემთხვევის ადგილიდან მკვლელობის იარაღი არ არის ამოღებული. შეგახსენებთ, რომ ირაკლი ფიფია ზუგდიდში 17 ივლისს, საკუთარი სახლის წინ, პოლიციის რაიონული განყოფილების შენობის ახლოს მოკლეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ზუგდიდში მხარის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო სამსახურის ყოფილი უფროსი, ამჟამად ზუგდიდის რაიონის საგამოძიებო ნაწილის გამომძიებელი სარიდონ ბერულავა დააკავეს. სამეგრელო-ზემო სვანეთის ოლქის პროკურორის როლანდ ახალაიას განცხადებით, ბერულავა ზუგდიდის საოლქო საგადასახადო პროკურატურის თანამშრომლებთან ერთად ფიქტიური დოკუმენტების შედგენაში და სხვა პირებთან ერთად, ბიუჯეტის კუთვნილი 7 მილიონი ლარის დატაცებაშია ეჭვმიტანილი.

მისი თქმით, არსებობს კალიგრაფიული ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც აღნიშნულ დოკუმენტებზე ბერულავას ხელმოწერის ფაქტი დასტურდება. ბერულავას, 48 საათის განმავლობაში, თაღლითობის გზით სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი თანხების დატაცების თანამონაწილეობისათვის ბრალს წაუყენებენ. **პრაიმ-ნიუსი**



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

## ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახების შეხვედრების შთაბეჭდილებათა წიგნიდან

"მე ჩამოვედი მშობლებთან, რომლებიც 6 წელია არ მენახა. ამ ხნის განმავლობაში ისინი ძალიან მოხუცდნენ. მე წამოვუღე წამლები და შვილიშვილების სურათები. მშობლები სიხარულისგან ტიროდნენ და მთხოვდნენ, შემდგომში ბავშვები წამომეყვანა," - ეკა გვინჯია (სოხუმი).

"ჩემს ვაჟიშვილებს 10 წელია არ უნახავთ ერთმანეთი და ენგურის ხიდზე შეხვედრის შემდეგ მე შევძელი, ჩავსულიყავი გუდაუთაში ნათესავებთან. ვემადლიერები ორგანიზაციას მორალური და ფინანსური მხარდაჭერისთვის," - ლელა ბასილაია (სოხუმი).

"მე ვიყავი აფხაზეთში, შევხვდი ნათესავებსა და ახლობლებს. მეზობლები ტიროდნენ და სამუდამოდ ჩამოსვლას მთხოვდნენ. დავრწმუნდი, რომ რაც მეტი ადამიანი მოინახულებს თავიანთ ნათესავებს და ახლობლებს, მით უფრო ადრე იქნება შესაძლებელი ყინულის დადნობა ადამიანთა შორის ურთიერთობებში," - ნორა უბილავა.

"ბედნიერი ვიყავი, როცა ჩავედი სოხუმში, ასევე ლიხნში, სადაც გავატარე ბავშვობა. ვიყავი ჩემთან სახლში. სამწუხაროდ, ის ახლა დაკეტილია. ომმა დაგვაშორა ახლობელ ადამიანებთან. მინდა, რომ ჩემმა ნათესავებმაც შეძლონ თბილისში ჩამოსვლა," - შორენა ფილია (აფხაზი, თბილისი).

"დიდი ხანია, ჩემი და არ მინახავს. მეგონა, მას ვერასოდეს ვიხილავდი. თქვენი ორგანიზაციის წყალობით, მე შევძელი დას და დისშვილებს შევხვედროდი. მომდევნო წლისათვის მე თავად დავპატიჟე ისინი აფხაზეთში," - ილონა აშუბა (სოხუმი).

"ჩემი ოცნებაა, რომ ქართველები და აფხაზები მეგობრულად ცხოვრობდნენ, როგორც ადრე, და არ იყოს ომი!" - სვეტლანა ბასილაია (სოხუმი).

ცხოვრებისეული ისტორიები

## გული გალში დამრჩა

მე ყოველთვის ვამაყობდი ჩემი გვარით, რადგან გვარად ვარ - ლაკერბაია. "თავადის ქალი - ლაკერბაია", ასე მეძახდნენ აფხაზეთში. აქ ქუთაისში, რა თქმა უნდა, არავის აინტერესებს, ვარ თუ არა თავადის ქალი. კარგად ვიცი, რომ ჩემი გვარი აფხაზური წარმოშობისაა, მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ოჯახში გავიზარდე. დედაჩემი წმინდა სისხლის ქართველია, მე წარმოშობით გალიდან ვარ. ჩემი უმცროსი ძმა ახლაც იქ, გალში ცხოვრობს.

ათი წელი ვერ მოვახერხე გალში გადასვლა, მამის საფლავის მონახულება. ბოლოს, როგორც იქნა, მივაღწიე საწადელს და დედაჩემთან ერთად გალში ჩავედი. სწორედ ამის შესახებ მინდა გიამბოთ.

წარმოიდგინეთ, გალისაკენ მიმავალი მტვრიანი გზა, ამწვანებული მიდამო და სიცხეში ამ გზაზე მიმავალი მე და დედაჩემი. როგორლაც ჩავაღწიეთ გალში. პირველ რიგში, ჩემს აფხაზ მამიდასთან - სვეტლანასთან მივედით. გადავეხვიე დიდი ხნის უნახავ მამიდას, დიდხანს, ძალიან დიდხანს ვისაუბრეთ. ლაპარაკით გული რომ ვიჯერე, მერე ვკითხე მამიდაჩემს:

**- შენ, აფხაზი ქალი, რომელსაც გყავს ქართველი შვილები და ზრდი ორ ქართველ ბიჭს, როგორ ფიქრობ, ჩვენ ოდესმე შევრიგდებით?!**

- ჩემო ძვირფასო, ყველაფერი კარგად იქნება, მაგრამ ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. ჩვენზე, ხალხზე – როგორ ვაპატიებთ ყველაფერს ერთმანეთს, როგორ გვეყვარება ერთმანეთი, - ასეთი მშვენიერი პასუხი გამცა ჩემმა აფხაზმა მამიდამ.

ჩემთვის ეს სიტყვები ყველა წამალზე უკეთესი წამალი იყო.

მე, რა თქმა უნდა, ძალიან მინდოდა მამაჩემის დიდი ხნის უნახავი საფლავის მონახულება. წავედით სასაფლაოზე. ჩემდა გასაოცრად, ყველა საფლავის შესასვლელი კარი დაკეტილი იყო. მხოლოდ მამაჩემის, ბებიისა და ბაბუის საფლავებს შემოვლებული რკინის ღობის კარები იყო ღია. ისინი, თითქოს, ჩემს მისვლას ელოდნენ... ეს დიდი შოკი იყო ჩემთვის, ტირილი ამივარდა. თითქოს მამაჩემი ათი წელი გველოდა, თუ როდის მივიდოდით მის საფლავზე მე და დედაჩემი...

ცრემლებს ვერ ვიკავებდი, როდესაც ხანში შესული დედაჩემი დაემხო მამაჩემის საფლავს და ხმამაღლა, მოთქმით შესთხოვდა ღმერთს, რომ იგიც ქმრის გვერდით დაესაფლავებინათ.

მალე ქუთაისში დავბრუნდით, მაგრამ თითქოს გული ისევ გალში დამრჩა.

რამდენიმე დღის დაბრუნებული ვიყავი, როდესაც მოსკოვიდან შვილებმა დამირეკეს და ახალი ამბავი შემატყობინეს - ჩემს ქართველ ბიძაშვილს ცოლად აფხაზი გოგონა მოუყვანია...

ისე გამიხარდა ამ სიტყვების გაგონება, ვერ აგიწერთ. აი, კიდევ ერთი დამაკავშირებელი ხიდი, აშენებული ჩვენს შორის. იმ დღეს ძალიან ბედნიერი ვიყავი, რომ კიდევ ერთი ქართულ-აფხაზური ოჯახი შეიქმნა.

*რუბრიკას უძღვება*
*ლელა მარგიანი*

## სახალხო დიპლომატიის დიდი რესურსი

ლელა მარგიანი

*ომმა ყველაზე მეტად, ალბათ, შერეული ოჯახები დააზარალა. ბევრი ოჯახი დაინგრა მხოლოდ იმ მიზეზის გამო, რომ მისი ქართველი და აფხაზი წევრები ენგურს გაღმა-გამოღმა აღმოჩნდნენ. ომმა გათიშა მეუღლეები, მშობლები და შვილები, ახლო ნათესავები. ერთმანეთს დაშორდა რამდენიმე ათასი ადამიანი, ვინც აფხაზეთში მაცხოვრებელი შერეული ოჯახების უმეტეს ნაწილს – 41 პროცენტს შეადგენდა. არაოფიციალური მონაცემებით, ეს იყო 2500-მდე ოჯახი, ანუ, სულ ცოტა, ათი-თორმეტი ათასი ადამიანი.*



*ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახების შეხვედრა ზუგდიდში.*

"ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახების პრობლემებზე მომუშავე ორგანიზაციის შექმნის იდეა დიდი ხნის წინ დამებადა, რადგან ჩემი სიძე (დის ქმარი) აფხაზია და ომმა მათი ოჯახი გათიშა. ისინი რამდენიმე წელი ვერ ხვდებოდნენ ერთმანეთს, არაფერი იცოდნენ ერთმანეთის შესახებ. მე მოვძებნე ჩემი აფხაზი სიძე და შევახვედრე ჩემს დას. მაშინ ზუგდიდში ვცხოვრობდი, ხშირად მიხდებოდა დევნილებთან შეხვედრა და ვხედავდი, როგორ ეძებდა ხალხი თავის ნათესავს, თავის სისხლსა და ხორცს ენგურს გაღმა. როდესაც შევახვედრე ერთმანეთს ჩემი ახლობლები, სხვებზე ზრუნვაც გადავწყვიტე," - მითხრა სოხუმიდან დევნილმა, კავშირის "ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახები" დამფუძნებელმა რეზო ბენდელიანმა.

მისი ინიციატივით პირველი დიდი თავყრილობა 2002 წლის იანვარში, თბილისში, "კავკასიურ სახლში" მოეწყო. შეხვედრას მხოლოდ ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. სწორედ იქ გადაწყდა ორგანიზაციის დაარსება, რომლის დამფუძნებლები, ბატონ რეზოსთან ერთად, აფხაზი ქალბატონებიც არიან, ქართველების ოთხი აფხაზი რძალი.

ორგანიზაციას საქმიანობის უკეთ წარმართვისათვის პარტნიორი სჭირდებოდა სოხუმში. ჯერ ბატონი რეზო დიდი რისკის ფასად ესტუმრა მშობლიურ სოხუმს, შემდეგ მის კვალს აფხაზი ქალბატონებიც მოჰყვნენ, ორგანიზაციის წევრები რუსუდან მარშანია და შორენა ფილია. ისინი შეხვდნენ აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი შამბას. **"იგი პრინციპში წინააღმდეგი არ იყო, პირიქით, გვითხრა, რომ ასეთი ორგანიზაციის ჩამოყალიბებას მიესალმება. მაგრამ გვთხოვა, რომ არ მომხდარიყო პროცესის ფორსირება, რადგან სიტუაცია ძალიან რთულია და პროვოკაციის მეშინიაო. მან გვთხოვა, რომ თბილისისა და სოხუმის შეხვედრებზე მხოლოდ ქალები ჩავსულიყავით. ასე რომ, ჩემს ძმას, რომელიც სოხუმში ცხოვრობს, არ შეუძლია თბილისში ჩამოსვლა ჩემი შვილების სანახავად, რომლებიც თერთმეტი წელია არ უნახავს. მე კი ხშირად ჩავდივარ სოხუმში,"** – გვითხრა ქალბატონმა რუსუდან მარშანიამ, რომელიც მეუღლესა და ორ შვილთან ერთად თორმეტი წელია თბილისში ცხოვრობს.

ორგანიზაციის წევრებს, ბატონ რეზოს, ქალბატონ რუსუდანს სწამთ, რომ **"შერეული ოჯახების სახით, თბილისს და სოხუმს ჰყავს მძლავრი დასაყრდენი ძალა კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების საქმეში. რადგან დაახლოებით 2500-მდე ქართულ-აფხაზური ოჯახი, რომელშიც, სულ ცოტა, ოთხი წევრია, ნამდვილად შეიძლება მნიშვნელოვან ძალად მივიჩნიოთ."**

კავშირის წევრების დიდი გულისტკივილი იგრძნობოდა ქალბატონი რუსუდანის სიტყვებში: **"ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს საუკუნეების ისტორია აქვს. ჩვენი ოჯახების ფესვები საუკუნეებში იკარგება. სამწუხაროა, რომ წინა ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა ასეთი ოჯახების არსებობა, რომ ჩვენ ბევრი, ძალიან ბევრი ძაფი გვაკავშირებდა ერთმანეთს და მოხდა საშინელება – ძმამ ძმას ტყვია ესროლა!".**

არსებობის მცირე ხნის მიუხედავად, ორგანიზაციამ ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება მოასწრო. აღდგა ქართულ-აფხაზური 12 დანგრეული ოჯახი, ერთმანეთს შეხვდნენ 400-მდე გათიშული ოჯახის წევრები. ორგანიზაციას 800-ზე მეტმა ადამიანმა მიმართა ნათესავების მოძებნაში დახმარების თხოვნით. ამ კეთილშობილურ საქმეში თავისი წვლილი შეჰქონდათ "წითელი ჯვრისა" (წერილების გაგზავნა, ადრესატების მოძიება) და გაერო-ს წარმომადგენლობას.

კეთილი სიტყვებით იხსენებენ ქალბატონ როზა ოტუმბაევას, რომლის დიდი ძალისხმევით მოხერხდა ორგანიზაციის წევრების პირველი ჩასვლა სოხუმში. "სოროსის ფონდის" ხელშეწყობით ნათესავების შეხვედრა თბილისშიც მოხდა.

**"აფხაზ ნათესავებთან ერთად ვიყავით ექსკურსიაზე, სუფრაზეც მოვილხინეთ. ოჩამჩირიდან ჩამოსულები ოჩამჩირელ დევნილ ნათესავებს შევახვედრეთ და ამ შეხვედრაზე, სიყვარულისა და სიხარულის ცრემლების გარდა, არაფერი ყოფილა. აფხაზი ოჩამჩირლები ძალიან კმაყოფილები და გაოცებულები იყვნენ, რომ ყველა ქუჩაში გაჩერებული უცნობი გამვლელი, თუ სასტუმრო "ივერიაში" მაცხოვრებელი დევნილი კეთილგანწყობილი იყო მათ მიმართ. დიდი სითბო და სიყვარული იგრძნეს ჩვენგან,"** – იგონებს რეზო ბენდელიანი.

მიუხედავად დიდი გულისტკივილისა, თანაცხოვრება მაინც გრძელდება.

რუსუდან მარშანია: **"ომის შემდეგ 120 ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახი შეიქმნა. ცოტა ხნის წინ ასეთი რამ მიამბეს. აფხაზ ვაჟს ქართველი გოგონა შეუყვარდა, დედას გაუმხილა, რომ მისი ცოლად მოყვანა უნდოდა. დედამ არ დაუშალა.**

**მამა რას იტყვისო, უკითხავს შვილს.**

**რას იტყვის და განა მას გაუხარდებოდა, რუსი ცოლი რომ მოგეყვანაო, უპასუხია დედას. ანუ, აფხაზი ოჯახისთვის უფრო მისაღები სწორედ ქართველი გოგონა აღმოჩნდა".**

**"ერთხელ მე, ქალბატონი რუსუდანი და შორენა ფილია სოხუმში მივემგზავრებოდით. გზად ილორის ეკლესიასთან გავიარეთ. ჩვენს თანმხლებთ ვთხოვე, შეგვიყვანეთ-მეთქი ილორში. ჩვენთან ერთად მგზავრობდა აფხაზი პიროვნება, რომლის ვინაობას ვერ გავამხელ. ის ძალიან შეწუხდა, რომ ილორის ეკლესიის კარი დაკეტილი დაგვხვდა. გადმოვიდა ავტობუსიდან, მოაძებნინა მღვდელი, გააღებიან კარები...ჩვენც შევედით ტაძარში, ვილოცეთ. ეს იყო საოცარი წუთები... ალბათ, ჩვენ ყველა - ქართველებიც და აფხაზებიც იმ წუთებში მშვიდობისთვის ვლოცულობდით,"** – იგონებს ბატონი რეზო.

ორგანიზაციის წევრებს ერთი სურვილი აქვთ, მთავრობამ გამოიყენოს შერეული ოჯახების დიდი რესურსები, რომ ისინი სამშვიდობო პროცესებში, სახალხო დიპლომატიის საქმიანობაში უფრო აქტიურად ჩაერთონ.

თვალსაზრისი

# ის ნამდვილად იმსახურებს ყურადღებით განხილვას

### ზოგიერთი მოსაზრება "საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ" კონცეფციის თაობაზე

შალვა ფიჩხაძე,
*პოლიტოლოგი*

აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგება, მისი დაწყების დღიდან, უამრავი იდეის გამოთქმისა თუ კონცეფციის, უმეტესწილად - ზეპირსიტყვიერის, ჩამოყალიბების საბაბი გამხდარა. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს იდეები თუ კონცეფციები უფრო ქართული საზოგადოების მიერ შიდა მოხმარებაზე იყო გათვლილი, ვიდრე უმთავრესზე – აფხაზებსა და ქართველებს შორის გრძელვადიანი თანხმობის მიღწევაზე, მათი ინტერესების დაახლოებაზე და, საბოლოო ჯამში, კონფლიქტის მოგვარებაზე. ამ უკანასკნელი მიზნის მისაღწევად, საკითხის იმაზე ღრმა და გულდასმით შესწავლა იყო საჭირო, ვიდრე ამას ავტორები აკეთებდნენ. უფრო მეტიც, იმგვარი კონცეფციის შემუშავებისთვის, რომელიც აფხაზეთის საზოგადოებას, სულ ცოტა, დააინტერესებდა, საჭირო იყო იმ სტერეოტიპებისგან გათავისუფლება, რომლებიც ქართულ საზოგადოებას ჯერაც არ აძლევენ პრობლემის ობიექტურად დანახვის და შეფასების საშუალებას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადამიანი სტერეოტიპს საკუთარი შვილივით ზრდის, მას ცივ ნიავს არ აკარებს და, თუკი რაიმეს დათმობა უწევს, ამ რიგში სტერეოტიპი ერთ–ერთ უკანასკნელ ადგილზეა.

რაც შეეხება ამ იდეებისა თუ კონცეფციების მოშველიებით საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის ჩვენსკენ შემობრუნების მიზანს, საეჭვოა, მათ ამგვარი ფუნქციის შესრულება შეძლებოდათ, ვინაიდან, ჯერ ერთი, 90–იან წლებში ეს აზრი უფრო ბალკანეთის, ავღანეთისა და სპარსეთის ყურის მოვლენებით იყო დაკავებული. იმ დონეზე, რა დონეზეც საერთაშორისო ორგანიზაციები და უცხოეთის მასმედია საქართველოში არსებულ კონფლიქტებისთვის იცლიდა, საქართველოს ხელისუფლება განხილვების ჩვენთვის სასიკეთო კალაპოტში შენარჩუნებას ახერხებდა. ამის დასტურად თუნდაც ის გამოდგება, რომ გაერო-ს, ეუთო-სა თუ დსთ-ს ამ საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ყველა დოკუმენტში მკაფიოდ იკითხება როგორც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობისა და სუვერენიტეტის აღიარება, ისე ყველა დევნილის უპირობო უფლება, ნებაყოფლობით და ღირსეულად დაუბრუნდეს მუდმივ საცხოვრებელ ადგილს. არც უცხოეთის რომელიმე სერიოზულ და ანგარიშგასაწევ საინფორმაციო საშუალებაში დამდგარა ოდესმე საკითხი სხვაგვარად. მას, ვინც ფიქრობს, რომ ეს ისედაც ასე იქნებოდა, ბალკანეთის, ერიტრეის, აღმოსავლეთ ტიმორის მაგალითებს შევახსენებდი.

მოკლედ რომ ვთქვათ, ერთი გამონაკლისის გარდა, დღემდე სერიოზულად არავის შეუწუხებია თავი იმ დოკუმენტის პროექტის სახით დაწერით, თუ როგორ ხედავს ქართული სახელმწიფო აფხაზეთის მომავალს და, შესაბამისად, საკუთარ მომავალს (ამ გამონაკლისზე ორიოდე სიტყვით შევჩერდები). ანუ, პრაქტიკულად, შეიძლება ითქვას, რომ კონფლიქტის მოწესრიგების ამ მიმართულებით საქართველო სრულ უსუსურობას ავლენდა, ვინაიდან, მოწესრიგების გეგმას მუდმივად ვილაცისგან ელოდა.

რაც შეეხება ზემოთ ხსენებულ გამონაკლისს, საქართველოს ხელისუფლების მიერ 1996 წელს შედგენილი და გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ ოფიციალური დოკუმენტის სახით გავრცელებული წინადადებები აფხაზეთის მიმართ, ზოგადი ჩარჩოების, ზოგადი მონახაზის, ქართული მხარის სურვილების ხასიათს უფრო ატარებდა. კონფლიქტის მოწესრიგების ამ სეგმენტში სრული ვაკუუმის პირობებში საქართველოს მხრიდან აფხაზებისთვის ოფიციალური შეთავაზების ეს პირველი მცდელობა, უდავოდ, წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მას მოწესრიგების პროცესზე რაიმე ხელშესახები გავლენა არ მოუხდენია, ვინაიდან, დოკუმენტი მოკლებული იყო მასში დეკლარირებული დებულებების დეტალური განხორციელების მექანიზმებს, გარანტიებს, ვადებს და ა.შ.

ამასთან ერთად, ქართული მხარის ეს შეთავაზებები სცოდავდა ერთი ნაკლით, რომელიც ახასიათებდა, პრაქტიკულად, ყველა სხვა იდეასა და კონცეფციასაც და, რომლის აღმოფხვრის გარეშე გრძელვადიანი, სიცოცხლისუნარიანი მოწესრიგების მიღწევა შეუძლებლად წარმომიდგენია. ესაა ისევ და ისევ **სტერეოტიპებზე დაფუძნებული, აფხაზური მხარის ინტერესების სრული იგნორირება**. ხოლო თვით სტერეოტიპი იმაში მდგომარეობს, რომ აფხაზები მთლიანად რუსეთის ნებაზე არიან დამოკიდებულნი, ისინი მთლიანად რუსეთის ან მისი გარკვეული წრეების (გააჩნია, რუსეთს ვინ რა თვალით უყურებს) მარიონეტები არიან და, შესაბამისად, ვერც საკუთარი ინტერესები ექნებათ.

ამრიგად, დღემდე, დაწერილი სახით მხოლოდ ორი კონცეფცია არსებობს. ერთზე უკვე ვისაუბრეთ. მეორეა ამას წინათ ავტორთა ჯგუფის მიერ შემუშავებული „კონცეფცია საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ". ის ნამდვილად იმსახურებს ყურადღებით განხილვას.

შესაძლოა, ვცდებოდე, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს პროექტი არის დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს არსებობის ხანმოკლე ისტორიის განმავლობაში შექმნილი პირველი დოკუმენტი, რომელიც არა სურვილებით, არამედ რეალურად ეფუძნება დღევანდელი ევროპული ცივილიზაციისთვის სულ უფრო მახლობელ პოლიტიკური ლიბერალიზმის პრინციპებს. ამის თქმის საფუძველს მაძლევს ის, რომ, საქართველოს ინტერესების დაცვის მცდელობასთან ერთად, პროექტის ავტორები თითქმის გამორიცხავენ აფხაზური მხარის მოწინააღმდეგედ განხილვას; მათი მიზანია არა მოწინააღმდეგის დამარცხება, არამედ ორივე მხარის მიერ ერთობლივი ძალით კონფლიქტის დამარცხება; ისინი ცდილობენ, მეორე მხარის ინტერესები მაქსიმალურად გაითვალისწინონ, რაც თვით დოკუმენტს საკმაოდ ართულებს, სამაგიეროდ, მას ყოვლისმომცველს, ხოლო შესაძლო მოწესრიგებას – გრძელვადიანს და სიცოცხლისუნარიანს ხდის; ისინი ცდილობენ, აფხაზურ მხარეს თავს მოახვიონ არა „ნულოვანი ჯამის თამაში", არამედ, მას კონსტრუქციული თანამშრომლობა შესთავაზონ; თავიანთი არგუმენტების დასასაბუთებლად და გასამყარებლად ისინი გვერდს უვლიან ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობებში ისტორიულ ექსკურსებს და სწორადაც იქცევიან, რადგან კონფლიქტების მოწესრიგებისას წარსულის გახსენებას ერთადერთი პოზიტიური ფუნქცია გააჩნია – ის გვკარნახობს, თუ რა შეცდომები აღარ უნდა გავიმეოროთ მომავალში.

ვფიქრობ, კონცეფცია რამდენიმე მიზანს ისახავს:

აფხაზური მხარისთვის შემდგომი თანაცხოვრების იმგვარი პირობების შეთავაზება, რომლებიც მათ დააინტერესებდნენ. ცხადია, რომ დეკლარირებული რადიკალიზმის მიუხედავად, აფხაზური მხარე არ გამორიცხავს აფხაზეთის შემდგომი არსებობის რამდენიმე ვარიანტს და ამ საკითხში მისთვის არც „ვაჭრობაა" მიუღებელი (პირადად მე ეს „შლაინინგის პროცესმა დამანახა); მიმაჩნია, რომ „კონსტრუქციული ვაჭრობის" დასაწყებად კონცეფციის ეს პროექტი გამოდგება;

იმის მცდელობა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის, როგორც არბიტრის თვალში, საქართველომ ისეთი რამ შესთავაზოს აფხაზეთს, რაზეც რაციონალური მოსაზრებებით დასაბუთებული უარის თქმა მას გაუჭირდება;

მოახდინოს ქართული საზოგადოებისთვის აუცილებელი, აქამდე ტაბუირებული საკითხების საჯარო განხილვის პროვოცირება და ამით ნიადაგი შეურყიოს ჩაქვავებულ, მავნე სტერეოტიპებს.

კონცეფციას წითელ ხაზად გასდევს ე.წ. „შლაინინგის პროცესის" კვალი. ამ პროცესის უმნიშვნელოვანეს დამსახურებად მიმაჩნია ის, რომ ქართული მხარის წარმომადგენლებმა შეუქცევადად გაითავისეს შემდეგი:

**ა.** აფხაზურ მხარეს საკუთარი ინტერესები გააჩნია, რომლებიც, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, შესაძლოა, ზოგჯერ ქართული მხარის ინტერესებთან უფრო ახლოს იყოს, ვიდრე რუსეთის ინტერესებთან;

**ბ.** აუცილებელია ამ ინტერესების შესწავლა, მათზე აფხაზურ მხარესთან დისკუსიების გამართვა, ჩვენი ინტერესების დაცვა და ორივე მხარის ინტერესების დაახლოება;

**გ.** შესაძლებელია ამ ინტერესების დაკმაყოფილება იმის გარეშე, რომ აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდეს;

**დ.** კონფლიქტის მოწესრიგების სხვა გზებს შორის ეს ყველაზე რთულად და ხანგრძლივად შეიძლება ჩანდეს, მაგრამ ყველაზე რეალურია.

შორს ვარ იმ აზრისგან, რომ აფხაზეთში, სადაც საქართველოს მიმართ დამოკიდებულება, როგორც სახელისუფლებო წრეებში, ისე საზოგადოებაში, ასე თუ ისე, ერთგვაროვანია, ამ კონცეფციას სიხარულით აიტაცებენ. უფრო მეტიც, შესაძლოა, ის წაკითხვისთანავე საჯაროდ უარყონ. ასე ფიქრის საფუძველს მაძლევს ის, რომ კონცეფცია, აფხაზური მხარისთვის საჩოთირო სხვა დებულებებთან ერთად, დევნილთა დაბრუნებისა და სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში რეინტეგრაციის მექანიზმებს შეიცავს, რაც აფხაზური მხარისთვის ყველაზე ძნელად „მოსანელებელია". მაგრამ, თუნდაც ეს ახლა ასე მოხდეს, ავტორთა ძალისხმევა უკვალოდ მაინც არ ჩაივლის. ჯერ ერთი, აფხაზური საზოგადოების ერთი ნაწილი მაინც დაინახავს კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის გაწვდილ ხელს. მეორეც, ზემოთ ჩამოთვლილი სამიდან ორი მიზანი მიღწეული იქნება.

ვფიქრობ, კონცეფციის სერიოზული ნაკლი შემდეგში მდგომარეობს. მისი ავტორები კონცეფციისთვის დამახასიათებელი ლიბერალიზმით იმდენად გაერთნენ, რომ ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი დაავიწყდათ: ეს რეგიონი, მისი ხალხები ჯერ კიდევ კარგა ხანს იხელმძღვანელებენ გასული საუკუნეების ევროპისთვის დამახასიათებელი პოლიტიკური რეალიზმის პოსტულატებით. მხარეები ერთმანეთს არა თუ ფუძემდებლურ საკითხებში, წვრილმანებშიც კი არ ენდობიან. იმისთვის, რათა ქართული და, განსაკუთრებით, აფხაზური მხარისთვის კონცეფციაში მოყვანილი დებულებები მისაღები გახდეს, აუცილებელია ამავე კონცეფციაში მკაფიოდ, შესაძლოა, ცალკე თავის სახით, მხარეებისთვის კონცეფციის დებულებების გარანტიები აისახოს.

ნუ დაგვავიწყდება, რომ კონცეფცია, თუკი მას მხარეები მიიღებენ, ორივე მხარისთვის ძნელად მისაღები კომპრომისებით გაჯერებული იქნება. ორივე მხარე კიდევ დიდხანს ჩათვლის, რომ ის ვითარებამ (საერთაშორისო თანამეგობრობამ, პოლიტიკურმა კონიუნქტურამ, წინა ხელისუფლების შეცდომებმა და ა.შ., ვის რა ახსნა მოსწონს) აიძულა, დათმობებზე წასულიყო. შესაბამისად, არც აფხაზური და არც ქართული მხარე კიდევ დიდხანს არ გათავისუფლდება ცთუნებისგან, სხვადასხვა პირობების მისთვის სასიკეთოდ შეცვლის შემთხვევაში, მიღწეული შეთანხმებები დაარღვიოს, რაც უკვე არაერთხელ მომხდარა და „ისტორიული სამართლიანობა" აღადგინოს. ერთადერთი, რაც ჩვენს არცთუ ცივილიზებულ რეგიონში ამას წინ აღუდგება, ძალის ან ძალის გამოყენების მუქარის შიშია. ამ შემთხვევაში არ გამოვრიცხავ შეირაღებულ ძალასაც (ეს შეთანხმების საკითხია, თუმცა ამჟამად სხვა ქმედითი ბერკეტებიც არსებობს). ყოველ შემთხვევაში, გარანტორები იმდენად ძლიერნი უნდა იყვნენ და მათ ხელთ ისეთი მექანიზმები უნდა ეპყრათ, რომ მხარეებს მათ „გადაკიდებას" შეთანხმებული დებულებების შესრულება ერჩიოთ.

კიდევ ერთი მომენტი. ვინაა არბიტრი იმ შემთხვევაში, თუკი მხარეებს შორის იურიდიული კოლიზია წარმოიშვება? ილუსტრაციისთვის ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ ერთით შემოვიფარგლები. III თავის (*აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსი*), მე-2 ქვეთავის (*აფხაზეთის კონსტიტუცია; განსაკუთრებულ უფლებამოსილებათა ნუსხა*) "ე" მუხლი, რომელშიც საუბარია ერთ–ერთი მხარისთვის მიუღებელი ნორმატიული აქტის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრების შესახებ. ამ შემთხვევაში ავტორები ამოდიან სამართლებრივი სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი თვისებებიდან, როდესაც დავები წყდება *კანონის* და არა საზოგადოებრივი აზრის, პიროვნების ნების, პოლიტიკური მიზანშეწონილობის და სხვა ამგვარი, ლიბერალური დემოკრატიის პრინციპებით მცხოვრები საზოგადოებისთვის უცხო, საეჭვო ფაქტორების საფუძველზე. დღევანდელ საქართველოში კი სრულიად საპირისპიროდ ხდება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აფხაზებისთვის ავტორიტეტს რომ წარმოადგენდეს, კონფლიქტი კარგა ხნის ამოწურული იქნებოდა. შესაძლოა, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი ან სხვა ცენტრალური ორგანოებისადმი აპელირება მიზანშეწონილი გახდეს მოწესრიგების დაწყებიდან ათი ან მეტი წლის შემდეგ. მაგრამ, მოწესრიგების საწყისი ეტაპისთვის მოსაფიქრებელია ისეთი გარანტების და გარანტორების მოზიდვა (აქ სხვადასხვა შეთანხმებული ვარიანტია შესაძლებელი), რომელთაც ორივე მხარე ერთნაირად ენდობა ან, უარეს შემთხვევაში, ერთნაირად არ ენდობა. და ეს არა მხოლოდ ზემოთ აღნიშნულ მუხლს ეხება, არამედ მთელ პროექტს. შესაძლოა, გარანტიების თვალსაზრისით, სასარგებლო იყოს დეიტონის ხელშეკრულებების ზოგიერთი ასპექტის გამოყენება. ყველა შემთხვევაში, მიმაჩნია, რომ **გარანტიების საკითხის კონცეფციაში დეტალურად და სრულფასოვნად ჩართვა მას უფრო რეალისტურს გახდის.**

დაბოლოს, კიდევ ერთი შენიშვნა. კონცეფცია დაწერილია დღევანდელი რეალიების გათვალისწინებით. ის ფაქტი, რომ მასში ქართული საზოგადოებისთვის ბევრი რთულად აღსაქმელი მომენტია, არა კონცეფციის ავტორთა, არამედ თვით საზოგადოების, წინა თუ დღევანდელი ხელისუფლების, საერთაშორისო ასპარეზზე დღეს არსებული ძალთა წონასწორობის ბრალია. არ მიმაჩნია, რომ ეს კონცეფცია ქვის ფილებზე ამოკვეთილი ურყევი ჭეშმარიტებაა. ზემოთ მოყვანილი ფაქტორების ცვლილების კვალობაზე, ის შეიძლება ქართული სახელმწიფოსთვის უფრო მისაღები ან მიუღებელი კონცეფციით შეიცვალოს. დღევანდელ ხელისუფლებას, მოსახლეობის მხრიდან ნდობის უზარმაზარი კრედიტიდან გამომდინარე, წინა ხელისუფლებაზე უფრო მეტი შანსი აქვს, საკუთარ ხალხს, მათ შორის, აფხაზურ საზოგადოებას ეს კონცეფცია შესთავაზოს. თუმცა საკითხავია, ისურვებს კი ხელისუფლება საკუთარი ნდობის კრედიტის ამდენად თამამი, არაორდინარული და არაპოპულარული იდეებით გაჯერებულ კონცეფციაზე დახარჯვას? ღირს თუ არა კონცეფციის განხორციელებაზე მუშაობა, თუ უკეთესი რეალობის იმედად ყოფნა სჯობს - ეს როგორც საქართველოს ხელისუფლების, ისე სოხუმის მთავრობის გამჭრიახობის საქმეა.

## ათენამდე



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ქართველი ოლიმპიელები დალოცა.

B5

## სკანდალი ისევ "ფარენჰეიტის" გარშემო



მაიკლ მურის ცნობილი ფილმი კვლავ ყურადღების ცენტრში მოექცა.

B7

## დაბრუნება მომავალში



მომავალი გაზაფხულისთვის ბებიების სკივრების ამოქექვის დრო დადგება.

B8

# დღეს რუსეთი გახდა "კაგებეშნიკების" ქვეყანა

*გიორგი შენგელაია თავად აპირებდა სათავეში ჩადგომოდა ახალი საზოგადოებრივი ტელევიზიის ჩამოყალიბებას. ამის შესახებ ნოემბრის რევოლუციის ერთ-ერთმა აქტიურმა მხარდამჭერმა წერილობით მიმართა საქართველოს პრეზიდენტს, რომლისგანაც პასუხს დღემდე ელის. მიუხედავად ამგვარი გაწბილებისა, შენგელაია კვლავ პრეზიდენტ სააკაშვილის მხარდამჭერია. სამაგიეროდ, შეიცვალა მისი დამოკიდებულება რუსეთისადმი. რუსეთის დიდი აპოლოგეტის, პარტიის - "ქართული ვაზი რუსეთთან ერთად" - დამაარსებლის აზრით, რუსეთი დღეს "კაგებეშნიკების" ქვეყანა გახდა.*



იური ლობოდინის ფოტო

*საქართველო, უკრაინა, ყაზახეთი და აზერბაიჯანი, პირველ რიგში, დამოუკიდებელი ქვეყნები არიან. ეს უნდა შეიგნონ პუტინმა, რუსეთის საზოგადოებამ და საქართველოს ტერიტორიაზე - ოსეთში და აფხაზეთში - ხელების ფათურს თავი უნდა დაანებონ.*

ვერიკო თევზაძე

**- ნოემბრის დღეებში თქვენ აქტიურობით გამოირჩეოდით, ამჟამად ასპარეზზე არ ჩანხართ, ისევ ახალი ხელისუფლების მხარდამჭერთა შორის ირიცხებით, თუ პოზიცია შეიცვალეთ?**

- მოგეხსენებათ, რომ ჩვენი საზოგადოების მოწინავე ინტელიგენცია აქტიურად უჭერდა მხარს ნოემბრის რევოლუციას. ჩვენ გამოვდიოდით მიტინგებზე. იქ იყვნენ ვახუშტი კოტეტიშვილი, ზურაბ კიკნაძე, რამაზ ჩხიკვაძე... ასევე - დათო მაღრაძე, ირაკლი კაკაბაძე და სხვა ახალგაზრდები. როცა ჩვენ გამოსვლები დავიწყეთ, სულაც არ ვიყავით დარწმუნებულები, რომ სააკაშვილი გაიმარჯვებდა. მიუხედავად ამისა, ვამბობდით იმას, რასაც გულწრფელად ვფიქრობდით. მიტინგზე ერთ-ერთი გამოსვლისას ვთქვი, რევოლუცია რომ დამთავრდება, ვაპირებ მიუზიკლის გადაღებას "არსენას ლექსის" მიხედვით, სადაც სააკაშვილი ითამაშებს ოძელაშვილის როლს, ფარსადან ბოდბისხეველის როლში იქნება შალვა ნათელაშვილი. სომეხ ვაჭრებს განასახიერებენ გოგი თოფაძე, ლევან გაჩეჩილაძე და დავით გამყრელიძე, იმათ, ვისაც არსენამ თავზე მოკლე ადლები გადაატეხა-მეთქი. მე ვგულისხმობდი ამ სამეულის პოლიტიკურ ვაჭრობას ხან შევარდნაძესთან, ხან კიდევ ვისთან და ვისთან. ისე, მაშინ უნდა მეთქვა კიდევ, რომ საანგარიშო "ჩოთქებიც" არ უვარგოდა ამ სამეულს. ბოლოს და ბოლოს, ვერ იანგარიშეს და რელობის მიღმა დარჩნენ. მიტინგზე ჩემი გამოსვლიდან მესამე დღეს დეზერტირების ბაზარში წავედი, სადაც ხალხი შემომეხვია და მითხრა: ბატონო გიორგი, თქვენი და რამაზ ჩხიკვაძის გამოსვლების შემდეგ დავიწყეთ მიტინგებზე სიარულიო. ამით იმის თქმა მინდა, რომ როცა ხალხი, არსებული თუ მომავალი ხელისუფლება და ერის ინტელექტუალური ნაწილი ერთად მუშაობენ, მაშინ კეთდება საქმე. საბოლოოდ ყველაზე დიდი ინფორმაციის მატარებელი ხალხია. შეიძლება ეს პოპულისტურ გამონთქვამად მოეჩვენოს ვინმეს, მაგრამ სინამდვილე ასეთია.

**- იმ პერიოდში თქვენ ე. წ. დარბაზი დააარსეთ, ამჟამად რას აკეთებს ეს საზოგადოებრივი ორგანიზაცია?**

- რევოლუციის დასრულების შემდეგ ისინი, ვინც რევოლუციას მხარს ვუჭერდით, შევიკრიბეთ და დავსვით საკითხი, თუ როგორ დავეხმაროთ ამიერიდან ახალ ხელისუფლებას? ჩამოვაყალიბეთ საზოგადოებრივი ორგანიზაცია "დარბაზი", იქვე ავირჩიეთ დარბაზის მმართველი ორგანო - მთავარი საბჭო, რომელშიც შევიდნენ ვახუშტი კოტეტიშვილი, ზურაბ კიკნაძე, რამაზ ჩხიკვაძე, აკადემიკოსები ვანო კიღურაძე, თემურ ნანეიშვილი და დავით მუსხელიშვილი, ნანა ალექსანდრია, გიორგი ოჩიაური, გიორგი შენგელაია, დავით მაღრაძე, ირაკლი ჩარკვიანი და სხვები. მთავარმა საბჭომ შეიმუშავა "დარბაზის" პროგრამა, რომელიც, ძირითადად, გულისხმობდა ახალი ხელისუფლების მხარდაჭერას, მაგრამ როცა გარემოებები ამას მოითხოვდნენ - კრიტიკასაც.

მე გამოვთქვი მოსაზრება, რომ საქმისათვის მიზანშეწონილი იქნება, "დარბაზს" ჰქონდეს კომუნიკაციის თანამედროვე საშუალება საზოგადოებრივი ტელევიზიის სახით და რომ მიზანშეწონილი იქნება, საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიის პირველი არხი გარდაიქმნას საზოგადოებრივ ტელევიზიად, რომელსაც მოუსმენს ხალხიც და მთავრობაც. ჩვენ, დარბაზის გამგეობის წევრები, მზად ვიყავით, სათავეში ჩავდგომოდით ამ საზოგადოებრივ ტელევიზიას. მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი გეგმით ამ ახალი საზოგადოებრივ ტელევიზიის მაუწყებლობის ძირითადი დრო უნდა დაეჭირა კულტურას. ეს მეტად მნიშვნელოვანი იქნებოდა დღევანდელი საქართველოსათვის, სადაც ჩვენი ეროვნული კულტურის არეალი დანგრეულია მასობრივი კულტურის პრეცედენტებით, "არტ-იმედებით" და სხვა მისთანებით.

ჩვენი ეს მოთხოვნა მაშინვე წერილობით გავაზავნეთ პრეზიდენტის სახელზე. სამწუხაროდ, პასუხი დღემდე არ მიგვიღია. ჩვენი წერილი ჩაბარდა ხელში პრეზიდენტის თანაგუნდელს ნაციონალური მოძრაობიდან ბიძინა ბრეგაძეს. მეორე ეგზემპლარი, ყოველი შემთხვევისთვის, მივეცით პარლამენტის ახლანდელი უმრავლესობის თავმჯდომარეს მაია ნადირაძეს, რომელმაც შემდგომში დაგვიდასტურა, რომ ჩვენი წერილი უშალოდ გადასცა ბატონ მიხეილს ხელში. როგორც გითხარით, არანაირი რეაქცია ჩვენს წერილებს არ მოჰყოლია, ზარიც კი არ ყოფილა, რომ ვინმეს ეთქვა, იცით, ბატონებო, პრეზიდენტი დაკავებულია. რამდენიმე დღის მერე ვიგებთ, რომ პირველი არხის ხელმძღვანელად დაინიშნა ზაზა შენგელია და მას დაევალა პირველი არხის საზოგადოებრივ ტელევიზიად გადაკეთება. ამ უცნაურმა ცნობამ გამოიწვია ის, რომ სწორედ იმ დღეს დაიშალა ჩვენი "დარბაზის" გამგეობა.

მე ახლაც მხარს ვუჭერ პრეზიდენტს, მის ინტელექტს, შემართებას, მაგრამ საჭიროდ ვთვლი, რომ ხელისუფლება გარკვეულ საკითხებში გამოცდილი და კომპეტენტური ხალხის აზრს ეცნობოდეს, მიუხედავად იმისა, გაიზიარებს თუ არა მათ მოსაზრებებს. ამასთან დაკავშირებით მახსენდება ძველი ყარაჩოხლების სადღეგრძელო, რომელიც მთვარეს ეძღვნება. ყარაჩოხლები ამბობენ: ეს იმ მთვარეს გაუმარჯოს, რომელიც ზემოდან დაგვყურებს, გზას გვინათებს და გვეუბნება: ე, მუდრეგ, აქეთ მოდი, მანდ ხრამია, არ ჩავარდე.

მიუხედავად იმისა, რომ "დარბაზი", ფაქტობრივად, დაიშალა, ჩვენ, მისმა წევრებმა, საზოგადოების მიმართ პასუხისმგებლობა მაინც შევინარჩუნეთ. მე, მაგალითად, მაქვს ჩემი საკუთარი დამოკიდებულება ოსეთში მიმდინარე მოვლენებთან, ასევე ბენდუქიძის რეფორმებთან და იმასთან, უნდა ისწავლებოდეს თუ არა ჩვენს სკოლებში ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა.

**- ვიდრე ხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით თქვენს პოზიციას გაგვაცნობდეთ, საინტერესო იქნება, დაგვიკონკრეტოთ, ვის ინტერესებში შედიოდა პირველი არხის ხელმძღვანელად დაენიშნათ ზაზა შენგელია?**

- მე არ ვიცი, შენგელიას უკან ვინ დგას... არც მაინტერესებს. ამ დანიშვნას ახალი ხელისუფლების დოქტრინასთან არავითარი საერთო არ აქვს. როგორც თავად სააკაშვილი ამბობს, შევარდნაძის დათხოვა მას ხალხმა მოსთხოვა. თუ შენგელიები კიდევ იბოგინებენ, ხალხმა შეიძლება პრეზიდენტს ახალი მოთხოვნები წაუყენოს...

ახლა არ მინდა იმაზე საუბარი, შენგელია ვის ინტერესებს გამოხატავს, ეს მთელმა ქალაქმა იცის. მაგ პიროვნებამ თავის დროზე ჩემს ძმას პარლამენტის წევრს, ელდარ შენგელაიას ღია ეთერში შეურაცხყოფა მიაყენა... გახსოვთ, ალბათ, ცნობილი გადაცემა ეკა ბერიძის მათაურობით. მაშინ შენგელია ხომ შევარდნაძის ინტერესებს გამოხატავდა.

**- ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ ახალმა ხელისუფლებამ იმედი გაგიცრუათ?**

- 90 პროცენტით მხარს ვუჭერ. ვეთანხმები იმას, რასაც სააკაშვილი აკეთებს. განსაკუთრებით მომწონს, მდიდრებს ფულებს რომ ართმევს და ღარიბებს აძლევს. ყველაზე დიდ სამართლიანობად, საზოგადოების როგორი ფორმაციაც არ უნდა იყოს, სოციალური სამართლიანობა მიმაჩნია. მსოფლიოს მოწინავე დემოკრატიულ ქვეყნებში ეს პრობლემა გადაჭრილია. ამერიკაში ყველაზე მაღალ გადასახადს იხდის მდიდარი კაცი, ყველაზე დაბალს - ღარიბი. კულტურული თვალსაზრისით, სააკაშვილის ოპოზიციაში არასოდეს არ გადავალ. ვერანაირად ვერ გავიზიარებ კობა დავითაშვილის და ზვიად ძიძიგურის ოპოზიციურ იდეებს. პოლიტიკაში ხანდახან საჭირო ხდება ისეთი ქმედებები, როგორსაც დავით აღმაშენებელი მიმართავდა. თუმცა ამას ბოლოს "გალობანი სინანულისანი" მოჰყვებოდა.

**- სოციალური სამართლიანობის თვალსაზრისით როგორ უყურებთ პრივატიზაციის ახალ პროგრამას?**

- ძალიან გამიხარდა ბენდუქიძის ჩამოსვლა. კახას ვიცნობდი, როგორც რუს ბიზნესმენს, ერთი-ორჯერ შევხვედრივარ კიდეც, მაგრამ დაწვრილებით არ ვიცოდი მისი იდეების შესახებ. როდესაც საქართველოში ჩამოვიდა, განაცხადა, თუ ინვესტორებს მომგებიან სიტუაციას არ შევუქმნით, ისინი არ ჩამოვლენო. ამას ამბობს კაცი, რომელმაც საქართველოზე სამჯერ დიდი, ეკატერინბურგის უშველებლი ოლქი ბრწყინვალედ მოაწყო. კახა ბენდუქიძეს არც ხელი მოუთბია, არც ვერტმფრენები უყიდია და არც იახტები აუშენებია. მან რუსეთის საქმიან წრებში ისეთი რეპუტაცია მოიპოვა, რომ მას იქ ეკითხებიან, როგორი კანონები დავწეროთო. სავსებით ვეთანხმები კახა ბენდუქიძეს, რომელიც საქართველოში მოითხოვს გადასახადების ლიბერალიზაციას და მასობრივ პრივატიზაციას. ამ დროს ბენდუქიძის წინააღმდეგ გამოდის საშინელი ხალხი (პირდაპირ ასე დაწერეთ). ესენი არიან ურაპატრიოტები, ზვიადისტები. მინდა, მივმართო პრეზიდენტს, ნურაფრის ნუ ეშინია. თუმცა, თვითონაც გამოვიდა და თქვა, რომ კანონი ყველას მიმართ იკანონებსო.

სხვათა შორის, ძალიან შეწუხებული ვიყავი, არჩევნების წინ სააკაშვილი ზვიადისტებთან აქტიურ შეხვედრებს რომ მართავდა, თუმცა, ბევრი რამ გასაგებია: სამეგრელოს პროცესები, ის რომ საქართველო პატარა ქვეყანაა და ა. შ... მაგრამ ზვიადისტებმა ახლა ისევ გამოააშკარავეს თავი. ბენდუქიძეს, ამ გონებით ნათელ კაცს დაეხვივნენ და აფურთხეს კიდეც. ისინი, როგორც სააკაშვილმა მოხდენილად თქვა, იჭრებიან იმ სფეროში, სადაც მათი უფლებები თავდება და ბენდუქიძის საკუთარი ცხვირი იწყება.

**- როგორ ფიქრობთ, სახელმწიფოს არანაირი ქონება არ სჭირდება, ან სტრატეგიული დარგები არ უნდა აკონტროლოს?**

- მაგალითად, საქნავთობთან დაკავშირებით ახლა დიდი აჟიოტაჟია ატეხილი. როგორც მე მესმის, საქნავთობში დგას მეთვალყურეთა საბჭოს პრობლემა. პრემიერ-მინისტრი ჟვანია ღიად აცხადებს, რომ ისეთ სააქციო საზოგადოებებში, როგორიც არის საქნავთობი, სადაც აქციების დიდ ნაწილს სახელმწიფო ფლობს, უნდა შეიცვალოს სამეთვალყურეო საბჭოს სტრუქტურა. იგი საგრძნობლად უნდა შემცირდეს და მისი წევრები უნდა დაინიშნონ სახელმწიფოს მიერ. პრემიერ-მინისტრი თავის ინიციატივას მოტივირებას უკეთებს იმით, რომ მეთვალყურეთა საბჭოები მსგავსი ტიპის სააქციო საზოგადოებებში გაბერილია, მის წევრებს აქვთ დიდი ჯამაგირები და სარგებლობენ პირადი მანქანებით. მე ვთვლი, რომ ჟვანიას ეს წინადადება არის არაკომპეტენტური, რაზედაც მთავრობას უკვე ბევრმა უცხოურმა ორგანიზაციამ მიუთითა. სააქციო საზოგადოების მეთვალყურეთა საბჭო, ყველა შემთხვევაში უნდა იყოს არჩევითი და არა დანიშვნითი, როგორც ეს ჟვანიას უნდა. საბჭოს წევრები უნდა გამოხატავდნენ არა მარტო სახელმწიფოს, არამედ ყველა აქციონერის ინტერესებს. თუ ჟვანიას აწუხებს გაბერილი ჯამაგირები და პირადი ავტომობილები, ეგ საკითხი, ჯობს, პარლამენტმა დაარეგულიროს, ან, თუნდაც, მინისტრმა ოქრუაშვილმა, რომელსაც მსგავსი გამოცდილება აქვს. აბსოლუტურად სამართლიანად მიმაჩნია საქნავთობის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის სოსო ცისკარიშვილის პროტესტი კანცელარიიდან მასთან დარეკილ სატელეფონო ზარებზე. მიუღებლად მიმაჩნია ჟვანიას გაბრაზებული ტონი ცისკარიშვილის მიმართ მის ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში.

**- როგორც უკვე თქვით, მიტინგზე განაცხადეთ, რომ მიუზიკლ "არსენაში" სომეხი ვაჭრების როლს თოფაძე, გამყრელიძე და გაჩეჩილაძე შეასრულებენ. დღესაც იმავე აზრისა ხართ ამ სამი პიროვნების შესახებ?**

- მე ეს ხალხი თავისი პოლიტიკური შეხედულების გამო გავაკრიტიკე კონკრეტულ დროს და კონკრეტულ ვითარებაში. რამდენადაც ვიცი, ამ სამ პიროვნებას ბიზნესი წარმატებული აქვთ, გადასახადებს სრულად იხდიან. ამიტომ არ მესმის, რატომ აეწვა კუჭი ლევან გაჩეჩილაძეს. ამას წინათ ერთ-ერთმა გაზეთმა მკითხა, გაგვახსენეთ, მაშინ რა თქვითო და მეც ზუსტად გავიმეორე, მაშინ რა ვთქვი. ლევან გაჩეჩილაძე, თურმე, ერთ ამბავშია, იძახის, რას ჩამაცივდა გიორგი შენგელაია, რა უნდა ჩემგანო. ერთი შემხვდეს, დაველაპარაკოო... მინდა, ვუთხრა ლევან გაჩეჩილაძეს: მე შენ მაშინ შეგხვდები, როცა პარლამენტში ჰალსტუხს გაიკეთებ, როდესაც ისწავლი ზრდილობას და საზოგადო ადგილას ჩემთან შეხვედრის დროს მე, შენზე ორჯერ უფროსს კაცს, სალამს არ დამიჭერ.

**- თქვენ ისიც თქვით, რომ აგიოგრაფიის სწავლებაზეც მაქვს ჩემი მოსაზრებებიო. როგორი ფორმით უნდა ისწავლებოდეს აგიოგრაფიული ნაწამოებები სკოლაში?**

- სხვათა შორის, ამის თაობაზე 2002 წლის 17 იანვარს გამოვაქვეყნე წერილი. იმდროინდელ განათლების მინისტრს კარტოზიას მივმართე. ამ ნაბიჯისკენ შემდეგმა გარემოებამ მიბიძგა: ჩემი შვილი გიორგი ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურას სწავლობდა მე-9 კლასში და ვერაფერს გებულობდა. იმიტომ, რომ მისი სახელმძღვანელო წიგნი შედგენილი იყო ზვიადისტ-შევარდნაძისტი მანანა გიგინეიშვილის და კიდევ ორი ზვიადისტის მიერ. მათ ამ სახელმძღვანელოდან ამოყარეს ყველა საერო შინაარსის ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები და მათ ნაცვლად, ჩემი აზრით, მეტრობით შეიტანეს ჰაგიოგრაფიული კლერიკალური ნაწარმოებები. მაშინ ამის წინააღმდეგ გამოვედი.

პირადად მე ალექსანდრე ბარამიძის, აკაკი შანიძის და ილია აბულაძის მიერ შედგენილი წიგნით ვსწავლობდი. ამ წიგნში პროპორცია დაცულია, ბავშვი იგებს ისტორიის თანამიმდევრობას. კლერიკალური და საერო ხასიათის ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები ერთმანეთს ქრონოლოგიურად მიჰყვებიან. როგორც მე ვიცი, ამჟამინდელმა მინისტრმა კახა ლომაიამ თქვა, ეგებ, ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები საერთოდ ამოვიღოთ სწავლებიდანო, რასაც ვერ დავეთანხმები. ბოლომდე ვერც თქვენი გაზეთის თანამშრომლის ნინია კაკაბაძის პოზიციას გავიზიარებ. იგი ამბობს, ჰაგიოგრაფიული ტექსტები თანამედროვე ქართულად გადავწეროთო. ეს საქმე თავის დროზე შესანიშნავად გააკეთეს იმავე ბარამიძემ, შანიძემ და აბულაძემ. მათ ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების ნაწილი გადაიტანეს თანამედროვე ქართულზე, რის მეშვეობითაც ბავშვი ადვილად იგებს ამ ნაწარმოების ფაბულას, მაგრამ ძველქართულად დატოვეს ამ ნაწარმოებების ლიტერატურულად და ენობრივად ყველაზე მნიშვნელოვანი პასაჟები, რითაც ახალგაზრდებს თავისი ნაციონალური სტიქიის ყველა დროის საუკეთესო ნიმუშებთან პირდაპირი შეხების საშუალება მიეცათ. მე ვხედავ ერთადერთ სწორ გამოსავალს, ხელახლა უნდა გამოიცეს შანიძის, ბარამიძის და აბულაძის სახელმძღვანელო. სასურველია, ეს გამოცემა რარიტეტული იყოს. ამით ჩვენი საზოგადოება თავისი ბრწყინვალე მეცნიერების მიმართ პატივისცემას კიდევ ერთხელ დაადასტურებს.

**- გარკვეულ პერიოდში უჩვეულო დასახელების პარტია "ქართული ვაზი რუსეთთან ერთად" დააარსეთ. დღესაც რუსეთის აპოლოგეტად რჩებით?**

- არა, აღარ ვრჩები. მე ძალიან მჭიდრო და ხანგრძლივი კონტაქტები მქონდა რუსეთის საზოგადოებასთან. პატივს ვცემდი, მიყვარდა რუსეთის კულტურა და ხალხი. ახლა ჩვენ თვალწინ რუსეთში ბევრი რამე შეიცვალა უარესობისკენ. ეს გააკეთა ერთმა კაცმა, რუსეთის ახლანდელმა მმართველმა ვლადიმირ პუტინმა. თავიდან მომწონდა ეს პიროვნება, რომელმაც ბრძოლა გამოუცხადა ელცინის კორუმპირებულ "ოჯახს". შემდეგ რაც გააკეთა, ბოლო არჩევნები როგორც ჩაატარა სახელმწიფო რესურსის გამოყენებით, თავისუფალი მედიის დახურვით და მიჩქმალვით, ყოველგვარი დემოკრატიული ნორმების დარღვევით, ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელი გახდა. იგი თითქოს იმით იმართლებდა თავს, რომ დუმაში კომუნისტების გამარჯვება არ უნდოდა, როგორც ეს რამდენიმე წლის წინ მოხდა. მაგრამ, როგორც რუსები იტყვიან, წყალს ბავშვიც გადააყოლა. ჩემთვის ნონსესია, რომ რუსეთის დუმაში დღეს არ ზის სერგეი კოვალიოვი, ყოფილი დისიდენტი, რუსეთის სინდისი, რომელიც 30 წელი ციხეში ჰყავდათ დამწყვდეული კომუნისტებს.

დღეს რუსეთი გახდა "კაგებეშნიკების" ქვეყანა. უპერსპექტივო და აბსურდულია პუტინის და რუსეთის პოლიტიკური ისტებლიშმენტის იდეა სნგ-ეს ქვეყნების რუსეთის მუდმივ სატელიტებად ქცევის შესახებ. ნურას უკაცრავად, საქართველო, უკრაინა, ყაზახეთი და აზერბაიჯანი, პირველ რიგში, დამოუკიდებელი ქვეყნები არიან. ეს უნდა შეიგნონ პუტინმა, რუსეთის საზოგადოებამ და საქართველოს ტერიტორიაზე - ოსეთში და აფხაზეთში - ხელების ფათურს თავი უნდა დაანებონ.




## კინოთეატრები

**"ამირანი"**
"მომხიბვლელობის კანონი"
დას: 18:00; 20:00 სთ.

"სპილო"
დას: 16:00; 22:00 სთ.

## გამოფენები

**ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
ნიკო ცეცხლაძის ნამუშევართა გამოფენა-გაყიდვა (ფერწერა)

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
ხალხური რეწვის ოსტატთა ნამუშევრების გამოფენა
II დარბაზი

ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში დაცულ უნიკალურ ექსპონატთა ასლების გამოფენა
I დარბაზი

**"ბაიას გალერეა"**
ჟურნალ არტ-მარკეტის" საპრეზენტაციო გამოფენა

**"ქარვასლა"**
მამუკა ცეცხლაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**"ჰობი"**
გამოფენა "კალეიდოსკოპი"

**სურათების ეროვნული გალერეა**
ირინა რაზმაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა)

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# ალმოაჩინე საქართველო

ანა კორძაია-სამადაშვილი

ის, რასაც არ იცნობ, ვერც გეყვარება - ამას დიდი ფილოსოფია არ უნდა. ხმამაღალი სადღეგრძელოები სამშობლოს სიყვარულისა და მთაბარის სალოცავების შესახებ, არაფრისმომცემია: ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა უმრავლესობა თავის სამშობლოს არ იცნობს, და ამიტომაც გულგრილია იმის მიმართ, რომ სვანეთში მეწყერი ჩამოწვა, რომ კახეთში სეტყვა იყო, და თბილისში არც მაშინ შეწუხებულა ვინმე დიდად, როცა მთა-თუშეთში ბობმები ჩამოყარეს - დედაქალაქში იმ დღეებშიც Хочу тебя сегодня выдумать ჟღერდა. ზოგჯერ ეჭვი მიჩნდება, რომ არც აჭარის გამო გადაირეოდა ქართველი ერი, რომ არა ზღვა - აბა, ფოთში ხომ არ წავიდოდით გასარუჯად?!

მაგრამ ამაში დიდად ვერავის დაადანაშაულებ, რადგან, როგორც მოგახსენეთ, რასაც არ ვიცნობთ, იმას ვერც შევიყვარებთ.

სწორედ ამის გამოსწორებას ცდილობს საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს რეგიონული დეპარტამენტი, თან ყველაზე უმტკივნეულო, მეტსაც მოგახსენებთ - უაღრესად სასიამოვნო გზით. პროგრამა "ალმოაჩინე საქართველო" ქალაქებისა და რაიონების მცხოვრებთა დაახლოებასაც შეუწყობს ხელს და ქალაქის მკვიდრებსაც თავიანთი საცხოვრებლების სიახლოვეს მდებარე კულტურული და ისტორიული ძეგლების და ლანდშაფტების უკეთ გაცნობის საშუალებასაც მისცემს.

ეს პროგრამა ნებისმიერი ასაკის ადამიანისთვისაა გათვალისწინებული. ის არც განსაკუთრებულ ცოდნას მოითხოვს, არც დიდ გამოცდილებას, და არც საგანგებო აღჭურვილობას და თანხას საჭიროებს.

საქართველოს ნებისმიერი ქალაქის შემოგარენში არსებობს ღირსშესანიშნავი ადგილები - ციხეები, საყდრები, ისტორიული ლანდშაფტები, რომლებიც ქალაქიდან



*ქვემო წყლულეთის საყდარი, თბილისიდან ერთი საათის სავალზე*

ფეხით ან ველოსიპედითაც კი რამდენიმე საათის სავალზე მდებარეობს. სხვა ქალაქებისა რა მოგახსენოთ, ნაკლებად ვერკვევი, თბილისის გარშემო კი ასეთი ადგილები ძალიან ბევრია. უბრალოდ, იქ წასვლა ბევრს აზრადაც არ მოსდის - ან გზა არ იცის, ან შორად ეჩვენება, ან ჰგონია, რომ დიდი ვერაფერი სიამოვნება ელის და გაუკვალავი გზის თელვას შაბათ-კვირას გამოძინებას ამჯობინებს.

სწორედ ამიტომ, პროგრამის ფარგლებში ოპტიმალური მარშრუტები შეირჩევა, რომლებიც საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალებს შეძლებისდაგვარად მოშორებული იქნება. მარშრუტები გაივლის ისტორიულ გზებსა და ბილიკებს, და, მერწმუნეთ, ძალიან ლამაზ მიდამოს. სასეირნოდ მიმავალს პრობლემა არ შეექმნება: უფასო და საყოველთაოდ ხელმისაწვდომ გზამკვლევ ბუკლეტებში (ისინი სასტუმროებში, აეროპორტში, რკინიგზისა და ავტოსადგურებში, სასწავლებლებში - მოკლედ, ყველგან დარიგდება) ამომწურავი ინფორმაცია იქნება შეტანილი - ისტორია, ფოტომასალა, დროისა და მანძილის მანიშნებლები, კონკრეტული მარშრუტის რუკაზე მოსასვენებელი ადგილის მდებარეობაც კი იქნება განსაზღვრული. გზაზე მიმართულების მაჩვენებლები შეგვხვდება, წყაროებთან სასადილო ადგილები მოეწყობა და - რაც ჩვენი ამ საკითხში ტოტალური უკულტურობის ფონზე ძალიან მომეწონა - სანაგვე ყუთები დაიდგმება.

და ჩვენც შეგვეძლება, ვისეირნოთ. ეს ისეთი მარშრუტებია, რომ მათ გავლას გასეირნებას თუ ვუწოდებთ: არც კარვები დაგვჭირდება და არც დიდი სანოვაგის თრევა. სხვა თუ არაფერი, სუფთა ჰაერს ჩავყლაპავთ და ცოტა მოვმაგრდებით, თორემ რაღაც მეტისმეტადაც მოსუქდით და გავფერმკრთალდით, არ გვეკადრება.

და, რაც მთავარია, აღმოვაჩენთ, რომ ძალიან ლამაზ და კარგ ქვეყანაში ვცხოვრობთ, რომ მართლა საამაყო ხალხის შვილები ვართ, და იმის შანსიც მოგვეცემა, რომ არა მარტო ისტორიით, არამედ აწმყოთიც გვქონდეს თავი მოსაწონი.

პირველი მარშრუტის გავლა წელს, აგვისტოშია დაგეგმილი. აუცილებლად წავალ და აუცილებლად გიამბობთ, რა ხდება აქვე, ჩვენი სახლიდან ორიოდ საათის სავალში.

# თაობათა ცვლა ქიათურის თეატრში

კახა ცერცვაძე

მიუხედავად იმისა, რომ თეატრალური ხელოვნება საქართველოში საკმაოდ პოპულარულია, თეატრს, განსაკუთრებით რაიონებში, მაინც უჭირს. ეს ალბათ გასული ეპოქის მიერ შექმნილი თეატრის, როგორც იდეოლოგიური სტრუქტურის და იმიჯის ნგრევის შედეგიც არის. დღეს ასეთი თეატრები "იყოს, იქნება რაში გამოგვადგეს" - პრინციპით ფინანსდება და მის შენობებსა, თუ პერსონალს თავისი, ჯერ კიდევ შემორჩენილი, გასული ეპოქისათვის დამახასიათებელი მონუმენტურობითა და მენტორულობით გამოარჩევს. ქართული თეატრის მომავალი სახის ჩამოყალიბების პროცესი, ალბათ უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვს. დღეს ამაზე უფრო ინდივიდები ფიქრობენ, ამიტომ რაიმე სისტემურობაზე ლაპარაკი არ არის.

"ვარდების რევოლუციის" შემდეგ მოსული ხელისუფლების მიერ ჭიათურის თეატრში გარკვეული პოზიტიური ცვლილებები განხორციელდა. რაიონის ახალი გამგებელი ბატონი ილია ჩიქვილაძე ამ თანამდებობაზე მოსვლამდე და დღესაც ჭიათურის თეატრის მესვეურთა საბჭოს თავმჯდომარეა. ალბათ დიდი ხნის ნაფიქრალის რეალიზაციაა, როცა მან გადაწყვიტა, რომ ჭიათურის თეატრისთვის ათი მსახიობი, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში მომზადებულიყო, რაც უნივერსიტეტის რექტორთან ბატონ გიგა ლორთქიფანიძესთან შეთანხმებით მოხდა.

მიზნობრივი ჯგუფის შესარჩევი ტური უნივერსიტეტის პედაგოგებმა ჭიათურაში ჩაატარეს. 24 აბიტურიენტიდან შეირჩა ათი სტუდენტი, ხუთი გოგონა და ხუთი ვაჟი, რომლებიც სწავლას თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში გააგრძელებენ.

როგორც ყველა ტიპის კონკურსსა თუ გამოცდას, აღნიშნულ შესარჩევ ტურსაც გამოუჩნდა შედეგებით უკმაყოფილო საზოგადოება. ამ შემთხვევაში ყურადღებას იქცევს, არა აბიტურიენტების მშობლები და ახლობლები, არამედ ჭიათურის თეატრის კოლექტივი. მათი განაწყენების მიზეზი ის გახლავთ, რომ შესარჩევი ტური თეატრის გვერდის ავლით, რაიონის გამგეობის სააქტო დარბაზში ჩატარდა, სადაც გამოცდაზე დასწრების მსურველი თეატრის მსახიობები არ დაასწრეს. ამ ფაქტმა ბევრი კითხვა გაუჩინა თეატრის სამხატვრო საბჭოს.

"ვინაიდან ჭიათურის თეატრში უკვე დიდი ხანია არ მომხდარა თაობათა ცვლა, გადავწყვიტეთ დაგვეფინანსებინა შესაბამისი ნიჭით დაჯილდოებული ათი ახალგაზრდა, რომლებიც სამსახიობო ხელოვნებას დაეუფლებოდა თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამის ინიციატორი არის რაიონის გამგეობა, რომელიც აფინანსებს ამ პროექტს და ბუნებრივია, შესარჩევი ტურის ორგანიზება დაევალა რაიონის გამგეობის სტრუქტურას - კულტურის განყოფილებას. კარგ საქმეს მხარი დავუჭირე, მეტი მე არაფერში არ ჩავრეულვარ." - განმარტა ბატონმა ჩიქვილაძემ.

ხოლო მას შემდეგ, რაც თეატრის სამხატვრო საბჭომ შეიტყო, რომ მიზნობრივი ჯგუფის შესარჩევ ტურს ჭიათურის მკვიდრი, რეჟისორი, ამჟამად თეატრისა და კინოს სახელმწიფიო უნივერსიტეტის ასპირანტი ბატონი გეგა ქურციკიძე ხელმძღვანელობდა, დაინტერესდნენ მიზნობრივი ჯგუფის ხელმძღვანელის კანდიდატურით.

"ყველაზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ის, თუ რამდენად გამოცდილი და კვალიფიციური, მაღალი პროფესიონალური დონის ხელმძღვანელი ეყოლება ჯგუფს. მე არ ვიცი, ვინ შეიძლება იყოს შემოთავაზებული კანდიდატურა და ჩემთვის არც უთქვამთ, რაც შეეხება გეგას, კარგი იქნება თუ, როგორც ჭიათურელი, რაიმე ფორმით დაუკავშირდება ამ ჯგუფს. მაგრამ სასურველია, ჯგუფის ხელმძღვანელი იყოს უფრო კვალიფიციური, ეს არის დასის და სამხატვრო საბჭოს აზრი. ამასთან დაკავშირებით კითხვით მივმართეთ თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს, რაზედაც პასუხი ჯერ არ მიგვიღია" - განაცხადა თეატრის დირექტორმა ქალბატონმა ნანა წერეთელმა.

წელს დეკემბერში თეატრს 110 წელი უსრულდება. იმედია, ეს ინციდენტი გამოუცდელ და გამოცდილ თაობას შორის დაპირისპირებაში არ გადაიზრდება და ერთად ღირსეულად აღნიშნავენ ამ თარიღს, მით უფრო, რომ სწორედ თეატრის იუბილეს მიეძღვნა აღნიშნული მიზნობრივი ჯგუფის ჩამოყალიბება.

# მომეცი ღამე

ჯორჯ ბენსონი ახალ ალბომს უშვებს

სანდრო ნავერიანი

"მე მხოლოდ ვცდილობ, რომ ზოგიერთი ადამიანი გამოვაღვიძო. მიეცი ხალხს ისეთი რამ, რასაც არ ელიან, ზუსტად ისე როგორც 1976-ში, როდესაც კომპოზიცია breezin' ჩავწერე". ეს სიტყვები ეკუთვნის ჯაზის ლეგენდას, კაცს, რომელმაც დროს გაუძლო, კაცს, რომლის შემოქმედებამაც დროს გაუძლო, კაცს, რომლის სახელიც ჯორჯ ბენსონია.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჯორჯ ბენსონი უკანასკნელი ათწლეულების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გიტარისტია. ეს მუსიკოსი სვინგიდან და ბოპიდან დაწყებული, ჯაზ-როკით და ე.წ. "სმუთ ჯაზით" დამთავრებული, ყველა სტილს შესანიშნავად ფლობს. მისი განსაკუთრებული პოპულარობა იმითაც აიხსნება, რომ ის შესანიშნავი ვოკალისტია. ბენსონმა მთელი კარიერის მანძილზე უამრავი ჰიტი შექმნა, რამაც მისი თაყვანისმცემლების რიცხვი ერთი ათად გაზარდა.

ბენსონის შემოქმედებაში შეიძლება რამოდენიმე პერიოდი გამოვყოთ. მისი დებიუტი შედგა "კომბო ჰამონდის" შემადგენლობაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ორღანისტი ჯეკ მაკდაფი. ეს ჯგუფი ძირითადად სოულის და ფანკ-ჯაზის სფეროს მიეკუთვნებოდა. 1965-66 წლებში ბენსონი ფირმა "ქოლამბიასთან" თავის პირველ სოლო ალბომებს წერს.

და საერთოდ რა მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა ალბომი ჩაწერა ჯორჯ ბენსონმა?!

თუ მოსმენილი არ გაქვთ, მაშინ ისიამოვნეთ Breezin, This Masquerade, On Broadway, Give Me The Night, Love X Love, Kisses In The Moonlight-ით.

არ არსებობს ადამიანი, რომელსაც ეს კომპოზიციები არ მოსწონდეს.

ახალგაზრდობა, ანუ თინეიჯერობა იბრალებს, რომ მაღალი ხარისხის მუსიკას უსმენს, მაგრამ მე შემიძლია ამაში ეჭვი შევიტანო. შეიძლება ახალს არაფერს ვამბობდე, მაგრამ ამის გარეშე არ შეიძლება - საქართველო უხარისხო მუსიკამ მოიცვა!

მღერის მერაბ სეფაშვილი? მღერის და ქართველი მსმენელი კმაყოფილია.

მღერის ლელა წურწუმია? მღერის და ქართველი მსმენელი კმაყოფილია.

ასე არ შეიძლება. ახალგაზრდობამ უნდა გაიგოს რა არის მუსიკა, რა არის კომპოზიცია.

არ იცის მოცარტი, ბეთჰოვენი, შუბერტი, ბახი? გაუშვი, ნუ ეცოდინება, იმედია, რომ წამოიზრდება, მაშინ გაიცნობს. მაგრამ, როგორ შეიძლება არ იცოდეს ვინ არის ჯიმი პეიჯი, ჯო პერი, ფრედი მერქური და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რატომ არ უნდა იცოდეს, ვინ არის ჯორჯ ბენსონი?!

ჯორჯ ბენსონის მუსიკას პირველად ორი წლის წინ მოვუსმინე.

ჩვილს დედის ენა ესმისო, გამიგონია.



*ჯორჯ ბენსონი და კარლოს სანტანა*



*ბენსონს Irreplaceable-ის ჩათვლით 19 ალბომი აქვს ჩაწერილი.*

დარწმუნებული ვარ, რომ ყველას ის ესმის, რაც უნდა. ისიც გასაგებია, რაც აუცილებელია, მაგრამ ჯორჯ ბენსონის გაგება აუცილებელია.

მე გეტყვით თქვენ იმ ხალხის სახელებს, რომლებსაც სოული, ფანკი, რეპი უყვართ, მაგრამ ბენსონს უსმენენ. **ელ ჯერო**: "ძალიან ბევრ, ცნობილ მუსიკოსთან ერთად მიმღერია, მაგრამ ჯაზს ვერავინ გრძნობს ისე, როგორც ჯორჯი". **მაილს დევისი**: "მთელი ჩემი ცხოვრება ჩასაბერი ინსტრუმენტის სწავლას მოვანდომე, მაგრამ ეს კაცი გიტარაზე იმდენს ახერხებს, საყვირი კი არა, ყველაფერი მავიწყდება". **რეი ჩარლზი**: "მიყვარს იმპროვიზაცია, ძალიან მიყვარს. მაგრამ ისეთი იმპროვიზაცია მიყვარს, რომლის გამეორებაც შემიძლია და არა ისეთი, რომელსაც ჯორჯი აკეთებს. ჯორჯის იმპროვიზაცია განუმეორებელია. ერთადერთი, ვისაც ბენსონის იმპროვიზაციის გამეორება შეუძლია, ბენსონია".

მე შეიძლება მისი გავლენის ქვეშ ვარ (როგორც იტყვიან, ჯორჯ ბენსონის ფანი ვარ), მაგრამ მერწმუნეთ, რომ მისი შემოქმედება წითელ წიგნშია შესატანი. მისმა მუსიკამ ყველა დროს გაუძლო. მისი მუსიკა დროს უძლებს და არა დრო უძლებს მის მუსიკას.

სიმართლეს გეტყვით: არ მინდოდა, რომ სტატია მარტო ჯორჯ ბენსონის შემოქმედებას შეხებოდა. ვფიქრობ, ასეც გამომივიდა, მაგრამ არის ერთი "მაგრამ". ეს მაგრამ იმათ ეხება, რომლებიც დღემდე "კარი დატოვე ღიაოს" უსმენს. საერთოდ არსებობს თეორემა - გემოვნებაზე არ დაობენო, მაგრამ მოდი და ნუ იდავებ, როდესაც შენ ჯორჯ ბენსონის give me the night (მომეცი ღამე)-ის მოსმენა გინდა და ვიღაც გეუბნება - მოდი რა ჯიგარო "სუფრის თამადას" (ასეთი სიმღერა არსებობს, სამარშრუტო ტაქსში მოვუსმინე) მოვუსმინოთო.

მოკლედ გეტყვით იმას, რატომაც დავიწყე ამ წერილის წერა: ყოველთვის ვცდილობ საქმის კურსში ვიყო - რა ქნა ჯორჯ ბენსონმა, ჩაწერა თუ არა ახალი ალბომი. აღმოჩნდა, რომ ჯორჯ ბენსონს ახალი ალბომი ჩაუწერია, რომლის პრეზენტაციასაც ძალიან მალე მოაწყობს (ზუსტად ასეთი ინფორმაციაა მის პირად საიტზე). მის ახალ ალბომს ეწოდება **Irreplaceable (შეუცვლელი). "ეს ალბომი იმ ადამიანს მივუძღვენი, რომელიც არასოდეს გამოჩენილა ჟურნალ-გაზეთების პირველ გვერდზე. მე ის მიყვარდა და დღესაც მიყვარს"**. ასეთ კომენტარს უკეთებს ჯორჯ ბენსონი თავის ახალ ალბომს.

ისე, ინტერესის გულისთვის გეუბნებით (თორემ, არც ერთ ჩემ მეგობარს, ნათესავს, ოჯახის წევრს, ახლობელს, ნაცნობს ეს მომღერალი არ მოსწონს იმიტომ, რომ "მრავალჟამიერს" არ მღერის). ბენსონს **Irreplaceable**-ის ჩათვლით 19 ალბომი აქვს ჩაწერილი. ალბომების გარდა საუკეთესო ნამუშევრების 17 კრებული აქვს გამოშვებული.

# უფაქიზესი გრძნობა მარტორქის ტყავში

ლადო ხმალაძე

ობიექტური რეალობიდან გამომდინარე, არქიტექტურა თავისი არსით, კაცობრიობის გენიის, აზროვნების, მეცნიერებაში და ხელოვნებაში მისი მიღწევების ერთგვარ სინთეზს, ზედნაშენს წარმოადგენს და ამ უკანასკნელით დედამიწაზე ადამიანს უზენაესობას ყველაზე მძლავრად, მასშტაბურად გამოავლენს. თვით არქიტექტურის არსის განმსაზღვრელ უამრავ ფრთიან ნათქვამთა შორის, ერთ-ერთ უძირავ პოსტულატად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი: **არქიტექტურა ისეთი ხელოვნებაა, რომელიც ჰარმონიულად ქმნის მატერიალურ სამყაროს ადამიანის სასარგებლოდ და თვით ხდება ამა თუ იმ დროის, ეპოქის და ერის მატერიალური კულტურის, სულიერი მდგომარეობის ამსახველი**. ერთი სიტყვით, ნებსით თუ უნებლიეთ, ნებისმიერი დრო და ეპოქა არქიტექტურის სახით, თავისთავის ამსახველ უტყუარ ავტოგრაფს უტოვებს ისტორიას.

შესანიშნავად ესმოდათ რა ძლიერთა ამა ქვეყნისათ არქიტექტურის როლი, ფარაონებიდან მოყოლებული, ტირანებსა თუ ჰუმანისტებს, კეისრებსა თუ იმპერატორებს, მეფეებსა თუ პრეზიდენტებს, მას იყენებდნენ როგორც ყველაზე მძლავრ ბერკეტს, თავიანთი გენიის, გავლენის და ძლევამოსილების დასამკვიდრებლად. ისტორიის სიღრმეებში რომ არ წავიდეთ, მე-20 საუკუნეც კმარა ამისთვის.

მე-3 რეიხის სიძლიერის, არიული რასის უპირატესობის რწმენის დამნერგავ, ჰიტლერის პირად ფავორიტ არქიტექტორ შპეერს გრანდიოზული, ადამიანებზე დამთრგუნველი ზემოქმედების მასშტაბების ქალაქგეგმარებითი გადაწყვეტებიდან დაწყებული, არქიტექტურით და გნებავთ, თვით გერმანულ არმიის დღემდე სწორუპოვარი ეკიპირების დიზაინით დამთავრებული ნამუშევრები ეკუთვნის.

სტალინს, თავისი ფავორიტები, არქიტექტურის აკადემიკოსები: შჩუსევი, ფომინი ჟოლტოვსკი და სხვები უმკვიდრებდნენ კომუნისტური ეპოქის, ახალი საბჭოთა ადამიანის უპირატესობის სინდრომს. მაგალითისთვის მოსკოვის და არა მარტო მოსკოვის, იმდროინდელი მაღლივი ვარსკვლამოღერებული მონუმენტური მშენებლობები, გრანდიოზული მასშტაბების ქალაქგეგმარებითი გადაწყვეტები იკმარებს.

საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა მიტერანმა თავისი პრეზიდენტობა დაიწყო განცხადებით - დავუბრუნოთ პარიზს მსოფლიო კულტურის მექის ფუნქციებიო და შეასრულა კიდეც. ხუთ გრანდიოზული მნიშვნელობის პროექტზე მსოფლიო კონკურსები გამოაცხადა და თავისი მაღალინტელექტუალობიდან გამომდინარე, თავად იღებდა მონაწილეობას ჟიურის მუშაობაში.

ინგლისის პრინცი ჩარლზი კი უდიდესი ესთეტი, თურმე "იცლის" და თანამედროვე არქიტექტურის კრიტიკაზე წიგნებსაც აქვეყნებს.

არქიტექტურის როლზე ეს მცირედი გადახვევა იმიტომ მოვიშველიეთ, რომ დღევანდელ ჩვენს საზოგადოებაში, სამწუხაროდ, ნათლად იგრძნობა დაინტერესების თუ ყურადღების ის დეფიციტი, რომელიც, თუნდაც განვითარების ამ სტადიაში მყოფ, ჩვენს უმძიმეს ისტორიაგამოვლილ არქტიტექტურული მემკვიდრეობის ქვეყანას არ ეკადრება. ამ დეფიციტს გაცილებით უფრო ღრმა ფესვები აქვს და ცალკე განსჯის საგანია, ვიდრე ამ წერილის მიზანი გახლავთ, მაგრამ ახალი, მკვეთრად დასავლურ ფასეულობებზე ორიენტირებული ხელისუფლების მოსვლით, ჩვენ ხალხში ღვთის წყალობით მეტნაკლებად ჩადებული ლტოლვით ყოველივე პროგრესულისაკენ, ვფიქრობ, უფრო ნათლად უნდა ვაფასებდეთ ჩვენს რეალურ პოტენციას. თავიდან მოვიცილოთ პროვინციული უსაფუძვლო ამბიციები, იაფი და ზედაპირული თვითკმაყოფილების მანკიერი თვისება. წარმავლობის მარადისობის ფონზე არ დავრჩეთ მარგინალად და ჭეშმარიტი ორიენტირების ძებნაში, არ ჩავიკარგოთ იაფფასიან ტკბობის ლაბირინთებში.

მისასალმებელია, როცა მასმედია, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, საზოგადოებას რეგულარულად, ზოგჯერ კი თავდაუზოგავად, დაჟინებით აწვდის ინფორმაციას და უკეთებს კიდეც რეკლამას სხვადასხვა საესტრადო თუ კლასიკურ კონცერტებსა თუ შემსრულებლებს, თეატრისა თუ კინოს ირგვლივ საჭირბოროტო წარმოქმნილ საკითხებს; დიდი ყურადღება (თუნდაც დეკლარირებული) ეთმობა ჩვენს ხალხურ შემოქმედებას; განსაკუთრებული სითბოთი ყოველთვის სამართლიანად სარგებლობდა ჩვენში ქართული მწერლობა; საკმაოდ ყურადღებით შუქდება მხატვრობასა და ქანდაკებაში გამართული გამოფენები; საზოგადოება მეტ-ნაკლებად კარგად იცნობს ამ სფეროში მოღვაწე გამორჩეულ ძველი და ახალი თაობის შესანიშნავ წარმომადგენელებს; მასმედია ყურადღებას არ აკლებს და ხშირად საზოგადოებასაც თანამონაწილეს ხდის სხვადასხვა კონკურსების მოწყობაში და გამარჯვებულთა წარმოჩენაში.

ეს ყველაფერი ძალიან კარგი, მაგრამ ყოველივე ამის ფონზე საზოგადოების კულტურული ცნობიერების არეალის მაიღმაა დარჩენილი სფერო, რომელიც ყველა ერთადაღებულის საზრუნავი და ყოველდღიური განსჯის საგანი უნდა იყოს. ეს ჩვენი მატერიალური გარემოს შექმნას შეეხება. გარემოს, რომელმაც ეპოქისა და ქვეყნის მდიდარი ტრადიციების შესაფერისი, თავისუფალი, ლაღი, ინტელექტუალური მომავალი თაობა უნდა ჩამოაყალიბოს. ისიც ფაქტია, ღირსეული მატერიალური გარემოს შექმნა დიდადაა დამოკიდებული ქვეყნის მატერიალურ სიმდიდრეზე და სწორედ მაშინ ხდება შესაძლებელი ამა თუ იმ ერის კულტურულ-ინტელექტუალური პოტენციის მაქსიმალური რეალიზება.

წერილის მიზანი სულაც არაა (ვერც ვიკადრებ) ჩვენი დღევანდელი საზოგადოებრივი აზროვნების მიმართულებების რევიზია ჩავატარო და არქიტექტურისადმი მისი ინდეფერენტულობა ღრმა პროვინციალიზმად მოვნათლო. ბოლოს და ბოლოს, როგორც ჩვენ ვართ, ისეთი არქტიტექტურული გარემო გაგვაჩნია. გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ, გვაკმაყოფილებს კი ეს ოცდამეერთე საუკუნეში შემოგდებული მრავალნატანჯი, მრავალფერიცვალებაგამოვლილი ხელოვნური გარემო? უკვე ევროპასთან ინტეგრაციის გზაზე მდგარ ახლადფეხადგუმლ, პრაქტიკულად ბურჟუაზიულ პერიოდგამოვლილ ქვეყანას, რომელსაც ჭეშმარიტი ურბანიზაციული პროცესები ჯერ კიდევ წინ აქვს, უდიდესი ტაქტი სჭირდება ქალაქმშენებლობებში იმ ქირურგიული ჩარევების განსახორციელებლად, რომელიც გვინდა თუ არ გვინდა, დროს მოაქვს.

ერთი დიდი არქიტექტორის ნათქვამია: "ექიმები თავიანთ შეცდომას მიწაში მარხავენ, არქიტექტორები კი თავიანთი შეცდომით საუკუნეობით უწამლავენ არსებობას მომავალ თაობებს"-ო. ეს რასაკვირველია, მეტაფორაა და არქიტექტურის განტევების ვაცად გამოყვანა ყველაზე იოლი გამოსავალი იქნებოდა, თუ, რა თქმა უნდა, საქმეს ეშველებოდა. რასაკვირველია, არქიტექტორის შედეგი, ისე, როგორც ხელოვნების სხვა სფეროებში, შესაძლებელია, იყოს უნიჭო, ან მაღალნიჭიერული. ნებისმიერ შედეგს კი მაინც გარკვეულწილილად წინასწარ სჭედს დამკვეთი. რამეთუ სწორედ მისი სოციალური დაკვეთის შემსრულებელია არქიტექტორი, რომლის შერჩევაც თავად დამკვეთის პრეროგატივაა. რომ არ ყოფილიყო იტალია მდიდარი, რომ არ ყოფილიყვნენ მედიჩები ფლორენციაში, არ ყოფილიყო მილანის ჰერცოგი ლუდოვიკო მორო, აღორძინების ეპოქა მსოფლიოს ბევრად მკრთალად შემორჩებოდა, მიუხედავად იმდროინდელ ეპოქაში გენიალურ შემოქმედთა სიმრავლისა.

ასე და ამგვარად, სანამ არ ჩამოყალიბდება დამკვეთი, რომელიც სიმდიდრის, ინტელექტის, კულტურის კონგლომერატს წარმოადგენს, მანამდე უცხოეთში სტუმრადჩასულებმა უნდა მოვიკლათ ხვაშიადი და ვიჯეროთ გული ავტობანებითა და ალოკილი გაზონ-პარკებით, უახლესი საინჟინრო ტექნოლოგიებით ნაგები სხვადასხვა სახის უნიკალური ნაგებობებით; თანამედროვე დასავლელ არქიტექტორთა ხელწერათა ამოცნობაში გართულებმა, ჩვენთვის ვაკეთოთ აღმოჩენები, რომ თურმე, დიდი ფრანგი არქიტექტორის ო.პერეს სიტყვებისა არ იყოს - "ტექნიკა პოეტის ხელში ბადებს არქიტექტურას" და თურმე მიუხედავად იმისა, რომ არქიტექტურაში, განსხვავებით მუსიკისა, პოეზიისა და მხატვრობისა, ვუნდერკინდები არ არსებობენ და მხოლოდ წლების დაუღალავ შრომას მოაქვს შედეგი, მაინც ახერხებენ თავიანთ რეალიზაციებში როგორც სტილისტურ ექსპერიმენტებს, ისე ძირეულად მხატვრული ესთეტიკური პლატფორმების შეცვლას. ისღა დაგვრჩენია, ვადევნოთ თვალყური ჩვენს დასავლელ კოლეგებს, თუ როგორ განადიდებენ თავიანთ ქვეყანას თავისივე პროფესიით, შრომით.



სტალინს, თავისი ფავორიტები, არქიტექტურის აკადემიკოსები: შჩუსევი, ფომინი ჟოლტოვსკი და სხვები უმკვიდრებდნენ კომუნისტური ეპოქის, ახალი საბჭოთა ადამიანის უპირატესობის სინდრომს.

არანაკლებ გულანთებული, ამაღლებული რწმენით ვიყავით გამსჭვალულნი 70-იანი წლების ჩემი თაობის სტუდენტობა და ვერავინ წარმოიდგენდა რომ 30 წლის შემდგომ მათ აბსოლუტურ უმრავლესობას პროფესია ტვირთად დააწვებოდა და გამორჩეულიც დიდი ვერაფერი ექნებოდა სათქმელი.

ვერ დავიჯერებ, მეტ-ნაკლებად დალაგებული კაცი, ირჩევდეს პროფესიას, თანაც ისეთ ღვთაებრივ პროფესიას, როგორიც არქიტექტურაა და არ ოცნებობდეს, არ ჰქონდეს ამბიცია, რომ ოდესღაც შეძლებს მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ნაწარმოების შექმნას. ეს კი, სამწუხაროდ, გასაგებ მიზეზთა გამო, მხოლოდ მასზე არ არის დამოკიდებული. ჩვენ ვიზრდებოდით ყოფიერებაში არქიტექტურის როლის მნიშვნელობის კრიტერიუმებზე; რეალურად აღმოჩნდა, რომ ამ კატეგორიის პრობლემები უცხო იყო ხელისუფლებისათვის, მათ მიღმა რჩებოდა და მაინცდამაინც არც საზოგადოება იჩენდა თავს. ამ მხრივ, ხელოვნების დანარჩენ სფეროებში, განსხვავებით არქიტექტურისაგან, (კარგად მინდა ვიყო გაგებული) პირდაპირი მნიშვნელობით მისი საბოლოო შედეგის, წარმატების, თუ წარუმატებლობის, რეალიზების, თუ არარეალიზების მიზეზი თვით ხელოვანის ხელშია. ნუგეშად, ლე კორბუზიეს რეცეპტი თუ გაგვიყუჩებს იარებს: "არქიტექტორს უნდა ჰქონდეს მარტორქის ტყავი და უფაქიზესი გრძნობა"-ო. თანაც ამ სიტყვებს ამბობს წარმოშობით შვეიცარიელი ფრანგი, იმდროისთვის უკვე მსოფლიოში ცნობილი პიროვნება, დახუნძლული სხვადასხვა ქვეყნების დაკვეთებით.

დაკვეთა, ჩვენთვის ახალი ხილია. ჯერ კიდევ ბოლომდე დაუღვინებელი თამაშის წესებით. ჩვენ ხომ წლების განმავლობაში უმსხვილეს სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტებში გარანტირებული დაკვეთებით ვსულდგმულობდით, რაზეც უცხოელი კოლეგები, ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, ჩვენი ავტორობით თუ თანაავტორობით შესრულებულ პროექტების მასშტაბურობით (თუმცაღა საბოლოოდ, უფრო ხშირად ეს პროექტები ქაღალდებზე რჩებოდა) ხშირად აღფრთოვანებაში მოდიოდნენ.

მადლობა ღმერთს, საბაზრო ეკონომიკამ ის მაინც მოგვიტანა, რომ თუ დაკვეთა ჩაგვივარდა, ჰონორარი აღარ ჩაიკარგება ინსტიტუტების გაუთავებელ კაბინეტებში.

დღეს დაკვეთის ხელში ჩაგდება, როგორც ყველა სხვა სფეროში, ათასნაირი ხრიკების, აკრძალული თუ არააკრძალული ხერხების მთელ არსენალს გულისხმობს და რა გასაკვირია, თუ იშვიათად გამოცხადებული კონკურსები, მიუხედავად მათი განუზომლად მწირი ჰონორარებისა, მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს ხოლმე ჩვენს ცხოვრებაში. კონკურსი კი, მოგეხსენებათ, აზრთა, შეხედულებათა, პოზიციათა შორის ოპტიმალურის ამორჩევის ერთადერთი საშუალებაა; ამორჩევა კი ჟიურის პრეროგატივაა. ამდენად კონკურსის რანგს ჟიურის კომპეტენტურობა განსაზღვრავს.

გავკადნიერდები და ჩემს აზრს მოგახსენებთ მერიის მიერ გამართულ, პარლამენტის წინ ეროვნული ერთიანობის მონუმენტის განთავსებასთან დაკავშირებით გამოცხადებულ კონკურსზე, რამეთუ ეს უკანასკნელი დასტური იყო ყოველივე იმისა, რაზეც ზემოთ მქონდა საუბარი.

იმთავითვე მინდა აღვნიშნო, რომ თავად გახლავართ ამ კონკურსის მონაწილე, ამდენად, არ მინდა ვიყო გაგებული, თითქოს "ხელმოცარული" "გაბუტული" კაცის პოზიციას გამოხატავდე და შევეცდები ვიყო მაქსიმალურად ობიექტური.

საერთოდ, თუ შორიდან დავიწყებთ, უახლოეს ისტორიაში ტერიტორიის ამ ნაწილის განსაკუთრებულობას დასაბამი, რასაკვირველია, 9 აპრილმა მისცა. გადაწყდა კიდეც მემორიალის აღმართვა. მომხდარი იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ არამცთუ დროს გაუძლო, არამედ დროთა განმავლობაში უფრო მკვიდრდებოდა აზრი, რომ საზოგადოების ნაწილისთვის და პირადად ჩემთვისაც, თვით ხელუხლებელი ადგილი უკვე გარკვეულწილად მემორიალურად აღიქმებოდა.

იყო რამდენიმე მცდელობა. ჩატარდა კიდეც კონკურსები და როგორც დრომ გვაჩვენა, სამართლიანადაც არ იქნა მიღებული ნაჩქარევი გადაწყვეტილება, რადგან, ხშირად ნაჩქარევი გადაწყვეტილებები დროს ვერ უძლებს და ცხელ გულზე შექმნილი ოდები, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულ მდგომარეობაში აყენებს ხოლმე მომავალ თაობას. ახალი რეალიებიდან გამომდინარე, პრეზიდენტის მიერ პატრიოტული მუხტის უფრო გასამძაფრებლად დროში დაღვინებული საკითხის წამოწევა ალბათ მართებული გახლდათ. თუმცა, ვერა და ვერ დავეთანხმებით იმ წარმოუდგენელ საკონკურსო ვადებს, მით უმეტეს, რომ თემამ სამართლიანადაც მიიღო განზოგადებული დატვირთვა და ეწოდა არა ლოკალურად 9 აპრილის, არამედ, "ეროვნული ერთიანობის მონუმენტი", რომელსაც ალბათ უნდა ეტვირთა და მასში განსხეულყოფილიყო როგორც 9 აპრილის, ისე ზოგადად ჩვენი ერის მიერ განვლილი ქარტეხილების მნიშვნელობა და აუცილებლად ყოველგვარი ზედაპირული პათეტიკურობის გარეშე ყოფილიყო ოპტიმიზმისა და რწმენის უდიდესი გამომხატველი; რა თქმა უნდა, ყველა იმ შემოქმედებითი პარამეტრებისა და რწმენის აუცილებლად მატარებლობის შემთხვევაში, რომელიც მას აქცევდა ქალაქის ამ უმნიშვნელოვანესი ადგილის ორგანულ ნაწილად და რომელსაც დრო ვერ დააძველებდა.

დიახ, სწორედ ადგილი განსაზღვრავდა მონუმენტის უდიდეს, თუ გნებავთ, პასუხისმგებლობას, რამეთუ ის არგამოსული ლექსი, ვერშემდგარი ჰიტი ან არაწარმატებული ტილო არ გახლავთ, რომ გვერდით მოასრიალოთ.

კონკურსის მინუსი, სამწუხაროდ, მარტო შეზღუდული დრო არ ყოფილა. ძალზედ ზედაპირული და უსუსური იყო დარიგებული საკონკურსო გრაფიკული მასალა. საკონკურსო მოცემულობის მხოლოდ ერთ მთავარ ღირსებას დავასახელებდი. არ იყო (სავსებით სამართლიანად) არავითარი შეზღუდვა ან მიმართება რა მასალაში, რა ხერხებით, რა სახით იქნებოდა თემა გახსნილი.

რატომღაც ტელევიზიის თითქმის ყველა არხი 21 მაისიდან - საკონკურსო მასალების გამოფენის გახსნის დღიდან, ყოველ გადაცემაში დაჟინებით აღნიშნავდა, რომ ცისფერ გალერეაში მიმდინარეობს 9 აპრილის მემორიალის კონკურსი. საკონკურსო დავალებაზე და გალერეის წინ მდგარ ფირნიშზე, შავით თეთრზე დაწერილი კონკურსის მიზნისა და თემის - "ეროვნული ერთიანობის მონუმენტი"-ს მიუხედავად, მასმედია ხალხს აწვდიდა როგორც კონკურსს 9 აპრილის მემორიალზე.

უკაცრავად სხვებთან, მაგრამ პროფესიონალები, ან მათ შორის ზოგნი მაინც დამეთანხმებიან, რომ ეს ორი სრულიად განსხვავებულ თემას წარმოადგენს და, შესაბამისად, სრულიად განსხვავებულ მიდგომებს მოითხოვს.

ვფიქრობ, ამ კაზუსით პატივცემული ჟიურიც მოიხიბლა და შედეგიდან გამომდინარე (უდიდესი პატივისცემით ავტორებთან), 9 აპრილის მემორიალს მიანიჭა უპირატესობა, რაც 26 მაისს იგივე სატელევიზიო არხებიდან შევიტყვე. ტელევიზიით, პრემირებული მაინც შევიტყვე, რასაც ვერ ვიტყვი ჟიურიზე.

ჩემი არქიტექტურული საქმიანობის თითქმის 30 წლიან პერიოდში უამრავ რესპუბლიკურ, საკავშირო თუ საერთაშორისო კონკურსებში მიმიღია მონაწილეობა და არც თუ ისე წარუმატებლად, თავადაც მიმუშავია ჟიურის შემადგენლობაში, ვარ სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის დოცენტი, არქიტექტორთა კავშირის გამგეობის და დიზაინერთა კავშირის წევრი. ამის მიუხედავად, ვერავისთან ვერ გავარკვიე ჟიურის შემადგენლობა.

ეს ილეთი - ჟიურის (ბოდიშს ვუხდი ყველა პერსონას) ინკოგნიტოდ შენახვა - ცოტა არ იყოს, საზოგადოებას ხომ არ შეურაცხყოფს?

რა უნდა ვიფიქროთ? ის, რომ ჟიური თუ ცნობილი იქნებოდა, ჩაწყობები წავიდოდა თუ მუშაობაში ხელი შეეშლებოდა?

თუ ქვეყნისათვის, ქალაქისთვის, ხმამაღლა ჭეშმარიტების დადგენისთვის ჟიურის ინკოგნიტობა გახდა საჭირო, მაშინ სადაა გარანტია (მაპატიეთ), რომ ინკოგნიტობა არ გახდა გამარჯვებულის გარანტი. მე ვიცი პროფესიონალების განწყობა მსგავს საკითხებზე, მაგრამ მაინც ვიტყვი, ალბათ უპრიანი იქნებოდა საზოგადოების ფართო სპექტრის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, თავისი ახალი ხედვით, მონაწილეობა პროექტების განხილვაში. იქნებ ჟიურის აღარ დასჭირვებოდა იატაკქვეშეთში ჩასვლა.

არ მინდა შევეხო (სამწუხაროდ ეტყობა მართლა ცუდადაა საქმე...) წარმოდგენილი ნამუშევრების მხატვრულ ღირსებებს, მაგრამ არ შემიძლია, არ დავსვა კითხვა - რა უნდოდა თვით დამკვეთს? მემორიალი თუ მონუმენტი? როგორც ცნობილია, ითხოვდა მონუმენტს, მიიღო კი მემორიალი.

დაბოლოს, ვიცი, ბევრისგან ღვთის რისხვა დამატყდება ჩემს ნათქვამზე, მაგრამ მაინც მინდა ჩემი, როგორც რიგითი ქართველის, თავად 9 აპრილის ერთ-ერთი მონაწილის პოზიცია დავაფიქსირო. ურბანიზაციულ პროცესებს, რომც მოვინდომოთ, ვერ შევანელებთ. ქალაქს და მით უფრო, მის მთავარ არტერიას სიმძიმის ცენტრები გააჩნია, თავისი რიტმებით, მასშტაბებით, ფუნქციებით და ძნელად წარმოსადგენია პარლამენტის შენობის წინ ისეთი მემორიალი, სადაც მართლა მარადჟამს სევდა იქნება დასადგურებული და უნებლიეთ სანთლის ანთებაც მოგინდებათ. ღვთის მადლით, გზის გადაღმა მშვენიერი ტაძარია...

მტრის ჯინაზე ერის ერთიანობის მონუმენტი, დიახაც, სიცოცხლის, ოპტიმიზმის და სიამაყის მუხტს უნდა ატარებდეს და ეს უფრო დიდი ძეგლი იქნება მათთვის, ვინც ქვეყნის გაერთიანებისთვის თავი დადო და მომავალშიც თავს არ დაზოგავს.

# ვუდსტოკი სასაზღვრო ოლქში

*პოლიტიკოსთა გაუთავებელ საუბარს დაახლოებისა და თანამშრომლობის შესახებ რიგითი გერმანელები და პოლონელები საქმეს ამჯობინებენ: მეათედ გამართულ ფესტივალ "პშიშტანეკ ვუდსტოკ"-ის დროს ისინი ტალახში ამოგანგლულები ეხვეოდნენ და კოცნიდნენ ერთმანეთს. ევროპულ ზაფხულსა და სიყვარულს წელს 400 ათასი ადამიანი ერთად ზეიმობდა.*

ღია ცის ქვეშ გამართული ფესტივალები, თანაც უფასო, საყოველთაო სიყვარულით სარგებლობს. უკვე ათი წელია, ერთი ასეთი ფესტივალი გერმანიისა და პოლონეთის საზღვარზე იმართება, ოდერის ფრანკფურტისგან 50 კილომეტრის დაშორებით.

ევროკავშირის საზღვრების გაფართოების ღამეს აქ სატელევიზიო კამერებით აღჭურვილი ჟურნალისტები საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვით იყვნენ დაკავებული. აქ პოლონელები და გერმანელები ერთად თუ არა, ერთმანეთის გვერდით მაინც ცხოვრობენ. "ვნახოთ, რა გამოვა," ამბობდნენ გამოკითხულნი.

აი, ფესტივალზე კი ყველაფერი სხვაგვარად გამოიყურებოდა: ეს ზეიმი იყო და არა პოლიტიკური თანხმობა. "ფანტასტიკური განწყობა იყო," - თქვა კვირას, ფესტივალის დახურვის დღეს მის ორგანიზატორთა წარმომადგენელმა ვიოლეტა სიკორსკამ. ფესტივალზე, რომელიც ლეგენდარული ვუდსტოკის სახელს ატარებს, წელს მოსალოდნელზე 100 ათასით მეტი ადამიანი მივიდა.

200 ჰექტარის ფართობზე, ყოფილ სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე პარასკევიდან კვირამდე უჩვეულო რამ ხდებოდა: კარვები, კარვები, ჰიპების მსგავსად გამოწყობილი ახალგაზრდები, მოხატული მანქანები... ფესტივალში 25 ჯგუფი იღებდა მონაწილეობას: პოლონეთიდან, გერმანიიდან, უნგრეთიდან და ჩეხეთიდან ჩასული მუსიკოსები. მართალია, "ვარსკვლავები" არ ყოფილან, მაგრამ ეს ხელს არავის უშლიდა. ყველა კმაყოფილი იყო, ყველას ყველა უყვარდა, არც ჩხუბი ამტყდარა და არც არავინ დაშავებულა.



ეს "ჰიპი-ნოსტალგიური იდეა" ვინმე იერჟი ოვსიაკს ეკუთვნის. თავის სამშობლოში ის კიბოთი დაავადებული ბავშვების დასახმარებლად გამართული დიდი აქციით იყო ცნობილი. მისი განმარტებით, "პშიშტანეკ ვუდსტოკ" არის დღესასწაული მათთვის, ვისთვისაც მშვიდობა, თანასწორობა და მოყვასის სიყვარული უცხო სიტყვები არაა.

კრივი

# "რკინის მაიკი" ექიმებს აოცებს



მაიკ ტაისონის ბრიტანელ დეინი უილიამსთან ოთხ რაუნდში ნაწნევი მარცხის მიზეზები კვლავაც საინფორმაციო საშუალებების ყურადღების ცენტრშია. თუ აქამდე "რკინის მაიკის" მარცხი სხვათა საქილიკო იყო, ახლა მასზე საუბრისას ზოგიერთებს, ლამის, ცრემლი მოადგეთ. ცხადია, მაიკს ბევრი უთანაგრძნობს, ბევრი კვლავაც მოწინააღმდეგეთა ბანაკშია და მას უშვერი სიტყვებით მოიხსენიებს. როგორც უნდა იყოს, მათგან განსხვავებით, ექიმები გაოცებას ვერ ფარავენ, როდესაც წარმოიდგენენ, თუ რა გადაიტანა მაიკმა რინგზე. რაუნდის მერე, ანუ, როდესაც ტაისონმა მარცხენა მუხლზე საშინელი ტკივილი იგრძნო; მეორე, მესამე და მეოთხე რაუნდებში "რკინის მაიკმა" თვალშისაცემად შეანელა მოძრაობა; პირველი რაუნდის დასრულების მაუწყებელი გონგის ხმისთანავე კი მწვრთნელ ფრედი როუჩს შესჩივლა: რაღაც მჭირს, მუხლი მტკივა და მოძრაობა მიჭირსო. მიუხედავად ამისა, ტაისონმა უკან არ დაიხია და კვლავაც გააგრძელა ჩხუბი, მაგრამ ვაი, ასეთ ჩხუბს. ახლა კი... ახლა ტაისონი ნაოპერაციები და მუხლშეხვეულია და დანა პირს არ უხსნის; აშკარად არ გაუმართლა. არადა, რამდენი რამ იყო დამოკიდებული ამ ბრძოლაზე - მარტო სახელი კი არა, ვალებიდან თავის დაძვრენა და რინგზე დაბრუნების პერსპექტივაც.

ექიმი რიჩარდ ემერსონი, რომელმაც ტაისონს დიაგნოზად მყესების გაწყვეტა დაუსვა, გაოცებას ვერ ფარავდა: კი, მაგრამ როგორ, რანაირად; კიდევ სამი რაუნდი ფეხზე როგორ იდგაო.

"რკინის მაიკის" მენეჯერმა შელი ფინკელმაც ასე თქვა, - ტაისონს მოძრაობაში მუხლის ტრავმა უშლიდა ხელსო.

ერთი სიტყვით, ისღა დაგვრჩენია, აღვფრთოვანდეთ ტაისონის სიმტკიცით, რომელიც აუტანელი ტკივილის მიუხედავად, სამი რაუნდის განმავლობაში მასზე წონითა და სიმაღლით აღმატებულ მეტოქეს წინააღმდეგობას უწევდა.

მიუხედავად ექიმის მტკიცებულებისა, ერთნი მაინც სკეპტიკურად არიან განწყობილნი და ამტკიცებენ, - მაიკის მარცხის მიზეზი, სინამდვილეში, მარიხუანა იყო, რომელიც ორთაბრძოლამდე საკმაოდ მოწიაო.

ფეხბურთი

# შეძლებს კი "ვიტ ჯორჯია" დაკარგული ღირსების დაბრუნებას?

დღეს საღამოს ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის 14 განმეორებითი მატჩი შედგება ერთდროულად. ზოგიერთი მათგანი წმინდა ფორმალურ ხასიათს ატარებს, რადგან რამდენიმე წყვილის გამარჯვებულის ვინაობა ჯერ კიდევ პირველ მატჩებში გახდა ცნობილი.

ერთ-ერთი ასეთი მატჩი დღეს კრაკოვში ჩატარდება, სადაც ადგილობრივი "ვისლა" საქართველოს ჩემპიონს, თბილისის "ვიტ ჯორჯიას" უმასპინძლებს. თუ რომელი მათგანი გავა შემდეგ ეტაპზე, უკვე დიდი ხნის გადაწყვეტილია. სხვა შემთხვევაში, ალბათ, იმას მაინც ვიტყოდით, - ჩვენი გუნდი ღირსების დასაცავად მიემგზავრებათქო, - მაგრამ, ვაი რომ, "ვიტ ჯორჯიას" ღირსება პირველ მატჩში ისე შეილახა, რომ მის აღსადგენად დღევანდელ მატჩში მოგებაც კი არ იქნება საკმარისი. "ვისლასთან" განცდილი მარცხის დასავიწყებლად "ვიტ ჯორჯიას", ალბათ, წლები დასჭირდება. დღევანდელი მატჩი კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წმინდა ფორმალობაა. საინტერესო მხოლოდ ისღაა, შეძლებს თუ არა "ვისლა" საკუთარი რეკორდის გაუმჯობესებას. ამრიგად, ახლავე შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე კრაკოვის "ვისლა" და მადრიდის "რეალი" შეხვდებიან ერთმანეთს.

"ვიტ ჯორჯიასთან" ვინმეს შედარება, ცოტა არ იყოს, უხერხულია. თუმცა, ერევნის "პიუნიკი", დაახლოებით, მსგავს სიტუაციაშია. სომხებმა, ასევე, საკუთარ კედლებში 1:3 წააგეს დონეცკის "შახტიორთან" და შემდეგ ეტაპზე გასვლის იმედი ნამდვილად გადაწურული უნდა ჰქონდეთ. ბუდაპეშტის "ფერენცვაროშთან" შინ 2:3 დამარცხების შემდეგ წარმატებაზე ფიქრი, ალბათ, ალბანურ "ტირანსაც" გაუჭირდება, თუმცა "ვიტ ჯორჯიასგან" განსხვავებით, ალბანელებს შემდეგ ეტაპზე გასვლის თეორიული შანსი მაინც დარჩათ.



საინტერესოა, რა ანგარიშით დასრულდება განმეორებითი მატჩი...

სომხეთის და ალბანეთის ჩემპიონებზე უკეთესი სიტუაცია არც სლოვენიურ "გორიცას" აქვს, რომელმაც პირველი შეხვედრა 1:2 დათმო დანიურ "კოპენჰაგენთან"; არც სლოვაკური "ჟილინაა" კარგ მდგომარეობაში - ამ გუნდმა საკუთარ მოედანზე 0:1 წააგო ბუხარესტის "დინამოსთან".

დანარჩენმა წყვილებმა კი ნამდვილად შეინარჩუნეს ინტრიგა. თელავივის "მაკაბი" და ფინური "ჰიკი", რომელთაც აქამდე თითოჯერ უასპარეზიათ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე, მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე ბერძნულ "პაოკთან" შეხვედრისათვის იბრძვიან. ამ გუნდების პირველი მატჩი ჰელსინკიში ჩატარდა და ნულოვან ფრეთი დასრულდა. ასეთივე ანგარიშით დასრულდა სხვა შეხვედრაც, რომელიც, ასევე, სკანდინავიის ნახევარკუნძულზე შედგა. შვედურმა "იურგერდენმა" ლიტვურ "კაუნასს" უმასპინძლა და, მოულოდნელად, ვერ მოუგო. მიუხედავად ამისა, ეს ნულოვანი ფრე შვედებს მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსებს მაინც უნარჩუნებს. თუ ასეც მოხდა და "იურგარდენმა" კაუნასის" დამარცხება მოახერხა, შვედური კლუბი ტურინის "იუვენტუსს" შეხვდება მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე.

დღის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მატჩი, წესით, ტრაპზონში უნდა შედგეს. შოთა და არჩილ არველაძეების ყოფილი კლუბი რიგის "სკონტოს" მასპინძლობს. ევრო 2004-ის შესარჩევი ეტაპის პლეი-ოფის მატჩებში დაპირისპირების შემდეგ თურქულ და ლატვიურ ფეხბურთებს საკუთარი ურიერთანგარიშები აქვთ. ორმატჩიანი დუელი მაშინ ლატვიელების გამარჯვებით დასრულდა. ახლა კი თურქებს, მართალია, საკლუბო დონეზე, მაგრამ რევანშის აღების შანსი მაინც ეძლევათ. პირველი მატჩი რიგაში ჩატარდა და ფრედ - 1:1 დასრულდა. სტარკოვის გუნდი მთელი შეხვედრის განმავლობაში იგებდა და საპასუხო გოლი მატჩის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე გაუშვა. მიუხედვად იმისა, რომ სტუმრად მიღწეული ფრე უკეთეს შანსებს თურქულ გუნდს აძლევს, სწორედ დღევანდელ შეხვედრაში გაირკვევა, თუ ვინ შეხვდება კიევის "დინამოს" ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე.

გასვლით მატჩში საყაიმო ანგარიშის მიღწევა ბელგრადის "ცრვენა ზვეზდამაც" მოახერხა შვეიცარიული "იანგ ბოიზის" წინააღმდეგ მატჩში და პრაღის "სპარტამაც", რომელმაც კვიპროსის "აპოელთან" არ წააგო სტუმრად. ორივე ეს მატჩი ანგარიშით 2:2 დასრულდა. "ცრვენა ზვეზდა"-"იანგ ბოიზის" წყვილში გამარჯვებული ჰოლანდიურ "ეინდჰოვენს" შეხვდება მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე, ხოლო "სპარტა"-"აპოელის" გამარჯვებული "ტირანას" ან "ფერენცვაროშს"; ალბათ - უფრო "ფერენცვაროშს", თუ გავიხსენებთ, რომ უნგრელებმა პირველ მატჩში სტუმრად დაამარცხეს "ტირანა". აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პრაღის "სპარტას" საკმაოდ გაუმართლა კენჭისყრაში. პრაღელებს "ტირანას" დამარცხებაც შეუძლიათ და "ფერენცვაროშისაც". ასე რომ, პრაღა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრის რეალური კანდიდატია.

მართალია, ხორვატიის "ჰაიდუკმა" საკუთარ სტადიონზე ნეხევრად სამოყვარულო ირლანდიური გუნდის, "შელბურნის" დამარცხება შეძლო, მაგრამ ამას მეტისმეტად დიდი ძალისხმევა მოანდომა. შეხვედრა 3:2 დასრულდა, რის გამოც, "შელბურნს" დღევანდელ მატჩში მინიმალური ანგარიშით მოგების შემთხვევაშიც კი, ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშის საშუალება მიეცემა. სხვათა შორის, ეს ბარიერი ირლანდიელებს აქამდე ჯერ არასოდეს გადაულახავთ.

"შელბურნის" მსგავსი ამოცანა უდგას ტირასპოლის "შერიფსაც", რომელიც "როსენბორგთან" გასვლით მატჩში, ანგარიშით 1:2, დამარცხდა. ხოლო პლოვდივის "ლოკომოტივს" ბელგიურ "ბრიუგესთან" მატჩში ორბურთიანი დეფიციტის აღმოფხვრა მოუწევს. ამ გუნდების პირველი მატჩი 2:0 დასრულდა "ბრიუგეს" გამარჯვებით. თუ "ლოკომოტივი" მაინც შეძლებს და "ბრიუგეს" ბარიერს გადალახავს, მაშინ ის "პიუნიკი"-"შახტიორის" წყვილის გამარჯვებულს შეხვდება მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე.

TV-სპორტი

**ოთხშაბათი. 4 აგვისტო**

**НТВ+ФУТБОЛ**
06:00 NBA TV - NBA შიგნიდან
07:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1977. PORTLAND TRAIL BLAZERS - LOS ANGELES LAKERS.
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 განვლილი სეზონის გახსენება. გერმანიის ჩემპიონატი. "ვერდერი" - "ჰამბურგი"
14:00 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 2000/2001. ნახევარფინალი. "რეალი" - "ბავარია"
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 განვლილი სეზონის გახსენება. იტალიის ჩემპიონატი. "პარმა" - "იუვენტუსი"
17:45 განვლილი სეზონის გახსენება. ინგლისის ჩემპიონატი. "არსენალი" - "ლივერპული"
19:30 თავისუფალი დარტყმა
19:45 სახვალიო ტელეპროგრამა
19:55 ჩემპიონთა ლიგა. მეორე საკვალიფიკაციო წრე. "შახტიორი" (უკრაინა) - "პიუნიკი" (სომხეთი). საპასუხო მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია
21:55 ჩემპიონთა ლიგა. მეორე საკვალიფიკაციო წრე. "შერიფი" (მოლდავეთი) - "რუსენბორგი" (ნორვეგია). საპასუხო მატჩი
23:50 ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 2000/2001. ნახევარფინალი. "ლიდსი" - "ვალენსია"
01:35 01:35-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV. ყველაფერი NBA-ს შესახებ
03:30 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1976. დასავლეთ კონფერენციის ფინალი. PHOENIX SUNS - GOLDEN STATE WARRIORS. მე-4 თამაში
05:30 NBA TV - სთრითბოლი. Entertainers Basketball Classic

**НТВ+СПОРТ**
10:00, 21:00 პრესცენტრი
10:20, 21:15 "ოლიმპის შვილები"
10:25, 14:00 "ფორმულის ჰარმონია"
10:45 ჩოგბურთი. Masters Series ცინცინატში. შესვენებისას (13:00) - პრესცენტრი
14:20 ტხეკვონ-დო. მსოფლიო ჩემპიონატი არხანგელსკში. პირველი ნაწილი
15:20 მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი ინგლისსა და ბელგიაში შესვენებისას (16:00) - პრესცენტრი
17:50 "ოლიმპიური ისტორია". მონრეალი, 1976 წელი. შესვენებისას (19:00) - პრესცენტრი
20:00 "ათენის გზაზე"
21:20 სახვალიო ტელეპროგრამა
21:25 "საუკუნის ათლეტები". "ძვირფასი ქალი". ლარისა ლატინინა
22:25 "ცხელი ქვიშა"
23:20 ტხეკვონ-დო. მსოფლიო ჩემპიონატი არხანგელსკში. მეორე ნაწილი
00:20 ახალი ამბები
00:35 "სპორტის აკვატორია"
01:05 01:05-დან 03:25-მდე შესვენება
03:25 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**
10:30 ფეხბურთი. გ-ო-ო-ო-ლ!!!
11:00 ფეხბურთი. აზიის თასი ჩინეთში. ნახევარფინალი
12:45 მულტისპორტი
13:15 ფეხბურთი. KAPPA CUP ესპანეთში
15:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი კანადაში
16:15 ჩოგბურთი. WTA ტურნირი კანადაში
17:30 ფეხბურთი. ქალების იუნიორთა ჩემპიონატი ფინეთში. გერმანია - ესპანეთი
18:30 "ოლიმპიური თამაშები". ტელეჟურნალი
19:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი კანადაში. პირდაპირი ტრანსლაცია
20:30 მულტისპორტი
21:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი კანადაში. პირდაპირი ტრანსლაცია
22:30 გოლფი. PGA ტურნირი აშშ-ში. სპეციალური მიმოხილვა
23:30 გოლფი. ევროპული ტურნირი შვედეთში. სპეციალური მიმოხილვა
00:00 გოლფი - Evian Masters
01:00 აფროსნობა
01:30 მულტისპორტი ოთხშაბათობით
01:45 რალი-რეიდი. მსოფლიო თასის ეტაპი Rally de l'Orient
02:00 ახალი ამბები
02:15 მხედრული ორთაბრძოლები. მებრძოლთა კლუბი

ჩოგბურთი

# "მასტერები" ცინცინატში

სანდრო ნავერიანი

*დამთავრდა კანადური მასტერსი, რომლის გამარჯვებულიც შვეიცარიელი როჟე ფედერერი გახდა. სიმართლე მოითხოვს აღინიშნოს, რომ ის, მართლაც რომ, ერთი თავით მაღლა დგას დანარჩენ ჩოგბურთელებზე. ტორონტოში კი დამთავრდა მასტერსი, მაგრამ ცინცინატში მხოლოდ ახლა, გუშინწინ დაიწყო.*





შემდეგ ეტაპზე გაუდიო (მარცხნივ) და რუსედსკი შეხვდებიან ერთმანეთს.

ტურნირში მონაწილე ზოგიერთმა ჩოგბურთელმა უკვე ჩაატარა თავისი შეხვედრები. 16 ჩატარებული მატჩიდან ყველაზე საინტერესო გამოდგა ამერიკული დაპირისპირება, ერთმანეთის წინააღმდეგ ანდრე აგასი და მარდი ფიში წარდგნენ. "ბებერი" ამერიკელის გამარჯვება არავის გაჰკვირვებია, თუმცა აღსანიშნავია, რომ აგასიმ, არა თავისი კლასის, არამედ მარდი ფიშის ტრავმის წაყალობით მოიპოვა გამარჯვება. პირველ სეტში ახალგაზრდა ამერიკელის აშკარა უპარატესობა შეიმჩნეოდა, რაც საბოლოოდ ახალგაზრდა ჩოგბურთელის გამარჯვებით დასრულდა. მეორე სეტში აგასიმ გაჭირვებით მიიყვანა საქმე ტაიბრეიკამდე, სადაც იმარჯვა კიდეც. აი, მესამე სეტში კი, მარდი ფიშმა, ტრავმის გამო, თამაში შეწყვიტა და ანდრე აგასი ავტომატურად გადავიდა მეორე წრეში, სადაც შვედ ტომას იოჰანსონსა და ფრანგ გრეგორი კარას შორის გამარჯვებულს შეხვდება. აგასის და ფიშს მხოლოდ ერთხელ უთამაშიათ ერთმანეთის წინააღმდეგ. ეს შეხვედრა სან-ხოსეს ტურნირზე გაიმართა და მარდი ფიშის გამარჯვებით დასრულდა. ახლა მათ შორის ანგარიში ერთით ერთია.

მეორე საინტერესო შეხვედრა გაიმართა არგენტინელ ხუან იგნასიო ჩელასა და ესპანელ რაფაელ ნადალს შორის. შეხვედრა არგენტინელის გამარჯვებით დასრულდა. მატჩი სამ სეტს გაგრძელდა. არგენტინელი ჩოგბურთელი უფრო თავდაჯერებულად გამოიყურებოდა; კარგად თამაშობდა ბადესთან და არც უკანა ხაზზე თამაშისას მოიკოჭლებდა. სპეციალისტებმა შეხვედრის შემდეგ განაცხადეს, რომ შეხვედრა ჩელამ კი არ მოიგო, ნადალმა წააგო. შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ მთავარი შედეგია, რასაც ჩელამ მიაღწია. ამ შეხვედრამდე არგენტინელი და ესპანელი ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს. ეს შეხვედრა შტუტგარტის ტურნირზე შედგა და ნადალის გამარჯვებით დასრულდა - ესპანელმა ორ სეტში 6:2, 6:3 დაამარცხა არგენტინელი. ასე რომ, როგორც აგასი ფიშის შორის, ასევე, ნადალი ჩელას შორის ანგარიში ერთით ერთია. მოკლედ, რევანშების დღეა. ხუან იგანსიო ჩელა მეორე წრეში ჩილელ ფერნანდო გონსალესს დაუპირისპირდება, რომელმაც, თავის მხრივ, რუსი დიმიტრი ტურსუნოვი ორ სეტში 6:4, 6:4 დაამარცხა. ეს იმ შეხვედრებზე გიამბეთ, რომლებიც ყველაზე საინტერესო იყო (ყოველ შემთხვევაში, მე ასე მომეჩვენა) ახლა კი დანარჩენ შეხვედრებზე გეტყვით ერთ-ორ სიტყვას.

ტურნირზე მეოთხე ნომრად განთესილმა ესპანელმ კარლოს მოიამ თავისი შეხვედრა ბრიტანელ არვინდ პარმართან გამართა. შეხვედრა ესპანელის გამარჯვებით დასრულდა, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ეს გამარჯვება მან იოლად მოიპოვა. ესპანელმა და ბრიტანელმა სამი სეტი ითამაშეს, რომლიდანაც პირველი სწორედ ბრიტანელის გამარჯვებით 6:3 დასრულდა, მაგრამ დარჩენილი ორი სეტი ესპანელმა მოიგო ანგარიშით 7:5, 6:2 და მეორე წრეში თამაშის უფლება მოიპოვა. მეორე წრეში მისი მეტოქე კი ხორვატი ივან ლუბიჩიჩი იქნება, რომელმაც, თავის მხრივ, ბელგიელი ხავიერ მალისი სამ სეტში 4:6, 7:6, 7:6 დაამარცხა. მოია და ლუბიჩიჩი ერთმანეთს ხუთჯერ შეხვედრიან; აქედან სამი შეხვედრა ლუბიჩიჩის გამარჯვებით დასრულდა. მათი დაპირისპირება 2001 წელს **Miami Ericsson Open**-ზე დაიწყო. ამ შეხვედრაში გამარჯვება მოიპოვა ლუბიჩიჩმა. აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ ცინცინატის მასტერსზე, სამი წლის წინ ივან ლუბიჩიჩმა და კარლოს მოიამ შეხვედრა ჩაატარეს, რომლიდანაც გამარჯვებული ხორვატი გამოვიდა. იმ შეხვედრის შემდეგ კიდევ სამი შეხვედრა ჩაატარეს ამ ჩოგბურთელებმა და ბოლო ორი შეხვედრის გამარჯვებული ესპანელი კარლოს მოია იყო. რიგით მეექვსე შეხვედრა, ვფიქრობ, ყველაზე საინტერესო უნდა გამოდგეს.

ჰორიზონტზე კიდევ ერთი საინტერესო შეხვედრა ჩანს. ერთმანეთს ბრიტანელი გრეგ რუსედსკი და არგენტინელი გასტონ გაუდიო დაუპირისპირდებიან. გასტონ გაუდიომ, როგორც მოგეხსენებათ, უკანასკნელი "როლან გაროს" გამარჯვებულია და, ამიტომაც, არ დავიწყებ მის მაღალ კლასზე საუბარს. გრეგ რუსედსკის საუკეთესო წლები, მართალია, გაფრენილია, მაგრამ მაინც ანგარიშგასაწევი ძალაა; ბოლოს და ბოლოს, მას მთელი კარიერის მანძილზე 14 ტურნირი აქვს მოგებული და ერთ დროს ყველაზე ძლიერი მოწოდებაც ჰქონდა. რუსედსკის და გაუდიოს ერთმანეთის წინააღმდეგ ერთი შეხვედრა აქვთ ჩატარებული, რომელიც ბრიტანელის გამარჯვებით დასრულდა. ეს მატჩი 2001 წლის ცინცინატის მასტერსზე შედგა. ბრიტანელმა მაშინ 7:6, 7:6 გაიმარჯვა. ვნახოთ, შეძლებს თუ არა სამი წლის შემდეგ იგივეს განმეორებას ბრიტანელი ჩოგბურთელი, ან პირიქით - არგენტინელი ჩოგბურთელი რევანშის აღებას.

დაბოლოს, ქართველი ირაკლი ლაბაძე პირველ წრეში შვედ იონას ბიორკმანს დაუპირისპირდება. მინდა გითხრათ, რომ მისი მეტოქე ძალიან ძლიერი და გამოცდილი ჩოგბურთელია, მაგრამ ჩვენ მაინც იმედი ვიქონიოთ, რომ ქართველი შვედურ ბარიერს გადალახავს და, თუ ყველაფერი ლოგიკურად წარიმართება, მაშინ წინ შვეიცარიული ბარიერი დახვდება. მისი მეტოქე როჟე ფედერერი იქნება. ეს ყველაფერი - იმ შემთხვევაში, თუ ლაბაძეც და ფედერერიც თავიანთ შეხვედრებს მოიგებენ.

| | |
|---|---|
| **გასტონ გაუდიო (არგენტინა) - ჟან მიშელ გემბილი (აშშ)** | **6:4, 6:2** |
| **გრეგ რუსედსკი (ბრიტანეთი) - ტომას ენკვისტი (შვედეთი)** | **3:6, 6:3, 6:2** |
| **ივო კარლოვიჩი (ხორვატია) - უესლი მუდი (სარ)** | **6:7, 7:6, 7:6** |
| **მარატ საფინი (რუსეთი) - ჟირი ნოვაკი (ჩეხეთი)** | **6:3, 6:0** |
| **ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) - ალექს ბოგომოლოვი (აშშ)** | **6:2, 6:4** |
| **გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) - იენ სუნ ლუ (ვიეტნამი)** | **6:4, 3:6, 6:3** |
| **ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) - რაფაელ ნადალი (ესპანეთი)** | **6:4, 4:6, 7:6** |
| **ფერნანდო გონსალესი (ჩილე) - დიმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი)** | **6:4, 6:4** |
| **ანდრე აგასი (აშშ) - მარდი ფიში (აშშ)** | **4:6, 7:6, (შეწყვიტა ფიშმა)** |
| **უეინ არტურსი (ავსტრალია) - ანდრეა პაველი (რუმინეთი)** | **7:6, 6:3** |
| **ივან ლუბიჩიჩი (ხორვატია) - ხავიერ მალისი (ბელგია)** | **4:6, 7:6, 7:6** |
| **კარლოს მოია (ესპანეთი) - არვინდ პარმარი (ბრიტანეთი)** | **3:6, 7:5, 6:2** |
| **ტომი ჰაასი (გერმანია) - რაინერ შუტლერი (გერმანია)** | **6:3, 1:6, 6:4** |
| **სარგის სარგისიანი (სომხეთი) - მიშელ კრატოშვილი (შვეიცარია)** | **2:6, 6:2, 7:5** |
| **პარადორნ შრიჩაპხანი (ტაილანდი) - დავიდ ფერერი (ესპანეთი)** | **6:3, 5:7, 6:3** |
| **სიენგ შალკენი (ჰოლანდია) - დიკ ნორმანი (ბელგია)** | **6:4, 6:3** |
| **ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) - იუნეს ელ აიანუი (მაროკო)** | **6:1, 60** |
| **ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) - ტოდ რეიდი (ავსტრალია)** | **6:4, 6:4** |
| **ჯეფ მორისონი (აშშ) - იურგენ მელცერი (ავსტრია)** | **7:6, 6:2** |
| **ტომი რობრედო (ესპანეთი) - ტეილორ დენტი (აშშ)** | **7:6, 6:3** |

ოლიმპიადა

# ათენამდე

კახა ფაჩუაშვილი

*ტრადიციული ალლუმი ტრადიციული ტურნირის წინ. საქართველოს ოლიმპიური ნაკრები ათენში მიემგზავრება. დელეგაციის პირველი ნაწილი ელადის მიწისკენ ხვალ აიღებს გეზს. შემდგომში კი მას დელეგაციის დანარჩენი წევრები შეუერთდებიან. ოლიმპიური თამაშების საზეიმო ცერემონიალზე საქართველოს დროშას ძიუდოისტი ზურაბ ზვიადაური გაუძღვება. ახალგაზრდა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონზე ქართველები დიდ იმედს ამყარებენ. ზვიადაურს, თავისი ნიჭისა და ოსტატობის გათვალისწინებით, ოქროს მედლისთვის რეალური ბრძოლა შეუძლია.*


ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ფიცის დადებისას.*


ვახო ბესელიას ფოტო

*პატრიარქთან შეხვედრისას.*


ვახო ბესელიას ფოტო

*პრეზიდენტთან სტუმრობისას.*

"დროშის გაძღოლა ჩემთვის დიდი პატივია. ძალიან მეამაყება. პირველად მივდივარ ოლიმპიურ თამაშებზე და, რაკიღა ასეთი პატივი მერგო, ესე იგი, ჩემი იმედი აქვთ. რაც შეეხება ოლიმპიურ თამაშებს, რა თქმა უნდა, ბრძოლა შეიძლება. მე გამარჯვებისთვის ძალისხმევას არ დავიშურებ და დანარჩენი ღმერთმა იცის. პატრიარქის დალოცვა, რა თქმა უნდა, ძალას ერთიორად შემმატებს", - ამბობს ზვიადაური.

ტრადიციული ეტიკეტის გათვალისწინებით, ოლიმპიური ნაკრების წევრებმა ფიცი დადეს, პატრიარქის ლოცვა-კურთხევა მიიღეს და ბოლოს საქართველოს პრეზიდენტის მუხტიც შეიგრძნეს. სპორტსმენებმა ჯერ ავთო ცქვიტინიძის დიზაინით შექმნილი სააღლუმო ფორმა მიიღეს, შემდეგ კი საზეიმო ფიციც დადეს.

ოლიმპიური მუზეუმის დარბაზში საქართველოს ჰიმნი გაისმა და ცერემონიალიც დაიწყო. ფიცის ტექსტის წაკითხვის პატივი საქართველოს ნაკრების ლიდერს ელდარ კურტანიძეს ერგო. ბოლოს სპორტსმენებმა ხელი მოაწერეს საკუთარი სურათებით აჭრელებულ ბუკლეტს, რომელიც ბატონი მიხეილ სააკაშვილისთვის იყო განკუთვნილი და ფიცის დადების ცერემონიალიც ასე დასრულდა.

"ელდარს ტექსტი იმიტომ წააკითხეს, რომ საქართველოს ნაკრების ლიდერია და, შესაბამისად, ოლიმპიური ოქროს მოპოვების რეალური კანდიდატი. დროშის გაძღოლაც მას ერგებოდა, მაგრამ ჩვენ ათენში გვიან ჩავდივართ და ამიტომ ამ საქმეს ზვიადაური გაუძღვება", - განაცხადა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბატონმა ზაზა თურმანიძემ.

ალლუმმა საპატრიარქოსკენ გადაინაცვლა. "...ყველას კარგად მოგეხსენებათ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, მისი სახელისთვის თქვენი ათენში გამოსვლა. ჩვენი ქვეყნის ჰიმნის აჟღერება. ამიტომ, მინდა, დაგლოცოთ და ეს შხაპუნა წვიმა, რომელიც არემარეს მოეფინა, ნიშანია იმისა, რომ ღმერთი ციდან კურთხეულ წყალს გაპკურებთ. ნიშნად დალოცვისა, მინდა, გადმოგცეთ ღმრთისმშობლის ხატი, რომელიც ასლია ათონის ივერთა მონასტერში დაბრძანებული ხატისა. ღმერთმა დაგლოცოთ. ჩვენთან არს ღმერთი"! - ასე დალოცა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ქართველი ოლიმპიელები. თითოეულ სპორტსმენს საჩუქრად ღმრთისმშობლის ხატი გადაეცა.

დალოცვას შეუერთდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი: "დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ღირსების დასაცავად ძალისხმევას არ დაიშურებთ. კარგად გესმით, თუ როგორი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის სახელისა და იმიჯისთვის ქართული ხუთჯვრიანი დროშის ათენში აფრიალებას. მჯერა, რომ წარმატება ჩვენი თანამდევი იქნება". ბოლოს ანსამბლმა "იმედმა" ქართველი ოლიმპიელები ხალხური სიმღერით გააცილა.

სახელმწიფო კანცელარია ის ნავსაყუდელი იყო, რომელიც ოლიმპიურმა დელეგაციამ დღის ბოლოს მოინახულა. პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ჩვეული ენერგიული და შემართული ნაბიჯებით შეეგება დელეგაციის წევრებს.

"მძიმე იქნება, თუ ათენიდან პირში ჩალაგამოვლებული დავბრუნდებით. დადგა დრო, ქართველმა დაძლიოს დამარცხებულის ფსიქოლოგია და იმის შეგნება, რომ სხვა მასზე ძლიერია და ის ყოველთვის დამარცხებული უნდა დადიოდეს. ამიტომ, ჩვენ ყურადღებას მივაქცევთ თქვენს გამოსვლას. რა თქმა უნდა, ყველა სახეობაში ვერ გავიმარჯვებთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ზოგიერთ სახეობაში მოვიგებთ. იმედი მაქვს, რომ ათენში პირველად აფრიალდება საქართველოს ახალი, ხუთჯვრიანი დროშა. გისურვებთ, შთამომავლობას თქვენით ეამაყოს. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ. სპორტს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა, რადგან მხედრული სული სწორედ სპორტსმენებში დევს. ჩვენ ახალი გამარჯვებებისკენ მივდივართ და ეს გამარჯვებები რაც უფრო შთამბეჭდავი იქნება, მით უკეთესი", - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

შემდეგ სიტყვა გადაეცა წარსულში ცნობილ მოჭიდავეს, მსოფლიო ჩემპიონ ლერი ხაბელოვს. "ბატონო პრეზიდენტო! ულრმესი მადლობა იმისთვის, რომ გამონახეთ დრო და შეგვხვდით. ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყნის ღირსება ღირსეულად დავიცვათ. არ ვიცი, მაგრამ შეხვედრის გაძღოლა მე დამავალეს. ალბათ, ოსი რომ ვარ - იმიტომ. თუ საქმე ცუდად წავიდა, ყველაფერს მე დამაბრალებენ (იცინის) - რამდენადაც ვიცი, ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტიც ოსია, არა? - შენიშნა პრეზიდენტმა - დიახ! მართალი ბრძანდებით. ახლა კი სიტყვას გადავცემ საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს ბატონ ელგუჯა მეძმარიაშვილს. სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ საქართველოს პრეზიდენტი რაინდის ორდენით დააჯილდოვა და ოლიმპიური თამაშების აკრედიტაცია გადასცა. "იმედი მაქვს, რომ როცა ყველაზე უფრო გაგვიჭირდება, ბატონი პრეზიდენტი სწორედ მაშინ ჩამობრძანდება ათენში და მხარში ამოგვიდგება", - განაცხადა სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ.

თავმჯდომარის გამოცვლას ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის სიტყვა მოჰყვა, შემდეგ - ოლიმპიური ფონდის პრეზიდენტის, შემდეგ - ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის. პრეზიდენტებმა იმედი გამოთქვეს, რომ ქართველი სპორტსმენები ათენში თავს არ შეირცხვენენ და მედლებით დახუნძლულნი დაბრუნდებიან სამშობლოში.

შეხვედრის ბოლოს ოლიმპიური დელეგაციის წევრებმა საქართველოს პრეზიდენტთან სამახსოვრო ფოტო გადაიღეს.

"ერთბაშად ამდენ პრეზიდენტთან ერთად არასოდეს ვყოფილვარ", - ასე დაემშვიდობა ბატონი პრეზიდენტი ოლიმპიური დელეგაციის წევრებს.

მოკლედ

# შუმი - კარგიც და ცუდიც

ფორმულა 1-ის ლეგენდარული კომენტატორი მარი უოკერი ამბობს, - მიხაელ შუმახერი იმდენად კარგია, რომ სამეფო რბოლებისთვის ცუდიცააო; "ფერარის" გერმანელი პილოტი ფორმულა 1-ს ზიანს აყენებსო: "თუ კიდევ დიდხანს გააგრძელებს ასპარეზობებს და კვლავაც დაამხობს რეკორდებს, მგონია, რომ ეს ყოველივე ფორმულა 1-სთვის იქნება ცუდი. მაყურებელს ბეზრდება, როდესაც ერთი გუნდი და ერთი მრბოლელი იმარჯვებს...

მე მიხაელს ფენომენად აღვიქვამ. იგი ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი მრბოლელთაგანია. მიმაჩნია, რომ იგი ნუვოლარისა და ფანხიოს დარი მრბოლელია. მასში სხვადასხვა ნიჭის ერთგვარი ნარევია - სარბოლო ნიჭის კომბინაცია, ტაქტიკური აზროვნება, გუნდთან მუშაობის უნარი. მას შეუძლია გუნდი შთააგონოს და ადამიანები შემოიკრიბოს".

და მაინც, რატომაა, რომ მიმდინარე სეზონში მიხაელმა და "ფერარიმ" 12-დან 11 რბოლა მოიგო? თავად შუმახერს ამის ორი ახსნა აქვს: მისი გუნდის ძალა და მეტოქეთა წარუმატებლობები.

"ჩვენ სრული 100 პროცენტით ვიყენებთ სარბოლო პაკეტს, - აცხადებს მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი, - დროთა განმავლობაში იმით ვსარგებლობთ, რომ ჩვენი მეტოქეები ვერ ახერხებენ, როგორც საჭიროა, ისე ასპარეზობას, ან კვალიფიკაციებზე ექმნებათ პრობლემები, ან მცდარ ტაქტიკას არჩევენ. ყოველივე ამის ფონზე, ჩვენ ხანდახან ძალზე ძლიერად გამოვიყურებით...

მართალი გითხრათ, არ გვეგონა, თუ ასეთ წარმატებას მივაღწევდით".

# ყოჩაღ, ლოკელან!

27 წლის ჰავაელი ტრიატლონისტი ლოკელანი მაკმაილი გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა, და იცით რატომ? - იმიტომ, რომ მაკმაილი ყველაზე ახალგაზრდა ქალია, რომელმაც Ironman triathlon-ის კვალიფიკაცია გაიარა. აღნიშნული ასპარეზობა იმითაა განსაკუთრებული, რომ მასში მამაკაცები მონაწილეობენ და, ამასთან, ერთმანეთს ამტანობაში ეჯიბრებიან. ბუნებრივია, შეჯიბრება ძალზე მომქანცველი და არაქათგამომცლელია. თავად დარწმუნდით: ღია წყალში 2,4 მილზე ცურვა; ველოსიპედით 112 მილის გადალახვა და 26,2 მილზე რბენა. ბევრი ფინიშამდე ვერც კი აღწევს ხოლმე. არადა, ყოჩაღი ჰავაელის ანგარიშზე უკვე სამი ასეთი შეჯიბრებაა.

ალბათ, იკითხავთ, - კი მაგრამ, როგორ ახერხებს ყოველივე ამასო. ლოკელანი მაკმაილი, ლამის, ყოველ დღე ველოსიპედით დასეირნობს; წელიწადში კი, თურმე, დაახლოებით, 15 ათას მილს დაცურავს; თავისუფალ დროს კი ფოტომოდელობით იქცევს თავს. სურათი, რომელმაც, რასაკვირველია, მიიპყრო თქვენი ყურადღება, სწორედ ლოკელან მაკმაილია მამაკაცთა ჟურნალ MAXIM-ის გარეკანზე.

"რას აღარ შევხვედრივარ ოკეანეში, - იხსენებს გინესის მამაცი რეკორდსმენი, - დელფინებიდან და ზღვის კუებიდან დაწყებული, ზვიგენებით და ვეშაპებით დამთავრებული. კარგად ვერთობოდი".

სხვათა შორის, ჰავაელ ტრიატლონისტს საკუთარი ინტერნეტ საიტი აქვს და იქ ბევრად უფრო მოშილიფებულად გამოიყურება, ვიდრე, ვთქვათ, ამას MAXIM-ი გვთავაზობს. და კიდევ, ამერიკულმა ტელეარხმა ESPN-მა იგი პლანეტის ერთ-ერთ ყველაზე სექსუალურ სპორტსმენად აღიარა.

"ამჟამად ბოიფრენდი არ მყავს, - ვიტყობთ იმავე ჟურნალში გამოქვეყნებული ინტერვიუდან, - კაცი სპორტსმენები, მეტწილად, პატივმოყვარენი არიან. ისინი საკუთარ თავზე და ტანზე არიან შეყვარებულები. მინდა, მათ მეც ვუყვარდე და... ჩემი სხეულიც".



ფართო საინფორმაციო სპექტრი, ანალიტიკა, საბიუჯეტო, საბანკო, ენერგეტიკული სფეროს მონიტორინგი, ჟურნალისტური გამოძიებები, კულტურისა და სპორტის სიახლეები, საკუთარი კორესპონდენტების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოწოდებული უახლესი ამბები.

"24 საათის" ჩანართები - "სამართალი", "ბიზნესი", "დედაქალაქი", "მონადირე", "ავტომობილი", "ევროინტორია", "სპეცსამსახურები", "მეცნიერება და ტექნიკა", "გულახდილად".

ერთობლივი პროექტები "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან" და "სოროსის ფონდთან" განუმარტავს მოქალაქეებს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, გაათვითცნობიერებს მათ სამართლებრივ და საგანმანათლებლო საკითხებში.

"24 საათი" ექსკლუზიურად აქვეყნებს ოფიციალურ დოკუმენტებს - პრეზიდენტის, მთავრობისა და სხვა სახელისუფლებო სტრუქტურების ბრძანებებს, დადგენილებებს, სახელმწიფო მნიშვნელობის ნორმატიულ აქტებს.

ხელშეკრულებები ხელმომწერის თაობაზე უნდა დაიდოს უშუალოდ გაზეთის დირექციასთან, რათა გამოირიცხოს გაუგებრობები და უზრუნველყოფილი იყოს მოწოდების სტაბილურობა.

24 საათი

ხელმომწერის ტარიფები: 1 თვით - 13 ლარი;
3 თვით - 39 ლარი;
6 თვით - 78 ლარი.

რედაქციის მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული
ტელეფონი: 20 24 24 ან 20 24 10.
საბანკო რეკვიზიტები: "თიბისი" ბანკის ცენტრალური ფილიალი.
ბანკის კოდი: 220101000, ა/ა 26467440.

## მრავალსახეობა გენოციდისა

1994 წელს ამერიკული კომპანია ეი-ბი-სის გადამღები ჯგუფი **სემ დონალდსონის** ხელმძღვანელობით თავს დაესხა არგენტინის პროვინციებს ყოფილი ნაცისტების მოსაძიებლად. პირველად ისინი ვინმე **რაინჰარდტ კოპსს** წააწყდნენ, მაგრამ კოპსმა მაშინვე იყნოსა შესაძლო საფრთხე და ხელი **ერიხ პრიბკესაკენ** გაიშვირა: მე რა საინტერესო ვარ, აი, კაცი, რომელსაც ბრალი მიუძღვის იტალიელი მძევლების მასობრივ დახვრეტებში და პირადად ესროლა კიდეც ორ მათგანსო.

პროცესი ელვის სისწრაფით აგორდა და სულ მალე არგენტინიდან იტალიაში ექსტრადირებული ოთხმოცი წლის ყოფილი ნაცისტი სასამართლოს წინაშე წარდგა. სასამართლომ ბევრი იმსჯელა, მაგრამ მაინც იმ დასკვნამდე მივიდა, რომ დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები ერთმანეთის ტოლფასი იყო და პრიბკეც "ვერ ქაჩავდა" სამუდამო პატიმრობამდე. ამ განაჩენის გამოცხადების შემდეგ სასამართლო დარბაზში ებრაელებისა და არაებრაელების ეგზალტირებული ბრბო შემოვარდა და მთელი სასამართლო ბრიგადა ოთახში გამოკეტა აქტიური ანტიფაშისტებისათვის უფრო მისაღები განაჩენის გამოტანამდე. რამდენიმე ხნის განმავლობაში მსაჯულები იძულებულნი იყვნენ ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ბოთლებით ესარგებლათ.

პოლიტიკოსებმა ნამდვილი შოუ გამართეს: რომის მერი, **ფრანჩესკო რუტელი** იმუქრებოდა, რომ გლოვის ნიშნად ისტორიული ძეგლების განათებას გამორთავდა. არავის უფიქრია სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობასა და მოსამართლეთა ღირსებაზე. ბოლოს და ბოლოს, ხელმეორე პროცესი დაინიშნა. 1997 წლის 22 ივლისს გამოტანილი საბოლოო განაჩენი სასამართლო ალქიმიის ნამდვილი შედევრი იყო. მიუხედავად ათწლიანი პატიმრობისა სხვადასხვა გარემოებათა გათვალისწინება პრიბკესათვის თითქმის დაუყონებლივ გათავისუფლებას ნიშნავდა. მაგრამ 1998 წელს ეს განაჩენიც გადასინჯეს და 7 მარტს სამხედრო ტრიბუნალმა ერიხ პრიბკეს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა.

ამ ჩახვეულმა იურიდიულმა კაზუსმა აფიქრებინა რომის სენატის მრჩეველს, **ვიქტორ მაგიარს**, რომ კარგი იქნებოდა აეშენებინათ მემორიალი მათთვის, "ვინც ბოლო ორი ათასი წლის განმავლობაში დაეცა რელიგიური, ეთნიკური, იდეოლოგიური და სოციალური ძალადობის მსხვერპლად". ამ წინადადებას შეუერთდა ორმოცი მემარცხენე იტალიელი ინტელექტუალი, რომლებმაც შესაბამისი ღია წერილით მიმართეს ფრანჩესკო რუტელის. მრავალი ამბობდა, რომ იდეა ძალიან კეთილშობილია, მაგრამ საჭიროა დაზუსტება, თუ ვინ უნდა იქნეს წარმოდგენილი ამ მუზეუმში. გაიხსნა მხურვალე და მოუწესრიგებელი კამათი. მაგიარი ამტკიცებდა, რომ ნაცისტებთან ერთად მემორიალში უნდა შეეტანათ ყველა "უმცროსი კულტურა", რომელიც ჰეგემონთა უღლის ქვეშ გაქრა: "ამერიკის ინდიელებიდან ჰუგენოტებამდე". რომაელ ებრაელთა თემის წარმომადგენელი **ლუკა ძევი** ამტკიცებდა, რომ უნდა შეეყვანათ "სომეხთა და ქურთთა გენოციდის მსხვერპლნი". კიდევ ერთი ინტელექტუალი, **რობერტო ვაკა** კითხულობდა, რატომ არავინ დაინტერესდა ტასმანიელებით — ახალი ზელანდიის მკვიდრი მოსახლეობით, რომელსაც არავითარი ცივილიზაცია არ დაუტოვებია, მოხარშულ საკვებსაც კი არ იცნობდა და მხოლოდ იმით დარჩა ისტორიაში, რომ ინგლისელმა კოლონისტებმა უწყალოდ ამოჟლიტეს.

ბოლოს და ბოლოს, დისკუსია ერთადერთ საკითხზე შეჩერდა: შეიძლება თუ არა ჰოლოკოსტის გვერდით მოვიხსენიოთ ფოიბების საშინელება?

ფოიბე (ლათინურიდან fovea — ორმო) ეწოდება იუგოსლავიასა და ჩრდილო-აღმოსავლეთ იტალიაში გავრცელებულ კარსტული წარმოშობის ვერტიკალურ მღვიმეებს. აქ 1943-1945 წლებში ტიტოს მორჩილი პარტიზანები და იტალიელი კომუნისტები ყრიდნენ ფაშიზმში ეჭვმიტანილ ათეულობით ათას ადამიანს. მხოლოდ იშვიათად თუ ხვრეტდნენ წინასწარ. უმრავლესობა ცოცხლად იყო ჩაყრილი მღვიმეში. მსხვერპლთა შორის მრავალი იყო დასაჭურისებული და თვალებდათხრილი მამაკაცი და გაუპატიურებული ქალი. ზოგიერთი ცოცხალი მჭიდროდ იყო მიბმული ეკლიანი მავთულით მოკლულის გვამზე. ამ საქმეზე გამოძიება წამოიწყო იტალიელმა მოსამართლემ, **ჯუზეპე პიტიტომ** და ორი ეჭვმიტანილიც აღმოაჩინა: **ივან მატიკა**, ტიტოს ერთგული მოსამართლე, რომელმაც ათასობით იტალიელს სიკვდილი მიუსაჯა და **ოსკარ პისკულიჩი**, ტიტოს საიდუმლო პოლიციის შეფი ქალაქ რიეკაში.

მაგრამ როცა გენოციდის მემორიალის საკითხი ებრაელთა ჰოლოკოსტისა და ფოიბებში ცოცხლად დამარხული ფაშისტებისა და ფაშისტობაში ეჭვმიტანილთა შედარებამდე მივიდა, აღმოჩნდა, რომ წინასწარი შთაგონებებისაგან არავის სული არ ყოფილა თავისუფალი. გამონაკლისი მხოლოდ ვინმე **სტეფანო როდოტა** იყო, რომელიც ამტკიცებდა, რომ "გენოციდთა შორის დიდი განსხვავებებია. ჰოლოკოსტის შემთხვევაში არსებობდა ერისა თუ რასის მოსპობის მეცნიერულად შემუშავებული პროგრამა. მართალია, ფოიბები საშინელება იყო, მაგრამ ეს მხოლოდ სამხედრო სისასტიკის გამოვლინებაა, რომლის მსგავსი მრავალი ყოფილა ისტორიაში". როდოტას ლოგიკას გარდაუვალ დასკვნამდე მივყავართ: გამოვრიცხავთ ერთ ხოცვა-ჟლეტას, იმიტომ რომ სამხედრო ვითარებაში მიმდინარეობდა, გამოვრიცხავთ მეორეს, იმიტომ რომ შეგნებულად არ ისახავდა მიზნად ერისა თუ რასის მოსპობას და თანდათანობით მივალთ იმ ვითარებამდე, რომ გენოციდის სახელს "კანონიერად" ერთადერთი ფენომენი იმსახურებს — ებრაელთა ჰოლოკოსტი.

ამ ლოგიკით თუ განვაგრძობთ მსჯელობას, ბუნებრივია ვიკითხოთ: იქნებ უნდა გავამართლოთ **იოსებ სტალინი**, რომელმაც იაფ და ხშირად "ერთჯერად" მუშახელად აქცია საკუთარი ქვეყნის მთელი მოსახლეობა; ან კამბოჯელი დიქტატორი, **პოლ პოტი**, რომელიც ხოცავდა ყველა სათვალიანს, რადგან გარეგნულად ბურჟუას და, შესაბამისად, ხალხის მტერს ჰგავდა. პირველი ხომ ამას ხან სისტემურად სჩადიოდა და ხანაც სპონტანურად, მეორეს კი სულაც არ ჰქონდა შეგნებულად ჩაფიქრებული მთელი ერის გაჟლეტა! ნუთუ ეს გარემოებები მათ ბრალს ამსუბუქებს?

ეს რაც შეეხება დიდი რეპრესიების ლიდერებს. მაგრამ თუ განვიხილავთ მცირე მასშტაბის დამნაშავეებს, შემსრულებლებსა და პოლიტიკურ მკვლელებს, როდოტას თეზისი კიდევ უფრო მყიფე ხდება. განა გიგანტური და სასტიკი მანქანის ერთი ჭანჭიკი, ერიხ პრიბკე, უფრო საშინელი ურჩხული იყო, ვიდრე, მაგალითად ისინი, ვინც თვალებს თხრიდნენ ფაშისტებთან კოლაბორაციონიზმში ეჭვმიტანილ ცოცხალ ადამიანებს, ან ისინი, ვინც დღეს ისლამის სადიდებლად აფეთქებს მშვიდობიან ადამიანებს?

მემარცხენეებს თუ დავუჯერებთ, ნაციზმი აბსოლუტური ბოროტებაა, ხოლო კომუნიზმი — უბრალოდ წარუმატებელი, მაგრამ კეთილად ჩაფიქრებული პროექტი, რომელიც სისასტიკის ცალკეულ ფრაგმენტს შეიცავდა.




გაიხსოვდეს ფოიბე! - იტალიელი სტუდენტების პოსტერი

# დუჩე

## (გზის დასაწყისი)



ფაშიზმის ფუძემდებელი, **ბენიტო მუსოლინი** დაიბადა 1883 წელს ჩრდილო-აღმოსავლეთ იტალიაში, რომანიის პროვინციაში. მამამისი **ალესანდრო** ხელმოკლე გაკოტრებულ მემამულეთა ფენიდან იყო, მამულები უკვე კარგა ხანია გაეყიდა და სამჭედლოღა შერჩენოდა. თუმცა შვილის დაბადებისთვის უკვე მჭედლობაც აღარ ადარდებდა და თითქმის მთლიანად პოლიტიკაში იყო ჩაფლული: სოციალისტური პარტიის რიგებში იბრძოდა. ამ პარტიას მაშინ "ინტერნაციონალური" ერქვა და ჯერაც არ იყო თავისუფალი ანარქისტული გავლენებისაგან. ოჯახისთვის ალესანდროს არ ეცალა და შინაურ საქმეებს მისი ცოლი, **როზა მალტონი** განაგებდა. ქმრისაგან განსხვავებით, ქალი კეთილმორწმუნე კათოლიკე იყო, შინ სკოლა ჰქონდა მოწყობილი და ღარიბ ბავშვებს საწყის განათლებას აძლევდა.

ამბობენ, მამამ დიდი გავლენა მოახდინა ვაჟზე, მაგრამ ამის ზუსტი დადგენა ახლა ძნელია. ცნობილია, რომ იტალიაში უცხო სახელი, ბენიტო, ალესანდრომ თავის შვილს მექსიკელი რევოლუციონერის, **ბენიტო ხუარესის** პატივსაცემად დაარქვა, ასევე მეორე ვაჟს, XI საუკუნის ცნობილი იტალიელი ერეტიკოსის, **არნალდო ბრეშელის** კვალობაზე უწოდა არნალდო.

ბენიტოს და, ედვიგა იგონებს, რომ პატარა ბენიტო დიდი ხნის განმავლობაში მუნჯი იყო. სამი წლის ასაკში ექიმთან მიიყვანეს. დიაგნოზი შემდეგი იყო: "არხეინად იყავით, ილაპარაკებს და ზედმეტსაც ილაპარაკებს". ეს ამბავი შემდგომში მოგონილს ჰგავს, მით უმეტეს, რომ ბავშვი კიდევ დიდი ხნის განმავლობაში დარჩა სიტყვაძუნწი და გულჩათხრობილი. სკოლის მეგობრებთან მისი ურთიერთობის ერთადერთი სახე ჩხუბი იყო. როცა გალახული შინ ბრუნდებოდა, მამა მუდამ შურისგებისკენ მოუწოდებდა. როგორც ეტყობა, ეს იყო მისი მამობრივი გავლენის უმთავრესი შინაარსი.

საწყალ როზას ბევრი ტანჯვის ფასად დაუჯდა, რომ ბენიტოს დაწყებითი სკოლა რამენაირად დაემთავრებინა. მერე კი ლამის ძალით გააგზავნა შვილი ფაენცაში, სალეზიანელთა ორდენის სასწავლებელში. ბენიტო თავიდანვე იყო მიჩვეული ჩალით გატენილ ლეიბზე ძილსა და მწვანილის ნახარშის ჭამას. ასე რომ, სასწავლებელში ჭიანჭველებით გავსებული პური არ იქნებოდა მისთვის მთავარი სადარდებელი. გაცილებით უფრო ძნელი ასატანი იყო, რომ მოსწავლეები სამ ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი სოციალური წარმოშობისა და ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით. ბენიტო, რა თქმა უნდა, ღარიბთა ჯგუფში იყო ჩაწერილი. აქაც მოჩხუბრად გამოიჩინა თავი და რადგან მუშტებითა წიხლებით ვერაფერი გააწყო, თავის კლასელს ბარძაყში დანა გაუყარა. ამისთვის გარიცხეს კიდეც.

შემდეგი სადგური იყო დიდი იტალიელი პოეტის, **ჯოზუე კარდუჩის** სახელობის სასწავლებელი, რომელსაც პოეტის ძმა, **ვალფრედო** განაგებდა. აქ ბენიტო შვიდი წლის განმავლობაში დარჩა და 1901 წელს პედაგოგის დიპლომიც აიღო. თუმცა აქაც ხშირად არღვევდა დისციპლინას, კარდუჩის მფარველობის წყალობით მაინც დაასრულა კურსი. სხვა სტუდენტთა მოწმობით, ადამიანებში არასოდეს უძებნია მეგობრობა, სამაგიეროდ, მორჩილებას ითხოვდა.

სხვათა შორის, არც სიყვარული ყოფილა მისი სფერო: ამ თვალსაზრისით მისი იდეალი ბორდელი იყო. მუდამ ტრაბახობდა თავისი მამაკაცურობით და ქალებს უხეშად ეუფლებოდა, როგორც მამალი ქათმებს. ამ მხრივ, გამონაკლისი ალბათ მხოლოდ უკანასკნელი საყვარელი, **კლარეტა პეტაჩი** იყო.

მთელი ამ წლების განმავლობაში სწავლა-განათლებით მაინცდამაინც არ შეუწუხებია თავი: მის მიერ წაკითხული ყველაზე მნიშვნელოვანი წიგნი ვიქტორ ჰიუგოს "საბრალონი" იყო.

1901 წელს შინ დაბრუნებულმა სამუშაო ვერ იშოვა და გადაწყვიტა, მამას დახმარებოდა სამჭედლოში. ორი უსაქმურის თანამშრომლობამ ვერაფერი შედეგი გამოიღო. ბოლოს და ბოლოს, სოციალისტურმა პარტიამ რაღაც ადგილი უშოვა სკოლაში. აქ მუსოლინი მიხვდა, რომ პედაგოგია მისი მოწოდება არ იყო და შვეიცარიაში გადაბარგდა.

მუსოლინის აპოლოგეტები ამბობდნენ, რომ აქ მომავალმა დუჩემ სრულიად ნებაყოფლობით მიიღო პროლეტარული გამოცდილება. ეს თვალსაზრისი გადაჭარბებულია. მართალია, ბენიტოს შავი სამუშაოს შესრულებაც უხდებოდა, ამის მიზეზი მისი უკიდურესი სიღატაკე იყო და არა იდეური მოსაზრებები. თუმცა მალე კლასობრივ ბრძოლაშიც ჩაერთო: ბერნში მიტინგზე ჩვეული მოჩხუბარი სულისკვეთება გაეღვიძა, რის შედეგად დააპატიმრეს და პოლიციის თანხლებით იტალიის საზღვარზე მიაბრძანეს. მაგრამ შვეიცარიაში პოლიციის გადაწყვეტილებას მხოლოდ რეგიონული ძალა აქვს. მუსოლინიც სხვა კანტონის, ამჯერად ლოზანას მხრიდან დაბრუნდა ქვეყანაში. აქეთ ერთი ლამაზი პოლონელი სტუდენტი გოგონა უხმობდა, რომელთანაც ადრე ჰქონია გაბმული ურთიერთობა.

ცოტა ხნის შემდეგ დედის ავადმყოფობის გამო მოუხდა იტალიაში დაბრუნება. მაგრამ სამხედრო გაწვევა უწევდა და ფაშიზმის მომავალმა ბელადმა გადაწყვიტა საჯაროდ განეცხადებინა თავისი ანტიმილიტარიზმი. გაწვევაზე არ გამოცხადდა, რისთვისაც 1904 წელს დეზერტირად აღიარეს და კვლავ შვეიცარიაში გაქცეულს ერთი წლის პატიმრობა მიუსაჯეს დაუსწრებლად. შვეიცარიიდან ცოტა ხანში კიდევ ერთხელ გააძევეს, რადგან პასპორტის ვადა გაუვიდა და ხელით გადააკეთა. აქ უკვე მეგობრებმა უშველეს: იტალიელმა და შვეიცარიელმა მუშებმა გამოსვლები მოაწყვეს, საქმეს პოლიტიკური ელფერი მიანიჭეს, მისი განხილვა პარლამენტამდეც კი მიიყვანეს და მუსოლინიც შვეიცარიაში დარჩა. ამგვარი ხმაურის შემდეგ ბენიტოს უკვე შავ მუშებთან კი არ უწევდა ურთიერთობა, არამედ ისეთ პიროვნებებთანაც, რომლებსაც მის პოლიტიკურ მომავალზე დიდი გავლენის მოხდენა შეეძლოთ.

ერთ-ერთი ასეთი პიროვნება იყო **ანჟელიკა ბალაბანოვა**, წარმოშობით რუსი და სოციალისტურ წრეებში საკმაოდ ცნობილი მოღვაწე. ანჟელიკა იმავე ინტელიგენციური ფენიდან იყო გამოსული, რომელმაც მსოფლიოს ლენინი და ტროცკი აჩუქა. მუსოლინი მან ჯერ კიდევ 1902 წელს გაიცნო, როცა სოციალისტური პარტიის შეკრებაზე პირველად მიაქცია ყურადღება თვალებდაკარკლულ და ყვითელსახიან, ცუდად გაპარსულ ყმაწვილს. თვითონ ჩამოვიდა ტრიბუნიდან და გაეცნო ვაჟს.

მუსოლინიმ პერსპექტივა იგრძნო და ქალს გამოუტყდა, რომ სრულიად სასოწარკვეთილია, უფრო მეტიც, მემკვიდრეობითი ათაშანგითაა დაავადებული. ამის დადასტურება ვერ მოხერხდა — სიკვდილის შემდეგ ჩატარებულმა გაკვეთამ ათაშანგის კვალი ვერ აღმოაჩინა. მაგრამ მუსოლინი ცხოვრების განმავლობაში განუწყვეტლივ იწონებდა თავს ამ ვერსიით: ალბათ განსაკუთრებული მამაკაცურობის გამოვლინებად მიაჩნდა ეს. გარდა ამისა, ანჟელიკას ისიც მოუგონა, რომ 50 ფრანკი შესთავაზეს **კარლ კაუტსკის** რომელიღაც ნაშრომის სათარგმნად, მაგრამ გერმანული სათანადოდ არ იცოდა. ანჟელიკამ დახმარება ითავა და ასე დაიწყო მათი ურთიერთობა.

ანჟელიკა ლამაზი არ ყოფილა, მაგრამ არც მახინჯიც. ყველაზე მნიშვნელოვანი კი მისი ეროვნება იყო: პროვინციელ მუსოლინის ეს განსაკუთრებით ეამაყებოდა. გამოჩენილი რუსი სოციალისტი ასმევდა აჭმევდა და საცვლებს ურეცხავდა ახალგაზრდა იტალიელ კუროს.

მაგრამ 1904 წლის ბოლოს იტალიის დედოფალმა ელენემ მემკვიდრე შვა და ამ ბედნიერ მოვლენასთან დაკავშირებით გამოცხადებულმა ამნისტიამ სამშობლოში დაბრუნების საშუალება მისცა ბენიტოს.

ბოლოს და ბოლოს სამხედრო სამსახურიც წარმატებით მოიხადა და 1909 წელს ქალაქ ტრენტოში შეუდგა სოციალისტური პარტიის პერიოდული გამოცემის რედაქტორობას. მისი დროშაც სამფეროვანი იყო, მაგრამ იტალიის სამეფო გერბის მაგიერ ზედ ნამგალი და ურო იყო გამოსახული. და მაინც მუსოლინი სულ სხვა გზას დაადგა: იტალიური ენისა და კულტურის დაცვის საბაბით ბრძოლა გამოუცხადა გერმანულ სოციალ-დემოკრატიას. ამის საკმარისი საფუძველიც იყო ტრენტოში, რომელიც ავსტრიის საზღვართან ახლოს მდებარეობს და "იტალიურობის" პრობლემა აქ განსაკუთრებულად აქტუალურია დღესაც.

მუსოლინიმ იტალიური პოლიტიკური ბრძოლის დახვეწილ ატმოსფეროში ძალადობისა და უხეშობის სტილი შეიტანა. ქრისტიან-დემოკრატთა ლიდერი **დე გასპერი** წერდა, რომ მუსოლინის "საჯარო მოღვაწეობა შეურაცხყოფათა და მუჯლუგუნთა ტურნირად მიაჩნია". დე გასპერი ღრმა ინტელექტუალი და ლოგიკური მოკამათე იყო, მუსოლინი კი შეუჩერებელი მოლაყბე და ეგზალტირებული ორატორი, ამიტომაც ყოველთვის იმარჯვებდა. ბოლოს ხელისუფლებამ იგრძნო საფრთხე, რომელსაც მუსოლინის თავხედობა უქადდა. ამიტომ ბენიტოს მალევე მოუხდა რომანიაში დაბრუნება.

ბოლონიაში ყოველდღიურ გაზეთში ადგილი ვერ იშოვა და რესტორანში დაიწყო მუშაობა. აქ მამამისის ერთი კომპანიონის ქალიშვილს, რაკელეს დაადგა თვალი. ამავე რესტორანში მომუშავე ბავშვობის მეგობარი უკვე დაქალებული წარუდგა თვალწინ. არშიყობას უჩვეულო სახე ჰქონდა: მუსოლინიმ გოგონა საცეკვაოდ დაპატიჟა და რადგანაც რაკელემ სხვასთანაც იცეკვა, უკანა გზაზე ხელები სულ დაულურჯა. მერე რესტორანში მუშაობა აუკრძალა და სოფლად დაასახლა თავისი დის სახლში. ყველანი წინააღმდეგნი იყვნენ ამ ქორწინებისა, ძირითადად იმიტომ, რომ რაკელე ებრალებოდათ.

ალესანდრო მუსოლინიც კი ეუბნებოდა ვაჟს: "სამუშაო არა გაქვს, ჯამაგირს არ იღებ, მხოლოდ პოლიტიკა შეგრჩა. სულ ტყუილად დაიტანჯები და ამ ქალსაც დატანჯავ". ბენიტომ პასუხად ჯიბიდან რევოლვერი ამოიღო და თქვა: "თუ რაკელემ ჩემთან ცხოვრება არ ისურვა, აქ ექვსი ტყვიაა: ერთი მისთვის, დანარჩენი ხუთი — ჩემთვის". ღმერთმა იცის, როგორ აპირებდა ხუთგზის თავის მოკვლას. მაგრამ ეს იყო მისი სტილი: ფრაზა, რომელიც ეფექტზეა გათვლილი და არა შინაარსზე.

წყვილი ფორლიში გადასახლდა. მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ გააფორმეს სამოქალაქო ქორწინება. მათი პირველი ქალიშვილი ედა უკვე ოთხი წლის იყო, მაგრამ სოციალისტები ხომ ქორწინებას "ბურჟუაზიულ" რიტუალად მიიჩნევდნენ. საეკლესიო ჯვრისწერა კი 1925 წელს აღასრულეს, როცა მუსოლინი უკვე დუჩე იყო და ეკლესიასთან შერიგების კონკორდატი დადო.

ფულის საშოვნელად მუსოლინიმ სათავგადასავლო რომანი დაწერა — "კლაუდია პარტიჩელა, კარდინალის საყვარელი". თავის დროზე იგივე თემაზე **ჯუზეპე გარიბალდიმაც** სცადა ბედი პროზაში, მაგრამ მხოლოდ თავი შეირცხვინა და ლამის თავისი საბრძოლო დიდების ნაწილი კი გაახუნა. მუსოლინის გაჭიანურებულმა და ვულგარულმა რომანმაც ვერ ივარგა, თუმცა კი რამდენიმე ხანს თავი გაატანინა ავტორს. მოგვიანებით, როცა ხელისუფლება ჩაიგდო ხელში, დუჩემ პოლიციის დახმარებით გაანადგურა მთელი ტირაჟი ბოლო ეგზემპლარამდე.

ფორლიში მუსოლინის მოღვაწეობა საკმაოდ აქტიურად წარიმართა. მან მალე იპოვა თანამოაზრე: მასავით ექსტრემისტი და ძლიერი ორატორული ნიჭით დაჯილდოებული **პიეტრო ნენი**. ორივენი დააპატიმრეს 1911 წლის 26 სექტემბერს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და საბოტაჟისთვის.

სასამართლო პროცესი ნოემბერში გაიმართა. აქ ხალხით გაჭედილი დარბაზის წინაშე მუსოლინი ნამდვილი მატადორივით გამოვიდა და თავისი გასამართლებელი სიტყვა ცნობილი ფრაზით დაასრულა: "თუ გამამართლებთ, ჩემთვის სიამოვნება იქნება, თუ გამამტყუნებთ — დიდება". სიტყვას ტაშის ქარიშხალი მოჰყვა. მუსოლინისა და ნენის ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს და გასაჩივრების შემდეგ ხუთნახევარ თვემდე შეუმცირეს. ციხეში მუსოლინიმ ავტობიოგრაფია დაწერა, რომელიც დღემდე რჩება მისი ადრეული ცხოვრების ყველაზე სარწმუნო დოკუმენტად.

ამასობაში კი იტალიის სოციალისტური პარტია შინაგან დუღილს განიცდიდა — იქ რევოლუციონერები თანდათანობით ამარცხებდნენ რეფორმისტებს. ასე რომ, ციხიდან გათავისუფლებულ მუსოლინის თავისუფლად შეეძლო ეთქვა თავისი ფორლელი თანამებრძოლებისთვის: "ჩვენ კი არ ვუბრუნდებით პარტიას, არამედ პარტია გვიბრუნდება ჩვენ!".

პარტიის კონგრესი 1912 წლის 7 ივლისს გაიხსნა. მუსოლინის სიტყვა მეორე დღეს იყო დაგეგმილი. როცა ტრიბუნაზე ავიდა, ბევრმა იკითხა, ეს კაცი ნეტა ვინ არისო? მისი პატიმრობის შესახებ იტალიის ეროვნულ მასშტაბში არავინ იცოდა, რადგან ასეთი მოვლენებით აღსავსე იყო სოციალისტური პარტიის მაშინდელი ისტორია. მუსოლინის პირველი სიტყვები გულგრილობის სიცარიელეში ჩაიკარგა, მაგრამ თანდათანობით აუდიტორია გახურდა. მუსოლინის ხელს აძლევდა კონგრესის გახსნილობა: დელეგატების გარდა მას ხალხის ფართო მასების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. მან ამით ისარგებლა და დარბაზში ბარიკადების შესაფერი ატმოსფერო შექმნა.

ოვაციამ დაამტკიცა, რომ ფართო მასები მუსოლინიმ თავისი სიტყვით დაიპყრო. მაგრამ მალე კენჭისყრის ჯერი დგებოდა, რაც საკუთრივ დელეგატების საქმე იყო. აქ მუსოლინიმ დაამტკიცა, რომ ტრიბუნაზე მატადორობის გარდა სხვა ბევრი რამეც შეეძლო. კონგრესის კულუარებში სამაგალითო ცბიერება გამოიჩინა, მრავალი გული მოიგო და მეორე დღეს მთელი იტალიის პრესა "ახალ კაცსა" და "სოციალიზმის ამომავალ ვარსკვლავს" უწოდებდა.



*1916 წელი იტალიის სოციალისტური პარტიის ლიდერები: ჭოხით ხელში - მუსოლინი.*

*ნოდარ ლადარია, ლეილა ბეზარაშვილი*

# სკანდალი ისევ "ფარენჰეიტის" გარშემო



მაიკლ მურის ცნობილი ფილმი კვლავ ყურადღების ცენტრში მოექცა. კუვეიტში "ფარენჰეიტი 9/11" აკრძალეს, იმ მოტივით, რომ საუდის არაბეთის სამეფო ოჯახის წევრებისთვის ეს სურათი შეურაცხმყოფელია. პროტესტი გამოთქვა ამერიკის მოკავშირე კუვეიტის ხელისუფლებამაც. "ჩვენ გვაქვს კანონი, რომელიც კრძალავს მეგობარი სახელმწიფოების შეურაცხყოფას," - განაცხადეს კუვეიტის ხელისუფლების წარმომადგენლებმა.

მაიკლ მურის ფილმი, რომელმაც კანის ფესტივალის მთავარი პრიზი აიღო, პირველი დოკუმენტური სურათია, რომელმაც აშშ-ს კინოგაქირავებას 100 მილიონ დოლარზე მეტი შემოსავალი მოუტანა.

გარდა იმისა, რომ მური თავის ფილმში აშშ-ს პრეზიდენტს მწვავედ აკრიტიკებს, ბრალს სდებს 11 სექტემბრის ტერაქტისთვის მოუმზადებლობაში და ამბობს, რომ ბუშმა პოპულარობის მოსაპოვებლად პროპაგანდისტული ტრიუკები გამოიყენა, რეჟისორის კრიტიკა საუდის არაბეთის სამეფო ოჯახსაც გადასწვდა. მურის მტკიცებით, მიუხედავად იმისა, რომ ტერაქტის შემდეგ დაუყოვნებლივ დაიკეტა ამერიკის საჰაერო სივრცე, იქ მაინც შეუშვეს თვითმფრინავი, რომლის ბორტზეც საუდის არაბეთის მოქალაქეები იმყოფებოდნენ.

საუდის არაბეთის ხელისუფლების განცხადებით, ფილმი შეურაცხყოფს სამეფო ოჯახს - აქ ნათქვამია, რომ მას ბუშთან საერთო ინტერესები აქვს, რაც ამერიკელი ხალხის ინტერესებს ეწინააღმდეგება.

ამას გარდა, ერაყი სამოთხესავით არის წარმოდგენილი, თითქოს იქ პრობლემები მხოლოდ ამერიკული ინტერვენციის შემდეგ გაჩნდა. ასეთმა განცხადებებმა, რა თქმა უნდა, კუვეიტის მოსახლეობის აღშფოთებაც გამოიწვიაო, - დასძენენ ისინი.

როგორც საუდის არაბეთის ელჩმა ლონდონში თურქი ფაისალმა განაცხადა, "მური სათანადოდ არ იყო მზად დოკუმენტური ფილმის გადასაღებად."

კუვეიტის სახელმწიფო კინოგაქირავების კომპანიამ ფილმის ჩვენების უფლების მოპოვება სცადა, მაგრამ ცენზორებისგან უარი მიიღო.

თუმცა, მაიკლ მურის ფილმის ჩვენება გრძელდება ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, არაბეთის გაერთიანებულ საემიროებსა და ლიბანში.

ამავდროულად, ერთი ამერიკული გაზეთი (Pantagraph), რომელიც ილინოისის შტატში გამოდის, ცდილობს მურისა და მისი დისტრიბუტორი კომპანიისგან 1 მილიონი დოლარი მიიღოს. გაზეთი ამტკიცებს, რომ მურმა გამოიყენა პირველი გვერდის გამოსახულება, რათა ფლორიდას შტატში საპრეზიდენტო არჩევნების ხმის დათვლის შედეგები ეჩვენებინა. ფილმში არის კადრი, სადაც ჩანს გაზეთის პირველი გვერდი და სათაური: "კენჭისყრის შედეგები ფლორიდაში გვიჩვენებს, რომ გორი გამარჯვებულია".

სინამდვილეში, გაზეთის მესვეურთა თქმით, სინამდვილეში სტატია ამ სათაურით იმ გვერდზე დაიბეჭდა, სადაც მკითხველთა წერილებია განთავსებული.

"თუ მურს ჩვენი გაზეთის რედაქტორობა სურს, მან ამ ვაკანსიაზე განაცხადი უნდა შემოიტანოს," - ნათქვამია გაზეთის მიერ გაკეთებულ განცხადებაში.

# კაილისაც დედობა უნდა



პატარა და კოხტა პოპის პრინცესა თავის შეყვარებულს დაშორდა. საქმე ისაა, რომ კაილი მინოუგსა და მსახიობ ოლივერ მარტინესს თავიანთი მომავლის შესახებ განსხვავებული აზრი ჰქონიათ.

გაზეთი "სანდი მირორი" წერს, რომ წყვილი სენ-ტროპეში აპირებდა დროის გატარებას, მაგრამ სასტუმროს რესტორანში სადილობის დროს კაილის და მის თანამგზავრს ჩხუბი მოუვიდათ. მეზობელ მაგიდებთან მსხდომნი ამ სცენას გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს და შემდეგ მომხდარის შესახებ ჟურნალისტებსაც უამბეს. მათი თქმით, კაილიმ ნელნელა ხმა აიმაღლა, მერე ცრემლმორეული წამოხტა და რესტორნიდან გავიდა. ცოტა ხანში მას გაცოფებული მარტინესიც გაჰყვა - როგორც ჩანს, სულ ტყუილად: კაილიმ ქალაქი სასწრაფოდ დატოვა, მარტინესმა კი სასტუმროში კიდევ ორი დღე გაატარა.

რა ამბავია? გაზეთის კაილის მეგობრის აზრს ეყრდნობა: "კაილი 36 წლისაა, მისი ბიოლოგიური წამმზომი უკვე ჩართულია. ახლა მას ნამდვილი პარტნიორი სჭირდება და შვილიც უნდა გააჩინოს, ამ კაცს კი ქალებისთვის თავის მოწონების, სმისა და წვეულებებზე სიარულის გარდა, არაფერი აინტერესებს".

მართლაც, განაწყენებული კაილი ავსტრალიაში დაბრუნდა, ოლივერ მარტინესი კი კვლავ წვეულებებზე დადის.

მსახიობი ჯეისონ დონოვანი, მოდელი ჯეიმს გუდინგი და ბოლოს - ოლივერ მარტინესი: ეს იმ მამაკაცთა არასრული სიაა, რომელთაც მშვენიერ კაილის არც შვილი აღირსეს და არც ბედნიერება. არადა, კაილისაც უნდა, მსოფლიოს სხვა მრავალი სახელგანთქმული ქალის მსგავსად, ორსულმა მოიწონოს კამერების წინ თავი.

ის დრო, როცა ორსული ქალები მუცელს სახლში მალავდნენ, წარსულს ჩაბარდა. ახლანდელი დედები მიმზიდველები, სექსუალურები და თავდაჯერებულები არიან. მოკლედ, ჩვილის ყოლა და დედობა მოდაშია და როგორც იქნა, ყველა მიხვდა: ორსულობა ავადმყოფობა არ არის, და დედას სულაც არ მოეთხოვება ამქვეყნიურ სიამოვნებებზე უარის თქმა.

2002 წელს სარა ჯესიკა პარკერმა განაცხადა, რომ მალე შვილს გააჩენს. ნაცვლად იმისა, რომ "სექსი დიდ ქალაქში"-ს მესვეურებს გმირის შეცვლაზე ეზრუნათ, მათ მოქმედება გადაასხვაფერეს, და ვარსკვლავი თავის თაყვანისმცემლებს დიდი მუცლით, მარკ ჯეკობსის მიერ შეკერილ ტანზე მომდგარ კაბაში მოევლინა. ამერიკელმა ქალბატონებმა უმალვე დაიჯერეს, რომ ასეთი ქალი ყველაზე მიმზიდველია: წარმატებული პროფესიონალი, სექსუალური და ორსული.

ასე, კეტრინ ზეტა-ჯონსმა "ოსკარის" მიღების დროს კინაღამ იქვე, წითელ ხალიჩაზე იმშობიარა; კლაუდია შიფერმა თავისი ორსულობისა და შვილის შესახებ იმდენი ილაპარაკა, რომ უკვე მოსმენა ჭირდა; Vanity Fair-ის "საოსკარო" გამოცემის გარეკანზე ორსული გვინეტ პელტროუ იწონებდა თავს; კეიტ მოსმა მთელ მსოფლიოს დაუმტკიცა, რომ ტოპ-მოდელსაც შეუძლია კარგი შვილი გააჩინოს და თავის საქმესაც ძველებურად მიხედოს - მოკლედ, რომელი ერთი ჩამოვთვალოთ...

ამ ბრწყინვალე ფონზე კაილი, რომელსაც მეგობარიც კი მობერებულად თვლის, რასაკვირველია, თავს ძალიან დაჩაგრულად გრძნობს.

## სკანვორდი



## TV პროგრამა

4 აგვისტო

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.50** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.20** მხ. ფილმი "მოუხელთებელი შურისმაძიებლების ახალი თავგადასავლები"(გ) **15.25** სერიალი "სასწრაფო" **16.30** სერიალი "ალფი" **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელელიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** სერიალი "უკვდავი" **23.00** სერიალი "სოპრანოს კლანი". **00.00** მხ. ფილმი "უცნაური გოგონა". მთ. რ-ში: ოდრი ჰეპბერნი, ფრედ ასტერი (18).

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. 06. **08.30** ტელედილა. **12.15** გადაცემა: მომაწოდე დურბინდი. **16.25** მარი მარმილი. ტელესერიალი. 19. 05 ფრენა ღამით. გადაცემის სტუმრებ : ბერნარ პივო, ფილიპ ტორეტონი და სხვ. **20.25** პიერ მენდეს ფრანკი. დოკ. ფილმი. **23.00** შარლემანის ეპოქა. დოკ. ფილმი. (გაგრძელება) **24.25** გადაცემა : ფრთები და ფესვები.

### JISI

**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **16.00** მუსიკა **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** ქართ. მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** პოპ. ად. ათეული **02.00** "ბრავო" "ამერიკული რაპსოდია". მთ. რ-ში: ნასტასია კინსკი. **03.00** პაუზის გარეშე

### პირველი არხი

**07.55** მოამბე **08.10** "ღამის მოამბე" გამეორება **09.00, 12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **09.10** მულტსერიალი "სიმბა-ფეხბურთელი" **09.40** იმღერე რამე **10.10** სერიალი "მორიგი მსხვერპლი" **11.00** "ქიმერიონი" **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** სერიალი "ფორსაიტების საგა" **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. ფილმი "დიდი ნახტომი" **15.20** სერიალი "რვაფეხა-9" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** სერიალის გაგრძელება **16.30** დოკ. ფილმი "ექსცენტრიკოსები" **17.00** მულტსერიალი "სიმბა ფეხბურთელი" **17.25** "მუსიკალური არჩევნები" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "ხუმრობა იქით იყოს" **18.45** დოკ. სერიალი "ჩემი სახლი" **19.05** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "სოლედადი" **22.00** "მიამბეთ თქვენზე" **00.00** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **00.20** მხ. ფილმი "ეარ ამერიკა" (15)

### 202

**10.00** მულტფილმი **12.00** მხ. ფილმი "მონტი პაიტონი-წმინდა გრაალი" (გ) **14.00** მუსიკა **15.00** დოკ. ფილმი "გამოქვაბულის ადამისნის კვალდაკვალ" (გ) **17.00** მულტფილმი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **20.00** მხ. ფილმი "ნედ კელი" (ჰიტ ლეჯერი) (15) **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. სალინაძის "კენო" **22.45** დებატები 202-ზე **00.00** მხ. ფილმი "არც ერთი სიტყვა" (მაიკლ დუგლასი) (18)

### მზე

**09.00** მზერა დღის ბოლოს **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10, 20.50** მინისერიალი "შტრაუსების დინასტია" **12.10** დეტ. სერიალი "მკაცრი დროება" **13.10** მხ. ფილმი "განსხვავებული აზრი" (გ) (ტომ კრუზი) **15.10** სერიალი "მარია ემილია" **16.00, 17.00, 18.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **16.10** სერიალი "ფერიების ქვეყანა" **17.10** მულტსერიალი "რედვოლი" **17.35** მულტსერიალი "მეხანძრე ძაღლები" **18.10** დოკ. სერიალი "ექსტრემალური ამბები" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **21.45** დეტ. სერიალი "ინსპექტორები" **22.45** მზერა დღის ბოლოს **00.00** მხ. ფილმი "სიყვარული და ტყვია" (18) (ენტონი კრისი)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "პაპირუსის თავგადასავალი" **19.30** სერიალი "ეშმაკუნა"(გ) **21.00** დოკ. სერიალი "მოგზაურობა" **22.00** მხ. ფილმები "შავი წერტილი" (12)

### იმედი

**07.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 11.05, 13.15, 16.35, 17.20, 01.50** იმედის მელოდიები **08.30** ანიმაც. ფილმი "შავი მეკობრე" **09.10** სერიალი "რელიკვიების მაძიებელი" **10.10** სერიალი "ტყუპები" **11.25** "ათენიდან ათენამდე" (მე-3 გადაცემა) **12.10** სერიალი "კლონი" **13.25, 01.20** ტვ-მარკეტი **14.05** სერიალი "შერლოკ ჰოლმსის დაბრუნება" **15.15** მხ. ფილმი "კაპიტანი ნემო" მე-3ს. (გ) **17.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.00** ქრონიკა **17.25** ანიმაციური ფილმი "შავი მეკობრე" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.30** სერიალი "ჩანაწერები შერლოკ ჰოლმსზე" **21.30** "პირველი ნახევარი" **23.00** "ათენიდან ათენამდე" (მე-4 გადაცემა) **23.30** მხ. ფილმი "შურისძიების სახელით" (ს. სიგალი) (გ)

### იბერია

**18.00** მხ. ფილმი "5 წლის ვიყავი, როცა თავი მოვიკალი" **19.50** დოკ. ფილმი **20.50** კონცერტი **22.10** მხ. ფილმი "სახლი არხის პირას" (15)

### აჭარის ტელევიზია

**08.30, 00.45** საინფორმაციო დაიჯესტი **09.00** მხ. ფილმი "ასტერიქსი და აბელიქსი კეისრის წინააღმდეგ" **10.45** მუსიკა **11.00** კომედია "ცოტა რამ მართას შესახებ" **12.20** მუსიკა **12.30, 16.30, 20.30, 22.30** საინფორმაციო გამოშვება **12.45** ისტორიული ფილმი "ქართან მოსაუბრენი" **15.00** კომედია "ოქროს კერპი" 1 სერია **16.10** დოკუმენტური ფილმი **16.45** მულტფილმი "კუზიანი კვიცი" **17.55** მუსიკა **18.30** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **19.00** "მზე აქ შემიჩერებია" **19.10** კომედია "დიდი ტურნე" **21.00** მხ. ფილმი "პარტნიორები" **23.00** თრილერი "ღვთისგან ცნობა არ არის" **01.10** ისტორიული ფილმი "სპარტაკი" **04.10** ვიდეოარტი **04.15** მელოდრამა "ქორწილი"

### ОРТ

**06.00** "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости **09.20, 21.30 "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" Сериал 10.20, 19.00 "КЛОН" Сериал 11.20** Мультсериал **11.40** Дисней-клуб **12.10 Х/ф "ЛИЧНЫЕ СЧЕТЫ" 14.00 "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ" Сериал 15.20 "СЛЕДСТВИЕ ВЕДУТ ЗНАТОКИ" Сериал, 3-я с. 16.30** Криминальная Россия **17.00** "Слабое звено" **18.20** Просто смех! **20.00 "ЧЕРНЫЙ ВОРОН" Сериал 21.00** Время **22.40** Тайны века **23.30** "ВДНХ. Архипелаг вечного завтра" **00.00 Х/ф "ПРОПАВШИЕ НА ПОЛЕ БОЯ" 01.50 "24 ЧАСА" Сериал 02.40 Х/ф "КРОВЬ ЗА КРОВЬ"**

### НТВ

**06.00** Утро на НТВ **08.50 "ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ" Сериал 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 19.00** "Сегодня" **10.25** "Кулинарный поединок" **11.20** "Страна советов" **12.30 Хф "АТЫ-БАТЫ, ШЛИ СОЛДАТЫ..." 14.20** "Время есть" **14.35** "Протокол" **15.35** "Принцип домино" **17.30 "ОХОТА НА ЗОЛУШКУ" Сериал 18.35** "Протокол" **19.40 "МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ" Сериал 20.50 "ЧУЖОЕ ЛИЦО" Сериал 22.00** Страна и мир" **22.35 Х/ф "ТИТАНИК" 3 с. 23.45 "ДЖЕЙК 2.0" Сериал 00.40 Х/ф "8 МИЛЛИОНОВ СПОСОБОВ УМЕРЕТЬ"**

# შვარცენეგერი - 20 დოლარად



არნოლდ შვარცენეგერი დათანხმდა გააუქმოს სარჩელი იმ კომპანიის წინააღმდეგ, რომელმაც შვარცნეგერი-თოჯინა გამოუშვა. ეს თოჯინა ასეთნაირად გამოიყურება: დიდი თავი ზამბარაზე აქვს დამაგრებული, კოსტიუმი აცვია და ხელში ავტომატი უჭირავს.

ჰოლივუდის ვარსკვლავსა და კალიფორნიის შტატის გუბერნატორს არ მოეწონა ასეთი იმიჯი და სათამაშოების მწარმოებელ კომპანიას - Ohio Discount-ს ამის თაობაზე მოელაპარაკა კიდეც. შეთანხმების საფუძველზე, კომპანია კვლავ გამოუშვებს შვარცენეგერ-თოჯინებს, ოღონდ უიარაღოდ. მათი გაყიდვიდან შემოსული თანხის ნაწილი კი შვარცენეგერის საქველმოქმედო ფონდში შევა. ეს ფონდი სკოლადამთავრებული ბავშვების თავისუფალი დროის ორგანიზების საკითხებზე ზრუნავს.

ახალი დიზაინის თოჯინა 20 დოლარი ელირება. მათი ყიდვა ინტერნეტის საშუალებითაც იქნება შესაძლებელი.

"ჩვენ ძალიან კმაყოფილები ვართ იმით, რომ მოლაპარაკება მოვახერხეთ. და მოუთმენლად ველით, როდის გამოვა მაღაზიებში ეს თოჯინა," - ამბობს სათამაშოების ფაბრიკის ერთ-ერთი მეპატრონე.

შვარცენეგერის ადვოკატის თქმით, პოპულარული მსახიობი, რომელიც არცთუ დიდი ხნის წინ პოლიტიკოსიც გახდა, ასევე კმაყოფილია ამ გარიგებით. შვარცენეგერს ისიც ახარებს, რომ ეს მოლაპარაკება ფინანსურადაც მომგებიანია. მისი საქველმოქმედო ფონდი შეივსება, - დასძენს იურისტი.

თოჯინის შექმნის იდეა ვაშინგტონელ პოლიტიკოსს - ჯონ ეჯელს ეკუთვნის. მან სათამაშოების კომპანიებს შესთავაზა, გაეკეთებინათ თოჯინები, რომელთაც ექნებოდათ პრეზიდენტობის კანდიდატი დემოკრატების თავი, რათა მოეძიებინათ ფინანსები კიბოსთან ბრძოლისა და ბავშვთა დაცვის საქველმოქმედო ორგანიზაციებისათვის.

ეჯელი საქმის ამგვარი განვითარებით უკმაყოფილოა. ის ამბობს, რომ შექმნა თოჯინა სახელად - Governor-Girlie Man ("გუბერნატორი-ქალაჩუნა") - სწორედ ასე მოიხსენია ამასწინათ შვარცენეგერმა რამდენიმე დემოკრატი.

ეჯელმა ისიც განაცხადა, რომ არ გაჩერდება და კვლავაც დაჟინებით მოითხოვს, რომ შვარცენეგერის ავტომატიანი თოჯინა დაამზადონ.

"ეს ერთგვარი პოლიტიკური გამოწვევაა, იმისათვის, რომ შვარცენეგერს მტკივან ადგილზე დავაჭიროთ ფეხი. მან პირობა მოგვცა, რომ იარაღის აკრძალვის მოთხოვნას მხარს დაუჭერდა, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი გაუკეთებია ამ მიმართულებით," - ამბობს ეჯელი.

# დაბრუნება მომავალში



მომავალი გაზაფხულისთვის ბებიების სკივრების ამოქექვის დრო დადგება. ის, რაც 30-იანებიდან 60-იან წლებამდე დიდებულ ტანსაცმლად ითვლებოდა, კვლავ მოდაშია.

კვირას დიუსელდორფში 2005 წლის გაზაფხულ ზაფხულის კოლექციების წარმოდგენა დაიწყო. ეს მსოფლიოს ყველაზე დიდი მოდის ბაზრობაა. მასში 1800 მოდელიორი იღებს მონაწილეობას, და გუშინდლამდე მას უკვე 53 ათასი დამთვალიერებელი ჰყავდა.

ამ კვირის განმავლობაში ნაჩვენები იქნება სამოსი, რომელიც a la Capri-ს არდადეგებისთვის განკუთვნილ ნაწარმსაც შეიცავს და უახლეს ბიზნეს-სტილსაც წარმოადგენს.

პოდიუმზე მოსიარულე ქალების შემყურე საზოგადოებას გარდასულ დღეთა ვარსკვლავები გაახსენდა - მარლენ დირტიხი თუ ოდრი ჰეპბერნი. “ელეგანტურობა და უშუალო მოხდენილობა,” - ასე ახასიათებენ მომავალი წლის მოდას სპეციალისტები. დიზაინერებმა დორის დეის სტილიც გაიხსენეს და თავისებურად გადაამუშავეს, ხოლო მარლენ დიტრიხის “მამაკაცურ ბრწყინვალებას”, შარვლებსა და მკაცრ კოსტიუმებს, მოჩითული თავსაფრები და ვიწრო ქამრები დაურთეს.

ელეგანტური კაბები, ტანზე მომდგარი პერანგები და მოკლე ქვედაბოლოები ქმნის “ახალი ბიზნეს-ქალის სახეს, რომელსაც საოფისე იერთან ერთად გარკვეული სექსუალობაც ახასიათებს,” - ასე აფასებს ახალ დინებას გერმანიის მოდის ინსტიტუტი.

# სილამაზის წინააღმდეგ

სადღეისოდ გასალამაზებელი ოპერაციები მხოლოდ მაიკლ ჯექსონის, პამელა ანდერსონის თუ სილვიო ბერლუსკონის პრივილეგია აღარ არის. ისინი ყოველდღიური ყოფის ნაწილი გახდა. ადამიანთა უმრავლესობა პირადად თუ არა, მესამე პირის გავლით მაინც იცნობს ვინმეს, ვინც ოპერაციის გზით თავის გალამაზება სცადა.

აღმოჩნდა, რომ დასავლეთ ევროპაში ეკლესიის ცალკეული წარმომადგენლებს ეს უმსგავსობად და ლამის ულმერთობად მიაჩნიათ. საინფორმაციო სააგენტო “ევანგელიშე პრესედინსტს” ამ თემასთან დაკავშირებით თეოლოგების აზრის გამოკითხვას შეუდგა.

იორგ რაუბერი, საარბრიუკენის უნივერსიტეტის თეოლოგი, საზოგადოებას “სილამაზის გაკერპებაში” ადანაშაულებს. მისი თქმით, “მსოფლიოს ორი დიდი ეკლესია ნელ-ნელა ცდილობს, წინააღმდეგობა გაუწიოს იმას, რომ ადამიანები ღვთის ქმნილებაში ერევიან”.

მოხსენების თანახმად, მხოლოდ გერმანიაში და მხოლოდ 2002 წლის განმავლობაში ამგვარი ოპერაცია 800 ათასმა ადამიანმა გაიკეთა. სულ უფრო მეტი მსურველი ჩნდება იმისა, რომ მკერდი გაიდიდოს, ცხიმი მოიცილოს, ცხვირი დაიპატარავოს ან ნაოჭები გაიქროს. “ის, რაც ღმერთმა და ბუნებამ გვიბოძა, ასეთი ადამიანებისთვის მხოლოდ მასალად იქცა, რომლისგანაც ისინი გამბედაობისა და ფულის მეშვეობით ახალი ქმნილების წარმოქმნას ცდილობენ,” - საყვედურობს “გალამაზებულებს” ევანგელისტური ეკლესია.

ტიუბინგენის უნივერსიტეტის კათოლიკე თეოლოგი, დიტმარ მითი თვლის, რომ ის, ვინც ავად არაა, ნებისმიერი ოპერაციის გაკეთებისგან თავს უნდა იკავებდეს. მას მიაჩნია, რომ ოპერაციის ნებისმიერ მსურველს წინასწარი ფსიქოლოგიური დახმარება ესაჭიროება, და საერთოდ, ის, ვისაც ოპერაციის შედეგად ბრედ პიტის სახის მიღება სურს, ადამიანურ ღირსებას კარგავს, რადგან “ადამიანს გარეგნობა ღმერთმა არგუნა - სწორედ ისეთი, როგორიც ღვთის განგებით მისთვის საჭირო იყო. ადამიანების ურთიერთობაში ურთიერთნდობა და სიყვარული გარეგნობაზე ბევრად მეტს ნიშნავს”.

მართალია, ანდრე ბორში, გერმანიის ერთ-ერთი სამრევლო საავადმყოფოს პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ხელმძღვანელი, თვლის, რომ კლასიკური სილამაზის ქირურგია სავსებით ჩვეულბრივი მოვლენაა, და ამიტომ ეკლესიას ამასთან დაკავშირებით არავითარი პრობლემა არ უნდა ჰქონდეს. “ღვთის მიერ ბოძებული ყველაფერი როდია წმინდა,” - ბრძანა ექიმმა, რომელიც თავისი ავადმყოფების მიმართ ეთიკურ პასუხისმგებლობასაც გრძნობს.

და საერთოდ - რა მნიშვნელობა აქვს, რა გზით: მთავარია, სხვას არაფერი დავუშავოთ და ჩვენ ვიყოთ კარგად.

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათითიანი მეთოდი.
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word.
- აღრიცხვა,ბაღალტრულ-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა.
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: ე.ჭუნაძის N70 ტელ:29-48-61

ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

20-24-04
20-00-24







უფასო იურიდიული კონსულტაციები და სასამართლო წარმომადგენლობა სისხლის სამართლის საქმეებზე, ასევე იურუდიული დახმარება ლტოლვილებს

ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი

დ. აღმაშენებლის გამზ. 89/24 (თბილქალაქპროექტის” მაღლივი შენობა, მეტრო “მარჯანიშვილის” უკან), მე-12 სართ.

ტელ: 95 10 03




## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.